

ლიტერატურული აღმავალი

ხიჩნაძე შვი

აპრილი 2018



ვახუშტის ღვთაებათა კრიტიკა

№ 5

„ხმნიან უჯი“

ფასი 3 ლარი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამოცემა

2018 წელი

ს ა რ ჩ ე ჯ ი

პოეზია

ედუარდ უგულავა.....	2
თამაზ წიკლაური.....	3
ბადრი სულაძე	5
ლევან ალავერდაშვილი	8
ელდარ ჭიჭიაშვილი	9

პროზა

ლევან ლორია	12
-------------------	----

ბახსენება

ნათელა მაჭარაშვილი	21
--------------------------	----

პოეზია

ჯუბა დებელი	24
ქეთევან ნათელაძე	29
თენგიზ ბეჟაშვილი	31
ეკა ჯავახიშვილი	32
გივი სომხიშვილი	33

ახალი სახელები

ლევან კაკალაშვილი.....	35
გიორგი არაბული.....	41

პროზა

ლია რობიტაშვილი	42
-----------------------	----

პოეზია

აკაკი სამუკაშვილი	47
ვაჟა ჯანყარაშვილი	48
ნონა ჯიბლაშვილი	49
ზიზო ბურღული	50

პროზა

ბესიკ კეკელიძე.....	52
---------------------	----

თარგმანი

აბულ ფარაჯი

ბერძენ ფილოსოფოსთა სასარგებლო გამონათქვამები	56
-------------------------------------------------------	----

ხიდისყურული

ციხელა ხიდისყურელი	58
--------------------------	----

დედოფლისწყაროს ისტორიიდან დალი ბალაშვილი

ნავთობის მოპოვების ისტორია დედოფლისწყაროში	59
-----------------------------------------------------	----

იუბილე თსუ - 100

ნანა ჭიჭინაძე

თსუ-ს საიუბილეო საღამო დედოფლისწყაროში	62
-------------------------------------------------	----



ალმანახის გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოვახსენებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიასშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ პაპიაშვილს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ქალბატონ ნონა ჯიბლაშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი:
გიორგი ნატროშვილი

ალმანახის ქუდის ავტორი:
სამგო ქართველიშვილი
დაიბეჭდა მპ პოლიგრაფში

გარეკანი გაფორმებულია:
ვაჟა ჩიქოძის მიერ
და დაცული ტერიტორიების სააგენტოს
ფოტოებით



იღუარლ უგულავა

შეხვედრა

მე ისე მხიბლავს შეხვედრა შენთან,
 ყოველ წამს ისე მძაფრად განვიცდი,
 არა მგონია, სახელი ერქვას
 ამ გრძნობას რამე შესაბამისი;
 სხვამ თუ არაუინ, ორივემ ვიცით,
 შენით ჩქარდება დღემდე ეს გული.
 შენა ხარ შევება, ვით თბილი სისხლი,
 ვენიდან ახლად გამოშვებული.
 როდესაც ღამე ღვინდება თეთრად,
 შენ, შესამჩნევად ღიმილნაკლებო,
 ყოველთვის ბედავ, მოხვიდე ჩემთან
 და კარზე ფრთხილად დააკაკუნო.
 მოხვალ და თითქმის არაფერს იტყვი,
 ნაჩვევი წვიმებს გადაუღებელს...
 ასე თუ ფრთხება უმწეო ჩიტი,
 როცა გალიის კარებს უღებენ.
 თუმცა, იმ მზერას არასდროს იშლი,
 ტანს რომ მიხორკლავს ვნების ეკლებად.
 როგორც კუბოზე ხმაური ქვიშის,
 შენი თმა მკერდზე ისე მეყრება.
 მაგრამ ღიმილით ტკივილებს მპარავ,
 იმ სიჯიუტით, როგორც შენ გინდა,
 თითქოს ნელ ცეცხლზე ახურებ დანას
 და მაცლი ტყვიებს ჭრილობებიდან.
 მე მაინც უნდა დაგტოვო ზვალ-ზეგ,
 მერე შენ გაწმენდ საფლავს თოვლიანს
 და ეწერება გაბზარულ ქვაზე —
 იცოცხლა, მაგრამ არ უცხოვრია!

რა შეგაშინებს

აქვს უცნაური განცდა სიბერეს,
 მკერდზე მობჯენილ ცივი ლულების...
 ტანზე ჯირითით გადაგირბენენ
 მერნები, ფლოქვებდანალულები.
 წვავს ჰაერს გემო გასროლილ მასრის,
 ცდილობს საუბარს სული სხეულთან...
 ეს ტკივილია - მზის წითლად ჩასვლის
 და სევდა - ცერზე წამოწეულთა.
 მოსრისავ ხელში ფოთოლს სილიანს
 და შეგიმჭვარტლავს დარდი სამშვინველს,
 მაგრამ თუ გიყვარს - ნუ გეშინია!
 თუმცა თუ გიყვარს - რა შეგაშინებს?!

ბოლო დროს

ბოლო დროს შინ ხარ, ერთ შავ-თეთრ სურათს,
 ხშირად უმიზნებ ერთგულ იარაღს,
 არადა, დრო რომ ყველაფერს კურნავს,
 სასაცილოა რა გულიანად...
 მუდამ იმ ერთის სურნელი ჰქონდა
 მინებზე თითით ნაწერ სახელებს...
 ისეა, როგორც მძინარე ცოდვა,
 გინდა, არ გინდა, თავს რომ გახსენებს.
 წყალს მიცემული რამდენი წელი
 ხელახლა გადის თვალწინ ტიტრებად.
 კვლავ თავს იტყუებ ლექსების წერით,
 შიშველ ნერვების დასამშვიდებლად.
 ახლა სამარეს უფრო ჰგავს სახლი,
 უღონოდ გიდევს მკერდზე ხელები
 და ღამეების სიშავით დაღლილს
 არ გეშინია არგათენების.
 თუმცა დღეს უკვე აღარც შენ გიკვირს,
 რომ ბედისწერას ხელს ვერ შეუშლი.
 ხშირად უცქერდი თვალებში სიკვდილს
 და მაინც გიდგას სული სხეულში,
 ძლიერი დამწერის სუნი რომ ასდის
 და მზის სხივებს რომ იხვევს ყულფებად.
 რომ დაეკარგა ცხოვრებას აზრი,
 შენ ვერ მიცემდი ამის უფლებას.
 თუმცა ხილვები გეზვია გუნდად
 და სამარამდეც თავად მიხვედი,
 რომ გექნებოდა იმედი მუდამ,
 შენ მაინც გქონდა ამის იმედი!

* * *

კვლავ ეშხადება
 ბედი საავდროდ,
 რადგან ცხოვრება
 ეს ის ომია,
 შენგან რომ ითხოვს,
 თუმცა არასდროს
 შენ არაფერი
 არ გითხოვია.

კაცმა არ იცის,
 აქ რა გაკაუბებს,
 და ამბობ, როცა
 ქარი გაგიჟებს:
 უბრალო კაციც
 ტოვებს ნაკვალევს,
 თუ მიწას სხვაზე
 ღრმად დააბიჯებს...

* * *

მგონი, რაც უფრო შევდივარ ხანში,
 მშვიდად ვეჩვევი უცხო აღმურებს.

სხვა მელოდიას უკრავენ ქარში,
 თითებს უწყობენ სხვა სალამურებს.
 დგას ახლა სახლში სურნელი ვაშლის,
 ვესაუბრები ბროლის ამურებს,
 მაგრამ ეზოდან ტირილი ბავშვის
 ამ დღესაც სევდით ასათაურებს.
 ჩანან ბავშვები ცაცხვების გვერდით,
 მიწას აყრიან ცისფერ სასახლეს
 და წამებს ითვლის საათი კედლის...
 ბავშვებმა მკვდარი ჩიტი დამარხეს...
 და როგორც ხელი, შვილმკვდარი დედის,
 სარკმელთან ცაცხვის ტოტი ცაცხახებს...



არყოფნის ზღვართან მისული,
 თვალად მგლისფერი მოყმე ვარ
 სიკვდილთან ძმად შეფიცული.
 განა ისე ვთქვი რაიმე,
 განა ტყუილად ვდიდგულობ,
 მე კაცი მერქვას, ვაი, მე
 შენ სხვის მკლავებში გიგულო?
 ვაი, თუ შენაც გამწირო,
 ოი, რა ღმერთი მიწყურების,
 ქალავ, ამ გულის ნაწილო
 მიზეზო თავდავიწყების.
 ვიდრე გრიგალი დანისლაგს
 ზეცის მიბნედილ ლაყვარლებს,
 მოვალ შავ-შუალამისას
 დაგაკარგავ გარიჟრაჟამდე.
 წაგიყვან, რადგან ვირწმუნე
 უშენოდ ხრამში ვვარდები,
 მერე შენც ვერ დამიწუნებ,
 მერე შენც შეგიყვარდები.

თამაზ ნიხლაური

* * *

როდემდე ნეტა ვიცოდე,
 როდემდე უნდა ველეაზდე,
 როდემდე უნდა ვიწვოდე
 შენს სიყვარულში ყელამდე.
 შველა ისევ შენ გეზვეწე,
 ლექსებს გიწერდი ჩემულის,
 ვერ გთმობ, ვერ გადაუხვეწე
 შენს მხერას ღიმილშერეულს.
 ისევ მოლოდინს დავენდე,
 გული შენს ნახვას არ იშლის,
 დამაცა შუალამემდე
 ფრთები მოვისხა ქარიშხლის.
 აემ გზას შენსკენ მოვეყვარ,

მონაცრენა

მე ისევ შენსკენ ვიჩქარი...
 ლექს გინთებ ტრფობის კოცონთან,
 შენ ხარ ოცნების ის ქალი,
 ვინც მზედ მწამდა და მომწონდა.
 გული დარდებმა წაიღო,
 ლამის ჭკუიდან შემშალე,
 ან ის შეხვედრაა რა იყო
 ვარდად რომ გადამეშალე?!
 გახსოვს, დაგპირდი ლექსებით
 ხელთუქმნელ ძეგლის აგებას?
 შენს გზას თუ ვერ დაუხსნები,
 მაინც მადლობა განგებას.
 გნახე, სხვა ცეცხლით აღვენთე,
 შენ თუ აქამდეც გულქვა ხარ,
 ჩემსავით სხვა ვინ გაღმერთებს,
 ჩემსავით სხვას ვის უყვარხარ.
 ვარ შენი მხერით ნასეტყვი

დარდი რა ცრემლით ავწონო?!
 უარს აუგად რას მეტყვი
 თუ თავი ვერ მოგაწონო.
 ლექსით მოგიერთებ ბილიკებს,
 რაც დღემდე ცრემლით დაუქარგე,
 მერე გინდა გამაქილიკე,
 გადამაგდე და და დამქარგე.
 მინატრებ დრო და დრო ისევ,
 ჩემო მზეო და პირი მზე,
 ჩემს ხმას შორით რომ მოისმენ
 მთაში ირმების ყვირილზე.

ყარყოფა

ვერონიკა კ...-ს

არ მსურს შენს გამო ცრემლები ვღვარო,
 ლექსებად გიძღვნა ჩემი განცდები,
 დღეს რომ შევცდე და შენ შევიყვარო
 ხვალ სიკვდილის გზას ვეღარ ავცდები.
 შენ ვისაც რწმენა ლოდინად დარჩა,
 ახლა იმედიც დაკარგე თუკი,
 წლები გაგექცა, არა და არ ჩანს
 შენთან მომსვლელი ის მზეჭაბუკი.
 დღეს სიმარტოვის პირისპირ ვერ ძლებ,
 გულამდე გატანს ბურუსი ბნელი,
 აჰა, შემხვდი და აღარვის ეძებ
 დღემდე ზღაპრული ბედის მძებნელი.
 მზისფერ ასულად როგორ დაგხატო,
 მაცდურს როგორ გცე ლექსით თაყვანი,
 მაგ სულის მქონე როგორ გაგხადო
 ჩემს ცხოვრებაში შემოსაყვანი
 და აგაშორო ეგ სანისლეთი
 შენს სიმარტოვეს მკაცრად რომ ჩრდილავს,
 მე დაგიმშვენო ის საცისკრეთი
 ჩემი ლექსებით ყოველ დილ-დილას.
 მიყურებ, როგორც უმანკო შველი,
 არ მაკლებ შვლისებრ თვალთა ფეთებას
 და ვერ გრძნობ, როგორ ამაოდ ელი
 ჩემს ტანჯვის ხარჯზე შენს გაღმერთებას.
 არ მსურს ვარსკვლავთა წამოსასხამით
 დღეს შენ შეგრაცხო ლამაზ მითით,
 შენ გიმღერდე და მერე ღამ-ღამით
 შენი სარკმლის წინ მნახო ქვითინით.
 გულში კი ამით დაიცხრო ბრაზი
 და ყველა ჯავრი ჩემზე იყარო.
 პოეტის სული სათნო და ნაზი
 ვიღაცის ჯიბრზე არ შეიყვარო.
 ვიცი ეგ გული სხვა რამეს ნირავს,
 არ მსურს სილაზე კოშკი ვაშენო,
 მე მდგარი მნახო უფსკრულის პირას
 შემწედ ღიმილიც არ მომაშველო.
 მგვემო და ჩემით გაერთო თანაც,
 ძალგამს თავზარი თავს დამცე მხად.
 მშვიდად მკრა ხელი ქარაფიდანაც
 ხრამში ჯარჯივით გადასაჩეხად.
 შორს ჩემგან შენი ფიქრი მზაკერული,

არც ეგ თამაში არ მსურს განაგრძო.
 არ მინდა მნახო ჯვარზე გაკრული
 და ცნობამიხდილს არ მითანაგრძნო.

გზაში

მოდიხარ... მსგავსი გაშლილი მზისა,
 როგორც შვლის ნუკრი უცხოდ შემკრთალი,
 არამიწიერ სილამაზისა
 ქალი კი არა მართლა ღმერთქალი.
 მოხვალ, მოგყვება სუნთქვა მაისის,
 ეგ სიკვლუცე როგორ გაერთიმო,
 ქართველი ქალის სიდარბაისლის
 ეტალონი ხარ სამაგალითო.
 შენ მოხვალ გზად, თუ მზე მოაბიჯებს
 და ქუჩა გტაცებს მზენასვამ თვალებს,
 გვერდს რომ გაუვლი, ვაი, იმ ბიჭებს
 შენი მშვენიებით შემთვრალ-შემკრთალებს.
 გვერდს რომ გაუვლი იმ ქალთაც, უი,
 ვისაც გულს ახვევ შურის იარებს,
 ღმერთი და რჯული სუყველა ტყუის,
 ვინც შენ ქალთაშვედ არ გაღიარებს.
 სულ სხვა მნათობმა გამოაშუქა,
 სხვა ფერთა გამა დაღვარა გზაზე,
 მზისფერო ქალავ, ღმერთმა მაჩუქა
 შენი მშვენიება და სილამაზე.

* * *

ერთიღა შეგრჩი სამიზნე
 ვაგლახ, აღარც მე მეთმობი,
 არ მოიშალე ავი ზნე
 და ჩემი ტანჯვით ერთობი.
 სიკვდილმაც თავი აიშვა,
 სიკვდილს ვუყურებ თვალებში.
 რად ცდილობ მალე გამიშვა
 მოუსავლეთის მხარეში?!
 ამ გულმა რა დააშვა,
 რად გლეჯენ დარდის ყორნები?!
 რა გემწელების ქალშავა,
 როცა მე არ გეყოლები?!

* * *

აჰა, უყურე, შებინდ-ბუნდებით
 როგორ ელვარებს ცა მოსარკული.
 მე დავიწყებულ გზაზე ვბრუნდები
 უუშენობის ჯვარზე გაკრული.
 სად მიხვალ, მზერა ვისკენ გაგირბის,
 მარტო რად რჩები რწმენის გარეშე?!
 აჰა, გრიგალიც კარზე დაგიბი
 ბინდში მბორგავი და მოთარეშე.
 აჰა, ეს ლექსი მწუხრზე ნაქარგი
 დამე შეკრული გიშრის მერდინით.
 მო, დამიბრუნე მზე დანაკარგი
 და ამაძალდე ალავერდივით.



ბადრი სულაძე

* * *

სამყარო ერთია,
 დარდია მრავალი,
 გაუმხდარვართ სამყაროს მძევლები...
 და რადგან ეს ფიქრიც ლანდია ქარაუნის,
 ტაბლაზე დაყვართ მშეები...
 ჩიტების ჭიკჭიკით ჭალაც ჰგავს ღრუბლიანს,
 ან რაა ამ ხმაში ახალი,
 თუკი კაცს ბოჩოლა, ჭასთან არ უბია,
 არ უდევს სამზადში ხახალით -
 ათასი ჯაფა და სხვა მსგავსი განცდები,
 ყანებში სიმინდად აჭრილი...
 ლობიოს სარადაც თუ არ ვიწალდებით,
 მიწით და ნაკელით გასვრილი...

...
 ალბათ, საკუთარ თავს მაშინ თუ ვუკვდებით
 და გზაც უსიცოცხლოდ მუქდება,
 თუკი წყალს, ნელ – ნელა გასინჯულს ყლუპებით,
 ჰაერს არ ვაყოლებთ ლუკმებად...
 სამყარო ერთია,
 დარდია მრავალი,
 გაუმხდარვართ სამყაროს მძევლები...
 და რადგან ეს ფიქრიც ლანდია ქარაუნის,
 ტაბლაზე დაყვართ მშეები...

...
 ფერს ვიღებთ ღობესთან გაყურსულ მოცხარის,
 როცა მზეს მკლავებზე დავიწვენთ...
 სულები რომ დაგვრჩეს ვაზივით ცოცხალი,
 სხეულებს ფესვებად ვამიწებთ...
 რითაც კვლავ ზეცასთან განათვლის ძალას ვგვრით,
 ფერდობებს დაკაწრულს წვიმებით...

...
 ნაწვიმარ ღელეზე გოგონა გადარბის,
 ჩხიკვივით გაკნაჭულ წვივებით...

სიწოცხლისათვის

მე არ ვყოფილვარ აიეტის თანამედროვე,
 იაზონისგან რომ დამეცვა ოქროს საწმისი,
 მაგრამ ჭალებში მოჯირითე ქარსაც ვეომე,
 რწმენის თასიდან გაბნეული ბოლო მარცვლისთვის...
 ვერ მოვახერხე, გზა იესოს ლოცვით ამეგსო,
 როდესაც ნინომ მზე აგროვა, სითბოდ დაღვრილი,
 მაგრამ შეეძელი, მოურეოდი ცოდვის სამეფოს
 და აღმემართა უფლის რწმენაც, ნინოს ჯვარივით...
 მტკვარმაც ბევრი თქვა წუთისოფლის, ბევრიც არაგვმა...
 არ შევსწრებოვარ არც მცხეთაში ნგრევას კერპების,
 მაგრამ ნისლიან ქონგურების ნგრევის კვალდაკვალ,
 გულში იმედის სვეტიცხოველს მეც ვაშენებდი...
 თუმცა საზღვარი ვერ გაუწიე დარუბანდამდე,
 სხვამ სინანულიც უფრო მეტად იგრძნო სინათლით,
 ადამიანად ყოფნის არსი კაცს თუ ადარდებს,
 მეც გულისცემას ჩემს პატარა დიდგორს მივათვლი...
 სიცოცხლისათვის, თვით სიკვდილზე მკერდმიშვერილი,
 მცხუნვარე მზის ქვეშ, ცოტნესავით თუ არ დაწვიქი,
 სვედის კელიას შეხიზნული, ზოგჯერ ბერივით,
 მეც ზომ მარილში, ჩემს ცრემლიან ლუკმას ვაწებდი...
 როცა ნამებმაც მოუხშირეს ურვად ვაწებზე,
 დემეტრესავით თავი მსხვერპლად, ვერც მე დადევდი,
 მაგრამ სიკეთე სიბნელეშიც უნდა გამზევედეს,
 ერთ ხმაღს რომ მაინც ეპატიოს მკერდზე ნაჭდევდი...
 სიკეთისათვის და რწმენისთვის გზაც თუ ატირდა,
 რაც ყაყაჩოებს კვლავ წინაპრის სისხლად ამრება,
 მე ლექსის რითმებს შევატოვე ქართულ მანდილად,
 რა სილამაზეც ვერ დაფარეს ქირმან – შალებმა...
 ვერ მოვახერხე, რომ მექცია ცხადად სურვილი
 და მეც ერეკლეს ბელაურად ველზე მერბინა.
 მაგრამ შეეძელი, გაზაფხულის წვა და ღუღილი
 შემომემტვრია, ვით მდინარეს, მკერდზე ჯგებირად...
 ზოგჯერ ბალახიც ხავსივით რომ მოსჩანს არხებზე,
 ამით სიცოცხლე იწყება და როდი მთავრდება, -
 ციხის ნანგრევებს სევდიანად როცა გავხედე,
 თითქოს ეს მითხრეს პაწაწინა ყოჩივარდებმა...

* * *

როცა ფიქრითაც ვნაყავ სადარდელს
 და ზღვა სინანულს ვატევე თვალებში,
 თავს მიტოვებულ საყდარს ვადარებ,
 სანთლად მიმწვარი ნატერფალებით...
 მინაველებული ფერთა საცდური,
 მაინც თუ, ბჟუტავს ისლის ქოხივით,
 დამე, მთვარისგან მხრებგასანთლული,

ბევრჯერ წელშიდაც ვიცი მოხრილი, -
 მიტოვებული მკვეთრი მანძილით,
 შეშლილ ფშანებთან როცა კანკალებს,
 დარდით დაღლილი ბერიკაცივით,
 მიწას კოცნის და ლოცავს ნაკვალევს;
 გზასაც აგრძელებს სხივთა სიმაღლით,
 ხანაც მზედ, ხანაც მთვარის სახეზად...
 რადგან, ღვთისმშობლის წმინდა წიაღში,
 კვლავ, მაცხოვარი ჩაისახება, -
 ვერ დააოკებს სულის ცდუნებას,
 ცა, ნახამთრალი კუმშვით დაღლილი...
 და მონათლული ფურისულებად,
 გზაც აფეთქდება გულში ნაღმივით...
 ჩამოღვენილი სანთლის წვეთები,
 შუბლზეც თუ ისევ დაბუდლებიან,
 მეც მომლოცველის მადლით შევხვდები
 დილას, უმწიფეს ალუბლებიანს.....
 სივრცეს, დაფატრულს სეტყვა-ქარისგან,
 თუ ჩაანაცვლებს დელვა მდინარის,
 როგორ ჩავთვალო შესაბრალისად,
 გული – უფლისთვის შესაწირავი...
 ტანზე სულაც რომ, საცდურად მეცვას,
 შეუცნობლობა სველი ფშანების,
 თავსხმა წვიმებით ნაგუბარ ზეცას,
 მაინც ცრემლივით შევიმშრალეები...
 და ცა, უკურნელ წვიმის სანაცვლოდ,
 შეივსებოდა ერთი, - მზის სხივით..
 მინდვრად ხომ, ისევ ღვივის ყაყაჩო,
 ჯვარზე ნაწვეთი ღმერთის სისხლივით...

ღაბრუნება

დილა სვედისფერი ღრუბლით შეფერილი,
 ფერთა გასაოცარ გამად ნამშვენები
 და ზედ შოშიების შუქით შეფერნილი
 გული, სვეტიცხოვლის ტაძრად ნაშენები,-
 სულში ფორიაქის ფერით ჩამელვარა...
 ღამემ მოუხშირა გლოვას ამინდებით
 და მე გარდაესახე ბედის საღებავად,
 წამი - სიჩუმის და დროთა გარინდების...
 წამი - შერჩეული ქართა ნარჩენებით,
 შენი საშხეოთი ახლა ისეთია,
 მე რომ ლოდადქცეულ ლანდთა აჩემებით,
 ყელზე ავგაროხის თვალად მიკეთია...
 ის, რაც ბოროტების ბინდით ნაფიქრია,
 ის, რაც სიკეთესთან წამით არ ბუდდება,
 მასთან შეჭიდებას დილის მადლი ჰქვია
 და კვლავ, მზის წიაღში მთვარის დაბრუნება...
 თუკი არც მთებმა და არც ჭალა - მინდვრებმა,
 გზა მხოლოდ ქარმა და წვიმებმა დაღალეს,
 კვლავ გადავიქცევი ნაქარალ ჩიტებად

და სანამ ვაზების ჯვრისწერას ვნახავდე,
 გზას ვეძებ ტაძრამდე წვითა და მოთმენით,
 სიშორის სიცხადე მონათლეს წერტილად,
 მაგრამ მე ბედიის ნისლადაც ვორთქლდები,
 რადგანაც ოცნებით მოკვდავზე მეტი ვარ...
 შორს წამომეწია ზარის ხმა საყვრიდან,
 არასდროს ვყოფილვარ ბრძოლას ნარიდები,
 მაგრამ ჭრილობაზე მარილსაც მაყრიდა
 წამი - სიჩუმის და დროთა გარინდების...
 წამი - შერჩეული ქართა ნარჩენებით,
 შენი საშხეოთი ახლა ისეთია,
 მე რომ ლოდადქცეულ ლანდთა აჩემებით,
 ყელზე ავგაროხის თვალად მიკეთია...
 ოღონდ სინანულმა განცდა უკუაგდოს,
 რაც გულს უსიცოცხლო წამად გააძირკვეს,
 გუმბათს დავაშენებ ტაძარს უგუმბათოს
 და კვლავ, მხრებით ვზიდავ ქვასაც სასაძირკველდ...
 სულ რომ დამიშანთოს მთვარემ საფეთქლები,
 მოვალ შენთან, მოვალ, თანაც მოწიწებით,
 ფიქრებაშლილი და ღამენათენები,
 როგორც მიდიოდნენ ხატთან ოპიზრები...
 ის, რაც ბოროტების ბინდით ნაფიქრია,
 ის, რაც სიკეთესთან წამით არ ბუდდება,
 მასთან შეჭიდებას დილის მადლი ჰქვია
 და კვლავ, მზის წიაღში მთვარის დაბრუნება...

სავალონელი

გამომივლია ვრცელი სამყარო,
 ბედად მიწის და ბედად ბალახის...
 თითქოს, წვიმების ცრემლი მკარნახობს,
 გულს რომ დუდაბში კვერცხად ჩავახლი...
 და გადავაქცევ დროის მითებად,
 სანთლების სათქმელს, შეცვლილს დუმილით,
 მზე ლაჟვარდებში რომ ითქვიფება,
 შაქარმოყრილი კვერცხის გულივით!...
 სინათლეს ველი თუნდაც ცრემლისგან,
 რადგანაც ტვირთი ხსოვნით დაეძარი...
 და სიკეთისთვის თუ გავჩენილვარ,
 მერქვას პატარა ხორბლის მარცვალი...
 აქ არ სჭირდება გრძნობებს გახედვანა,
 უნდა მიეუშვა ველზეც, წყალგაღმაც;
 თუნდაც, მიწის ქვეშ მზე რომ დამხედავს,
 ამოვიზრდები მეც ერთ ბალახად...
 თუნდაც, გლუხკაცმა გუთნით გადახნას
 მცდელობა, სულის ერთი მოთქმითაც,
 მე არ ვინანებ, თუკი ხანდახან
 გავითულები ცხენის ფლოქვითაც...
 წამოვფრენილვარ მინდვრად გნოლივით,
 თუმცა გამხვიეს დიდ ქარტყილშიც,

მაინც დამერქვა ჭირგამოვლილი,
 გადარჩენილი კლდის ნატეხივით...
 ხარიც ვყოფილვარ მარილნალოკი,
 რქებზე მზიანი ცისკრის გვირგვინით
 და მიწის მადლი, წყალში ნალბობი
 მიტარებია დიდი სიღინჯით...
 მე ტკივილებსაც ბედში მივითვლი,
 გლქკაცს დღესაც რომ ყურძენს უწურავს
 და მზის სისავსეს, ბლების სიწითლით

ჩამოვიკიდებ ყურზე კუნწულად...
 ზეცას ღრუბლები ვერ აბურღავენ,
 გზა ვერ გახდება შურით თელილი,
 რადგან ფიქრები ჯერაც ბრუნავენ
 ბედსმინდობილი ურმის თვლებივით...
 ცისარტყელებსაც მივანდე ფიქრი,
 გზებს კი ვერ ავცდი მაინც ურთულესს...
 და ახლა გულის ფიცარზე ვითვლი
 რწმენით გამოჭრილ ტაძრის ჩუქურთმებს...

ბრუნავს სამყარო...

ბრუნავს სამყარო, ბრუნავს მოთმენით, გზებს რომ დარდებად ამოიკეცავს...
 ვეღარ მიცვნიანა მუხა ფოთლებით, დარდი კანზედაც ამოიქერცლა.....
 ბევრჯერ მინახავს ვაზის ტირილით, ყაყაჩოებზე ცვარის აკინძვაც,
 ის რაც შეჰხარის ყვაილს ჩიტვით და გამოყოლა იცის აკენიდან...
 თუ გაუმშრალი გზა და ჭირხლია და ვერ იტანენ ასკილს სიწითლით,
 თუ არც ზღვა ამბობს ზღაპარს ტკბილხმიანს და ვერც ცამ გახსნა ნასკვი მიწისთვის, -
 ღმერთო, შენამდე ისე ახლოა, რომ ემბაზისფრად დღე სულს ჩამიდგამს...
 და აათრთოლებს მწიფე მაცვლოვანს, ნინოს ნაწნავით შეკრულ ჯვარისგან...
 თან საფიქრალსაც დაყრის საცერზე, რომ ღრუბლებივით გაცრას ფიფქებად...
 მერე კი, ყინვით დაღლილ საცეცებს, შემომჩიჩიებს დასაფიქრებლად...
 მე მხოლოდ ჩემი ფიქრი არ დამაქვს, მუდამ ასეა, თუკი ვიდროვებ...
 ბოგანოსავით დავალ კარდაკარ და სხვის ღმილებს მუჭში ვიგროვებ...
 გზად რომ დათქერილ ხორბლებს ვითვლიდი, ნაქარიშხალი გული ამტკივდა...
 და მერე მივხვდი, რომ ეს ტკივილიც, გამოყოლილი მქონდა აკენიდან...
 თუ ცხრა მთას იქით, ზეცაც მეცხრეა და არ გამხდარა არვის სადაოდ,
 ნურც იმას მკითხავთ, ცა რომ ვერცხლდება, რატომ მივიჩნევ ქარვისადაო...
 მესაიდუმლედ ნაცადი ღამე, ფიქრს მტევანივით ხელში თუ წურავს,
 მღვრიე გუბებში ჩავარდნილ მთვარეს, რატომ ვადარებ ბლების კუნწულას...
 ნუ მკითხავთ, როცა ღრუბლების იქით, ჩიტს გულყვითელა მზედ დავიგულებ,
 რაღატომ ვიწვევ დუელში სიკვილს, ან რატომ ვმალავ სველ თაიგულებს...
 რატომ ვარწყულებ დარდის ძირხვენებს, ატმის ხესავით სულში განატოტს...
 და მდინარეთა გაწვდილ ცივ ხელებს, ნეტავ, ან რისთვის უუცვლი კალაპოტს...
 მე ველოდები გამონათებას, როგორც სიყვარულს, მხოლოდ ცნობიერს...
 მადლი რომ ბნელშიც მენთო სანთელად, გმადლობ, უფალო, რომ მაცოდვილე...
 იქნება ბედიც არ მაწყველინო, თუმცა წვალებით ვზიდე მარხილი...
 და კიდევ ერთხელ ამაწვეინო, თავი, მიწისკენ მიძიმედ დახრილი...
 ღმერთო, შენამდე ისე ახლოა, რომ ემბაზისფრად დღე სულს ჩამიდგამს...
 და აათრთოლებს მწიფე მაცვლოვანს, ნინოს ნაწნავით შეკრულ ჯვარისგან...
 ცრემლიც თუ ფიქრად თვალს მომადგება, ბედს მაინც შეცვლის, შეცვლის პირწმინდად,
 ასკილის წითლად ამონათება, სევდაშერეულ თეთრი ჭირხლიდან...
 ვერ გამოდგება ის გზა ნარჩევად, და ეს მკლაუებიც აღარ მკლაუობენ,
 თუ მზეს, ოცნების დედა – მარჩინალს, მიაგორებენ სასაკლაომდე...
 მაგრამ პასუხი უმალ განარჩევს, სუნთქვას, რომელიც ბავშვივით წრფელობს, -
 მეც სიყვარულით უნდა გადავრჩე და დედამიწის დაღლილი სფეროც...



ლევან ალავერდიაშვილი

ჩუმად! უსმინე!

ჩუმად! უსმინე!
 რაა იგი ამდარად ტკბილი,
 ოდეს მწუხარში სიზმარულ ვარდთა მორევით
 ჩვენც იქით მივალთ, ასე წყნარი და ასე თბილი
 და იმ მძინარეს მოწიწებით ვეამბორებით...
 იყო წარსული...
 ახლა გვტკივა ყოველი წუთი,
 მოვა მერმისი
 და აწმყოთა ცოდვით იალეებს,
 დაიხლართება ეშაფოტი დემონის ხელით
 და ვიდაც მწარედ აღსარებას დააგვიანებს.
 ჩუმად! უსმინე!
 რაზედ ოხრაეს ძველი ტაძარი,
 მე ავტირდები,
 ცრემლი ედოს თვალეებს ხუნდებად,
 ჩქარა ზარები! ზარზე ცეცხლი!
 ეს არს, რაც არის,
 იგი წაუიდა, იგი გაქრა, არ დაბრუნდება;
 და შენც ნუ მიშლი,
 მე ეს შხამი წარსულშიც შევსვი,
 წარსულშიც ვიგრძენ ზურგის ქარად გემო ტყვიისა;
 ეს კი სუნთქვაა, რაც ჰგონიათ სხვეებს მარტო ლექსი,
 სუნთქვა შენი და მიმწუხრება ბეთანიისა.
 ჩუმად! უსმინე!
 განწირულის მომაკვდავ ძახილს,
 ღამეს, რომელიც მიძინების ცრემლით ივსება,
 თუნდაც იმ აჩრდილს,
 მწვანე ნაძვთა უშობელ აჩრდილს,
 რომელსაც შობა საუკუნოდ არ ეღირსება.
 ჩუმად! უსმინე!
 ის ტაძარში ბინდისას ვედრებს,

ჰაერს ლანდებად მოსდებია იგი ვედრება,
 რა საბრალოა, ჰანგი ამოდ რომ ჩავლის კედლებს
 და ხშირძილიან სასაფლაოს გადაედვრება.
 ჩუმად! უსმინე!
 მომლოდინეს სასწაულს ღვთისას,
 ვინაც არ ნაღვლობს, ისევ ბაუშვი განშორდეს სოფელს
 და რა დიდია იგი მაშინ, რომ არა თვისას,
 სხვის სულს ავედრებს
 მუხლმოყრილი ქალწულ ღვთისმშობელს.
 ჩუმად! უსმინე!
 სამრეკლში ზარების გრგვინვას,
 ოდეს მიწაზე ქერუბიმთა სუნთქვა ვარდება,
 ღამე რომ იმკობს თეთრ მნათობთა ელვარ გვირგვინებს
 და ჩვენს ყოფაზე შეშლილივით ახარხარდება...
 ჰოდა, ნუ მიშლი,
 თუ ეს შხამი წარსულშიც შევსვი,
 წარსულშიც ვცანი უტკბესისგან გემო ტყვიისა,
 ეს კი სუნთქვაა, რაც ჰგონიათ სხვეებს მხოლოდ ლექსი,
 სუნთქვა შენი და
 სუნთქვა დიდი ბეთანიისა.

აის ვარსკვლავია შენი ორეული

ემაგ თოთო თვალთა მშვიდი გაცეცებით
 ბაღად განაზღვები, იად აკვირტლები,
 რავი, ვის ეძლევი ქალურ დამორცხვებით,
 როცა სურათიდან შეველად მაკვირდები.
 რავი, ვისი ხდება მზერა შორეული,
 ასე მოძალულად სულში შენადღერევი,
 აის ვარსკვლავია შენი ორეული,
 როს რომ, არა ჩემი, ჩემად მენატრები.
 იქნებ მომიღამდა ქვეყნად დასარჩენი,
 ოდეს იმედცვლილი ზვალეს დღეს დავტირი,
 რავი, ვისად მოგრთავს დილა გასათენი,
 ცრემლი მომძალავია შენდა შესაწირი;
 როცა თოთო თვალთა ნელი გაცეცებით
 ბაღად განაზღვები, იად აკვირტლები,
 რავი, ვის ეძლევი ქალურ დამორცხვებით,
 როცა სურათიდან შეველად მაკვირდები.

ჭიაკოკონა ჩვენს უბანში

ბავშვობის წლები ცოცხლდებიან ეტიუდებად,
 მე ეს საღამო სადღაც სულის სიღრმეში მტკივა,
 რომ ჩემი ბიჭი პაპას ისევ ეჯიუტება,
 ჩამქრალ კოცონზე დააყაროს გამხმარი თივა.
 ჭიაკოკონა, წყნარი ეზო დობილი ბზებით
 და ჩემი სული პოეზიის უქრობი კერა,
 ადრე მოსილი გადარევის ფანტაზიებით,
 ამ საღამოთი შიშველია, როგორც ჰეტერა.
 ქუჩას ირეკლავს ცრემლიანი გუგები თვალის,
 ღამე დახსნილი უფსკრულების სიღრმეში გორავს,
 ვამბობ — აღსრულდეს მარადისი ნება უფალის
 და ბაღლურ ჟინით გადაუფურენ ჭიაკოკონას...
 თან სიყრმის წლები მომპირიან ეტიუდებად,
 და ეს საღამო ისევ სულის სიღრმეში მტკივა,
 რომ ჩემი ბიჭი პაპას მაინც ეჯიუტება,
 მინაეულ ღაღარს დააყაროს გამხმარი თივა.

ო-ს

გაზაფხულის საპატარძლო *

ქეთევან

შენ ქალაქს ითმენ, მე მთასა, ვერ მხედავ მგლოვიარესა,
 როსნამდის უნდა მოგტირდე, ვიდენდე მწარე ღვარებსა,
 ტატანს გაეხედავ, მოვლანდავ ხშირწამწამიან თვალებსა,
 რომ ედრებიან მნათობით დღითი მზეს, ღამით მთვარესა,
 ღრუბლებს აყოლებს ამბორებს მომცურავთ ქართლის მხარესა,
 დამღონე ფიქრი მიმონებს, ვახთუ სხვა შეგეყვარებსა,
 ჩაგაცმევს დარაიასა, კოცნასაც შეგაპარებსა,
 ყვაეილს დაგთონის კულულზედ ნაკრეფს ედემის კარებსა,
 მოჯარავს ეჯიბ-მეჯვარეთ დიაცთ ყელღილიანებსა,
 დედოფლის გვირგვინს მოგახდენს, ფერხითი გაგიფენს ხალებსა,
 მე კი უკლოს და უხანოს არცა ვინ შემობრალეებსა,
 სადმე ობლობით მომკვდარზე ყვაე-ძერა გაიხარებსა,
 უგლოვ-უცრემლოდ დატოვილს მიწაც არ ჩამიფარებსა,
 ტყით მგელი აყმუილდება, მთები ეტყვიან ზარებსა,
 ღამე იუბნებს ჩემს სიკვდილს კაცთათვის შესაზარება,
 აიყრებიან მწყემსებიც, ბარს ჩააფენენ ფარებსა,
 დაიზამთარებს, დაბარდნის თეთრად არაგვის ჭალებსა,
 მაშინ სულ ცალად დავრჩები, ქეთინს მოგყვები მწარესა,
 ვინ ააჩქამებს სიათას, ჩახმახს ვინ ატრიალებსა?!
 ცხენსაც არავინ დარახტავს, არ დააჭედებს ნალებსა...
 ნეტავ ვინ ჩამოითალხებს, ან და ვინ გაიხარებსა,
 ვინ მოიგონებს უდროოდ დამეშენასვამ თვალებსა?!
 შენ კი თუ მაინც მიხსენებს, დამტირებ შესაბრალეებსა,
 ვფიცავ, იქაც კი გავიგებ, მკვდარ გულიც გაიხარებსა.

ფერი წმინდა ზეცად ოდეს
 დაეძებდეს დასავანისს,
 ზნე და კლემა შეგშვენოდეს
 დედოფალი ქეთევანის.
 ვისით მანგიც მოხიბლულა,
 ნუთუ მართლა შენ ხარ, ერთა,
 ნუთუ მართლა შენზე თქმულა —
 „მზე შინა და მზე გარეთა“...
 გიღიმოდეს ღვთისმშობელი,
 ნანა გითხრას ფოთოლცვენამ,
 ჩემი დასატირის მეტი
 ცრემლი არ გარგუნოს ზენამ...
 და მთიებად მემრისისა
 მე ვილოცებ მარად გასძლო...
 იყო ყინვათ ნემესიდა,
 გაზაფხულის საპატარძლო.

* ეს ლექსი „ხორნაბუჯის“ მე-4 ნომერშიც გამოქვეყნდა, მაგრამ მას აკლდა მე-3 სტროფი და ადრესატიც არ იყო მითითებული.



ჩამსაფრებინარ...

ჩამსაფრებიხარ, გზაწვრილო,
 გაწყდი, თუ ასე გწადია,
 ზურგში მახვლის დარტყმა ხომ
 შენი წესი და ფანდია!

ელდარ ჭიჭიაშვილი

მოგდევ, მოვიმკი „ძმათაგან“
 გზა-გზა დაგებულ დალატებს,
 თუ რამ მებადა, გამძარცვეს,
 წილი ვუყარე ჯალათებს;
 ვიცვლი ბრევივთაგან ნაბოძვარ
 და ნაფეშქაშარ ხალათებს,
 ნეტავი, უფლის დიდება
 როდისლა შემომანათებს?
 ვერ გაუქეცი ვერსაით
 ბედისგან ნასროლ ქამანდებს,
 ვერ შევახდინე უდაბნოს
 ძახილი, რაც შევღაღადე;
 ვერც მოვიფონე მარყუჟად
 ყელს მოჭერილი სამაღდე,
 აუდექ და სევდის მორევში
 თევზივით შევინავრდე!
 ტკივილს ვერ შემომსუბუქებ,
 მფქვავს მოსაკოდი დოლაბი,
 თუ სიხლი ცრემლით არ მბანე
 და გული გულს არ მოაბი!
 ჩამომისუსხე სურვილი,
 ანკარა, შეულახავი,
 მე გულით შემოგხაროდი,

შენ გულში დამკარ ლახვარი!
 თოკზე გამობმულ ხბოსავით
 ისევ შენ მოგდევ გზაწვრილო,
 რომ სუნთქვა თხილის გულივით
 ტკივილებს გავეუნაწილო!

წრუთა ამბორით...

წაიბილწება ცრუთა ამბორით
 სისხლით ნაწერი შუბლის ვარაყი,
 მსუბუქი მიწაც კი დამძიმდება,
 თუკი უგულოდ გულზე დამაყრი,
 წითლად მიყვავის კეფა და შუბლი,
 ეკლის გვირგვინად მექცა სახელი,
 ეგონებ, მეშველა, მომიხლოვდა
 ბნელით ნათელში გადასახვევი!
 სინათლისაკენ მიმაგალ გზაზე
 ბევრჯერ მეცვალა გეზი და მხარი,
 დუმილით შევკარ ჯვარი ტკივილთა
 და სული ჩემი ზედ გაუკარი!
 აჰა, აღმოხდა მზე სისხლისფერი,
 ცისკრის ემბაზში ნათელი ბარტყობს,
 რა უდაბური გახდა სოფელი,
 თოვლის უდაბნოს მიყვებები მართო!

სახლი აგიგე, უფალო!..

სახლი აგიგე, უფალო,
 ჩიტის გულივით პატარა,
 პირჯვარი გადავიწერე,
 ვძლიე ბნელი და სატანა!
 მოგენდე, ნათლად ამენთუ,
 მექმენ იმედთა საფარად,
 ჯვარი ვიტვირთე უღლად და
 ტკივილი — გუთან-სათარად!
 წმინდა სანთელი ავინთე
 დედის ცრემლივით კამკამა,
 შენკენ სავალი ვიუნჯე
 ჭირნახულად და სამკალად!

სოფელი

თუ შეგიყვაროს სოფელმა,
 გულიც თავადვე გატკინოს,
 ხან ჯვარს გაგაკრას მადლისთვის,
 ხან ლიქნით მოგეხმატკბილოს,
 ზურგში დანა გცეს და თანაც,
 შემოგლიღინოს ოსანა,
 სოფელი რის სოფელია,
 თუ ლაფში არ ამოგსვარა?
 რაც უნდა დიდხანს გაებას
 სიცოცხლის სევდა-ლმობანი,
 სულ ერთი მოთქმა დაიტევს
 და ერთი შესანდობარი!

რა ტკივილია მანძილად?

სად დაილია ნისლივით
 სოფლის უაზრო დგანდგარი,

რა სინანულმა მინაგლა
 სულში მდუღარე ხანძარი?
 რიყეზე უწყლოდ დაგდებულ
 გული თევზივით ფართხალებს,
 ბევრჯერ ნასეტყვს და ნამქნარს
 მაინც ერთი რამ ახარებს,
 ვიდაცა ბუდობს გუმანში,
 მასთან ათენებს, აღამებს,
 სისხლის დუღილად აქუნებს
 საბრძოლო ბუკს და ნაღარებს,
 ცას მედგრავს ლალი კვილით
 კლდის თავს მომდგარი სახარე!
 მეც ბევრჯერ გავეპასუხე
 და სისხლით მივესაფარე!
 ვინატრე სანატრებელი —
 ცას ბორჯღლად შლილი მზებადე,
 ხელთ ჯავარდენი მეჭყრას და
 მტრის სისხლით მიწას ვლებავდე,
 ზეცით კურთხევა დიოდეს,
 მეც ორლესულად ველავდე,
 რომ მტრის სულები ვისაგზლო
 კიდევ საკვირველ ძლევამდე!
 მერე კი... სევდის ტალღებში
 მთის კალმახივით შევქანდე!...
 რა ტკივილია მანძილად
 გულიდან ცრემლის წვეთამდე?

ფლეებო...

გულს ბორგვა შემომჩენია
 ხოგაის მინდის მახვილის,
 ან იქნებ წინაპრის ხმაა,
 მიწიდან ამოძახილი!
 შემომყურებენ დღეები,
 მხერაში უჩანთ მდურება,
 მომდგარან სახლის დირეზე
 დაქანცულ ბედაურებად.
 ის ერთი დილა, მზიანი,
 შორით რომ მოჩანს ზმანებად,
 რად არ ერევა მარაქას,
 უხედნ კვიცივით თავნება?
 ხან გულზე მდგება ტორებით,
 ხან საისრეზე შშორდება,
 ხან სადღაც გაინაპირებს,
 მესმის ურვა და გოდება!
 რას დაშლივინობს ჭიხვინით,
 ვის ან რას მიეძრახება?
 მთიდან მზირალი ტაძარი
 შავ-მწვანედ რად ითალხება?
 ყველა აქ დაქუნებულა,
 ეს სადაური დოლია?!
 მიწას ჩასცქერენ დუმილით
 და სევდის ლაგამს ლოღნიან.
 განა სულ უნდა ვიგლოოთ,
 ზოგჯერ სიმღერა მწაღია,
 ნასეტყვი გული ვუფონო
 დეთისშშობლის მიწას, მადლიანს!
 ცას ჩამოყვარო ჰანგები,

უფლის გულიდან მდინარი,
 იმ ხმაბადაგში ვაბუღო
 ამ საგულეში ვინ არი!
 სადროშოს შემორჩენილი
 დედის ფერთალხი თავშალი,
 ჭერხოდან გადმომზირალი
 პაპის ხმალი და ჯავშანი,
 მიღმახევს დაყუდებული
 ციხიონი და ლაშქარი,
 სისხლით და ცრემლით ნაცვარი
 ციხე გულს ჩამონაშალი!
 გაიამინდეთ, დღეებო,
 მორჩით ნისლებთან ბორიალს,
 წინ ისევ გველის გოლგოთა,
 ტაძრამდე კიდევ შორია!

სამასი პიროფლიანი...

სამასი ლომის ბოკვერი,
 ყველა საჯიშე ხარია,
 ნეტავი საით მიდიან,
 საით რა მიუხარიათ?
 ამდენი დედის სილაღე
 რა წერას აუტანია?
 მთიდან მომსკდარი ზვაგი თუ
 შავჩოხიანთა ჯარია?
 ცა რად იკვრება სატირლად,
 პირს რად იბურვენ მთანია?
 გულამღვრეული არაგვი
 რა ცრემლებს დაუბანია?
 რად გმინავს გაუტყეელი,
 დიდი ლაშარის ჯვარია?
 - სამშობლოს უნდა შესწიროს
 თავის გაზრდილი ყმანია.
 კრწანისის კართან ჭექს და ქუხს,
 ცას სკდება სისხლის აუღარი.
 სამასი უმანკო კრავი
 მსხვერპლად შეწირვად მზად არი.
 სამასი სულის სანთელი
 უნდა დაიწვას კამკამით,
 ღვთისმშობლის მიწად გადიქცეს
 სამასი მოყმის მხარ-მკლავი!
 სამასი პიროფლიანის
 სისხლი არაგვმა დაღია,
 დედას მოუკვდეს სამასი,
 ვაი, რა ცოდვა-ბრალაია!
 სამასი უხედნი კვიცი
 ერთი მეორის მგვანია!...
 ვახ, რა ვთქვა? იმათი სისხლი
 ჯერაც ვერ მოგვიბანია!

ვაი, შენ, ჩემო სიწოცხლეც...

ვაი, შენ, ჩემო სიწოცხლეც,
 მზის ქვეშ პატარა ნიაგო,
 როდემდის უნდა გეფერო,
 როდემდის გელოლიაუო?
 ყველა სანთელი ჩაქრება,

ყველა ადრე თუ გვიანო,
 მანამდე გულის ჭრილობა
 რა სალბუნებით გიამო?
 ზოგისთვის მადლად ანთიხარ,
 ზოგისთვის საყვედრებულად,
 ზოგს შენი სუნთქვა ესულთქმა,
 ზოგს კი — ემძიმა-ებვერა!
 ვინა თქვა დედინაცვლისგან
 მუქუს წოვება გერისა?
 არ იკურნება წამლობით
 გულში ნაკებნი გველისა!
 ვაი, შენ ჩემო სიწოცხლეც,
 მზის ქვეშ პატარა ნიაგო,
 მზის იქით გელოდებიან,
 ვინძლო, არ დაიგვიანო!

სასძლო ხაზართა

ფრის ვიწროში ვერ გაეტია,
 რისხვად შეტბორდა წარღვნა ხაზართა,
 ცეცხლით და შანთით გადაიარეს,
 ჯვარ-გუმბათები ღწეწეს ტაძართა,
 წინ ფიანდაზად ფინეს გვამები,
 დულდა საკირედ რკინა და რვალი,
 მათ ხახა-მუცელს რაც გადაურჩა,
 აღმა ადინეს ფრისა წყალი.
 მოსრეს უჯარმა, დარბაზ-პალატნი,
 ცეცხლით აღგავეს ეზო-შუკანი,
 გველემპაპივით შემოგვანჩქრის
 სუნთქვა სტომაქის ლემ-სისხლეკმარი.
 ვაზი მოთხარეს, ბალი გადახნეს,
 გადაატარეს ცეცხლის გუთანნი,
 ჩამოგვიშალეს ციხის ზღუდენი,
 ლარით აივსეს ხურჯინ-გუდანი.
 ჩამოგვიწვიტეს ოქროს ბორჯღალი,
 ჩამოგვიღწეწეს ცის ბროლ-შუშანი,
 სხივ-ნამცვრევევით, ბოჭორმის ციხით,
 გამოიყვანეს ქალ-მზე შუშანი.
 გალაღებული, ნაალაფარი,
 ხაზართ სარდალი მიჰქრის ბლუჩანი,
 ძოწეულით და ფარჩა-ატლასით
 მოსილი ეტლით მიჰყავთ შუშანი.
 გადაიარეს კახეთი, ქართლი,
 მტრის ნაოხარი და ნაფუშარი,
 არ ჩანს მდევარი, სახეს იხოკავს,
 წყლული წყლულს ერთვის მოუშუშავი.
 პა, გადაიხსნა დარიალანი,
 თურგი ბორგავს და რისხვით მძვინვარებს,
 დაემშვიდობა ქალმზე შუშანი
 სამშობლოს ცას და სპეტაკ მყინვარებს.
 მტრის დედოფლობას მიჯობს სიკვდილი,
 არა, ჩემს მიწას ვერ შეველევი,
 ბოჭორმას შეწყდა სიწოცხლე ჩემი
 ვეღარ მომწვდება მდევარ-მშველელი,
 ბეჭედს ახადა თვალი ზურმუხტი,
 გესლი ასპიტის შავ-მწვანედ ჩანდა,
 ბაგე შეახო, შესვა სიკვდილი
 და სიზმარეთში გაუჩინარდა.



ლევან ლორია

სოფელი

მეღა მეჩხუბება, რა წერა ავიტყუე, წერას ვყა- ვარ ატანილი, თუ მაინც და მაინც, სახლში დავეციო და ვწერო რამდენიც მინდა. მამა სტა- ტუს-კვოს ინარჩუნებს, რაც გინდათ ის ჰქენითო, სრული კარტ-ბლანში მომცა.

„შენ ხარ მამა?!“ - სამზარეულოდან ბოლო ხმით იძახ- ის დედაჩემი. „აბა ვინ ვარ, ქალი?!“ ტელევიზორთან ხმას და წარბებს ზემოთ ერთად წვეს მამაჩემი. „იცი მაინც სად უშვებ ერთადერთ ქალიშვილს?!“ - შეტევაზე გადმოდის სამზარეულო. „გეჯდეს აბა სახლში უმაღლესდამთვრე- ბული პრინცესა!“ - პასუხობს მამაჩემი და ტელევიზორს ბოლომე უმაღლესს ხმას. მე კი ამ ორომტრილასა და გორგოლაჭებიან ჩემოდანში ერთად ვალაგებ იმდენ ბარგს, თითქოს ერთი დღით კი არა, ერთი თვით ვაპირებდე სადმე დარჩენას.

ჩემი ნაწერი არ გაიშვა - ვჩხაპნი რაღაცას. ერთმა ნამ- დვილმა მწერალმა, ფეის ბუკ მეგობარმა, მაკამ, ხომ ვიცი რომ წერ, კონკურსია, თუ რაიმე გამოუქვეყნებელი გაქვს, გააგზავნეო. „გამოქვეყნებული რა გვაქვს, რო-მეთქი“, - გავიფიქრე, გაგზავნით კი მართლა გაუგზავნე და რაოდენ სასწაულიც არ უნდა იყოს, ფინალში მოხვდები, ხოდა იმერეთს მივემგზავრები.

დედაჩემმა არ იცის, რომ იქ ოჯახებში უნდა დაგვარი- გონ, თორემ მერე ნახეთ მისი ოფოფები. მე უამრავი ნაკლი მაქვს. რომ ვვლახნი რაღაცეებს, ეს უკვე იცით. 2. აუღე- ბელი ციხესიმაგრე ვარ თაყვანისმცემელთა შემოტყვების, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამაში ნატოს ჯარი მუხმარება. თუმცა გადატანილი მაქვს რამდენიმე ბატალეა, იმდენად

გამოთაყვანებულ ინდივიდებთან მქონდა ომი, გამარჯვება დიდად არ გამჭირვებია. 3. ვერ ვწევი სიგარეტს, რამდენ ნაფაზს დაფარტყამ, ვიგულები და ხველა მახრჩობს. დაქა- ლები დამცინიან, თუმცა დაცინვას კაცი არ მოუკლავს, არც ქალი, სიგარეტს - კი. გარდა ამისა და მთავარი - ვარ მშიშარა. მეშინია ახალი ადამიანების გაცნობის, მეშინ- ია ყოველგვარი სიახლის. მეშინია იმისაც, რომ შიში არ შემატყონ და იძულებული ვხდები წავიდე სადღაც გადა- კარგულში, ხარაგაულის რაიონ სოფელ ფარცხნალში, სადაც ვიცი რომ პირველად მიწვეს ღამის გათენება უცხო ოჯახში. თავს იმით ვიიძებლებ, რომ მართო არ ვიქნები, მაკაც ჩემთან ერთად იქნება.

საბედნიეროდ ავცილდი ტალახს: არც დედაჩემს, არც მამაჩემს სოფელი არ აქვთ. ამბობენ გოგიორდის წყალში ჩახარშული ხოხბის დროინდელი თბილისელები ვართო, არადა მამა გურული დარჩიდა, დედა კი კახელი ჯავახ- იშვილი.

თბილისიდან კონკურსის მონაწილეები ავტობუსით მი- ვლივართ. მაკა კარგ ხასიათზეა. მონაწილეებს მაცნობს. მე დაძაბული ვარ. უგუნებობას რომ მატყობს, მეკითხება რა მჭირს. ყველაფრის ახსნას, რაც მჭირს, მირჩევენია მოგატყუო. ვეუბნები, რომ კბილი მტკივა. რაღაც აბს მა- ძლევს, დალიე გაგიფლისო. იძულებული ვარ ისე მოვიქცე, როგორც საგიჟეთში იქცევიან ნორმალურები, ანუ ვაკეთებ იმის იმიტაციას, თითქოს აბი დავლიე. გზა სწრაფად გაი- ლია. უკვე ცენტრალური ტრასიდან გადაუხვით. შვეჩ- ერდით სამი დღეის ქანდაკებასთან. გვეუბნებიან, რომ ამ ადგილს ხანდები ჰქვია. გადასარევი დასაწყისია - დევები მინდა ზუსტად!

ცოტაც და უკვე ფარცხნალში ვართ. აქ თურმე გალაქ- ტიონი მასწავლებლობდა. ეკლესიის ეზოში უამრავი სტუ- მარი თუ მასპინძელი ირევა. არიან უცხოელებიც, - თუ ებრაელს უცხო შეიძლება უწოდო. კონკურსის ძირითადი სპონსორები ისინი არიან. ეკლესიაში მამაო გვლოცავს. დადგა თემის გამოცხადების დრო. „ქალაქი“. ვცურაობ არ ჰქვია ამას, უფრო ვჭყუმალაობ. მიხარია. ქალაქზე წერას რა უნდა, სულ ქალაქში არ ვარ?!

ახლა ოჯახებში კონკურსანტების დარიგების დროა. ვხედავ შუა ხნის სათნო ქალბატონი გვეძებს, ქეთი და მაკა რომლები ხართო. ჩვენ ბარგებიანად მივყვებით, თან თემაზე ვფიქრობ, სიუჟეტს ვხაზავ, უცებ დატრიალდა კადრები: ქალაქელ კაცს საჯარო ბიბლიოთეკაში შესვლა სურს. საშვის გარეშე არ უშვებენ, სადმე ხომ უნდა შევიდეს, ხოდა შედის კაზინოში. ჯერ აგებს რაც ჯიბეში ქონდა, ქეშად. მერე რაც აქვს საბანკო კარტებზე, მერე ბინას და ახლა ცხოვრობს რუსთაველის მეტროს წინ აივნიან ჭადარზე.

ამასობაში „BMW“ -ს ჯიპთან მივსულვართ. უმახე სოფელი, ან შეიძლება ვიღაცის სტუმარია. წამსვე იმსხ- ვრევა ილუზია. „შვილო გადმოდი, მოგვემარე, ესენია ჩვენი სტუმრები, ეს ჩემი ბიჭია, ამირანი, რაუა ვთქვა, ოცდაათის ხდება მალე, ქალისკენ ვერ ვახედებ!“ - უცებ დაგვიხასიათა მასპინძელმა მძღოლი. აგრძელებს - „ხო მე დალი მქვია, თქვენ ქეთი და მაკა, ხო?“ ის ჯველი, ამირანი, იყურება მანქანიდან ამირანივით. ძლივს გად- მოიზღაპნა. მგონი არც აპირებდა ჩვენსკენ წამოსვლას, ჩვენ სახელები ვუთხარით და თვითონ ჩამოვართვით ხელი:

„ამირანი!“ - ჩაიბუხუნა იმანაც. ალბათ უფრო დევს თუ ექნებოდა ასეთი ხმა, თუმცა არც ამირანის ხმა ვიცი ზუსტად. მართლა დევით დგას, რაღა ის და რაღა ხანდებში ნანახი დევები. მე და მაკა მხრებამდე ძლივს გვწლებით. სანამ ვარკვევდი ამირანს უფრო ჰგავდა თუ დევს, ჩვენი ჩანთები საბარგულში ჩააწყო. რომ ჩავჯექით, მზერა ვიგრძენი, თურმე სარკიდან მიყურებს - გამჭოლი მზერა ჰქონდა, თან შიგნიდან, გულიდან წამოსული. მეც რომ გავუსწორე თვალი, მზერა ამარიდა. დალიმ, აკი ქალისკენ ვერ ვახედებო! უი, დალი ხო ამირანის დედას ერქვა, ეპოსში ვარ მოკლედ.

მანქანამ თხუთმეტობდ წუთში ფარცხნალის მეზობლად, ახალსოფელში მიგვიყვანა. გაფართოებული თვალებით ვუყურებ კოხტა ეზოებსა და სახლებს. მე როგორც დიპლომატი დაწვევების მასწავლებელი, ვინტერესდები სკოლაში მასწავლებლის ადგილი აქვთ თუ არა. დალი ამბობს, ადგილების მეტი რა არის, თუმცა თვითონ სკოლა არ არის, იმიტომ რომ სასკოლო ბავშვები არ ჰყავთ. გული მწყდება, არადა რა კარგი სოფელია. ამასობაში შევდივართ ერთ ლამაზ ეზოში. ირგვლივ სხვადასხვა ყვავილები და ვარდები და საოცარი სურნელი. „არიქა, ბოშვები მშობრები იქნებიანო“ - გამარჯობა არც უთქვამს ისე გვხვდება მანქანიდან გადმოსულებს, როგორც შემდეგ გავიცანით დალის მეუღლე ფრიდონი, ამირანის თვალებით. აივანზე ავედით, სადაც ისეთი სუფრა იყო ოც კაცს დააპურებდა. ისეთი იმერული ხაჭაპური მივირთვით, სულ პირში დნებოდა. ამირანი არ დარჩენილა, მანქანა დააყენა, თოფი და ღურბინდი აიღო და სადღაც წავიდა. ჩვენც მუშაობას ვიწყებთ. გონებაში მოხაზული სიუჟეტი ახლა ფურცელზე გადამაქვს: „... დღე მეორე: ჩემი მეორე დღე ჭადარზე არც თუ ისე მშვიდობიანი აღმოჩნდა. ჯერ ყვავებმა ფენოვანი მომპარეს, ანუ გამოდის უსადილოდ დაურჩი. მე რომელიდაც სკოლიდან დელეგაცია მოვიდა. მასწავლებელმა ბავშვებს ის დრო გაახსენა, როცა ადამიანი ჯერ კიდევ ხეზე ცხოვრობდა, თან ასკვნის, რომ ისტორია სპირალურია. ერთ ბავშვს ზემოთ ამოდრომა სურს, სელფს გადაუიღებო, მასწავლებელი ფეხებზე დაეკიდა და ძირს ჩააგდო.“

დღე მესამე: ჯერ მიტინგი მოაწყო რომელიდაც პარტიამ ლოზუნგით: „აი რას გვიშვება მთავრობა“. მე რე მერიის თანამშრომლები მოვიდნენ, ერთი ზემოთ ამოძვრა, მეკითხება: „რა მოთხოვნები გაქვსო?“ მოთხოვნების მეტი რა მაქვს, მაგრამ მერიას დღეს ვინ უსმენს, არასერიოზული ხალხია, ვთქვათ და მეთქვა რომელიმე, შემისრულებდნენ? საბოლოოდ მოვითხოვე თავი დამანებეთ-მეთქი. ეს მოთხოვნა ისე სწრაფად შეასრულეს, გამიკვირდა კიდევ. ანუ მთავრობის ხმები იმის შესახებ, რომ „მერია არც ერთ მოთხოვნას არ ასრულებს“, მტკნარი სიცრუეა.

მაკა მეუბნება, დავისვენოთ ცოტა. ეზოში ვსვირნობთ. ხო ლამაზია ირგვლივ ყველაფერი, რაღაც აკლია - ამირანი. სად დაძვრება ნეტა. იმას ჰკონია ერთი თვით ვარ ჩამოსული?!

ისევ სამუშაოში ვეფლობი. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემს გმირს ხმა ჩაესმის, თითქოს იმ ადგილის დედა ეძახის, საიდანაც მისი წინაპრები იყვენ... ამასობაში დამდებდა. მაკა აივანზე გადის. „უიმე, ქეთი, მოდი რა ნახე, რა საოცრებაა“ — მეძახის იქედან. პირველი რასაც ვხედავ

- ამირანს თოფი დაუშლია და წმენდს. საოცრებას ცოტა უკლია - დღეა თოფით „სად იყურები გოგო?“ - სიცილით მეკითხება მაკა, - ცას შეხედე! ცას ვუყურებ. „ვაიმე!“ - უნებურად წამომცდა. ვუყურებ და თვალს ვერ ვუჯერებ: მილიარდობით ვარსკვლავით ოქროსფერად მოჭყდილი მელნისფერი ცა. პირველი ფიქრი, რაც მიველვებს: „ეს ვინ დახატა?“ ქალაქში ასეთი ცა არასდროსაა. უცებ მზერას ვგრძნობ ზუსტად ისე, როგორც მანქანაში. მოვიხედე, ამირანი მიყურებს, უკვე აწყობილი თოფით ასე მგონია თვალებიდან მესვრის. მე რე მზერას მარიდებს და თოფს ცას უმიზნებს. მეშინია: - „არ ესროლო, რა!“ - ვთხოვ. გაეღიმა. „კარგი!“ მე რე ისევ ოთახში ვბრუნდებით და წერას ვაგრძელებთ.

თენდება მეორე დღე. არც ამირანი, არც მისი მანქანა არსად არ ჩანს. ნოველას საბოლოო ფორმას ვაძლევ. კაცს ცოლი მოჰყავს, ვიღაცა მისი ჭკუის, ხეზე და გახარებული ჰოლივუდი იღებს ფილმს „ჭადარის შვილები“... მინი ავტობუსმა ყველა მონაწილეს ჩამოგვიარა და კვლავ ეკლესიის ეზოში ვიყრი თავს, მე ნოველას ვაბარებ. პროექტის ხელმძღვანელი, ქალბატონი იზა გვეუბნება, რომ კონკურსის შედეგები შეჯამდება ერთი თვის განმავლობაში და გამოცხადდება „ობიექტივის“ პირდაპირი ეთერით.

დამშვიდობების დრო დგება. ავტობუსმა ძრავა ააშუშავა. დალი და ფრიდონი ისე გვემშვიდობებიან, თითქოს მართლა შვილები ვიყოთ. მინდა ვიკითხო, სად ჯანდაბანია ამირანი, მაგრამ ვინ მომცა ამის შნო, მე ხომ მშიშარა ვარ! არადა, როგორ მინდა უბრალოდ დავინახო მაინც. არსად არის. ფეხს ვითრევ, მძიმედ მივახრივინებ ავტობუსისკენ ჩემს ბარგს. ის იყო საფეხურებზე უნდა ავიდე, გამოჩნდა. ოი, საოცრება, - ეზოს ვარდებით ხელში.

- ქეთი!
- ხო, ამირან!
- დარჩი, ა!

გვარი საიდან გაიგო, არკვიე ახლა. ყვავილები ისევ ხელში უჭირავს, სოფლის და ამირანის ეზოს სუნი აქვს მოტანილი. თუ ჩემთვის დაკრიფა, იმას ვერ ხვდება, რომ მომცეს? არადა მინდა წავიყოლო ეს საოცარი სურნელი, რითაც საესეა აქაურობა. უცებ ვაცნობიერებ, რა მითხრა?!

- რა მითხარი?!
- დარჩი, ა! - იმერობს ისევ. როგორც იქნა ყვავილებს მაწვდის. ყვავილები უკვე ჩემთანაა, მათთან ერთად ვატყობ ზეციური ქალწულის ყამარის ხასიათის შტრიხები მემატება, მშიშარა არ ვარ, გავაბრაზო კიდევ მინდა.

- დარჩი გვარია ჩემი!
- დარჩი, რა! - ამბობს. მზერა საცოდავი უხდება. არ მინდა ასეთი ამირანი იყოს. უცებ ჩანთის სახელურს ხელში ვაჩივებ, ავტობუსში ავდივარ და მაკას ვუბნებ, რომ ვრჩები. „ბილი აღარ გტკივა?“ - მეკითხება ის. ვუბნები, რომ გამიარა.

ავტობუსი მიდის. მე კი იმაზე ვფიქრობ, როგორ აუუხსნა დედაჩემს, რა მაგარია სოფელი, რა მაგარია ეს ამირანი, რომელსაც ახლა ხელში ვყავარ აყვანილი, ვარდებთან ერთად გულში ვყავარ ჩახუტებული და ჰაერში მატრიალებს.

მე, მამაჩემი, ორი მამიდა და ორი ალექსანდრე

რა არის რა, რატომ ვარ მოწყენილი? არადა რამდენი საქმე მაქვს. საქმე რა, ჩემი საქმე ახლა სწავლაა, მაგრამ რა ჩემი საქმეა სწავლა? არ ვარ ღღეს რაღაც სწავლის იმტაზე. რაღაც ლექციაზე წასვლა მეზარება. ალბათ ფაკულტეტის დეკანი ცოფებს ყრის ახლა, სად არისო. მაგარი ტიპია. როგორი იცი? აი ცხვირს რო დააცმინებს, მილონიო, რომ ეტყვი და ის კი, პაპალამო კი არა, 10 პროცენტით გიპასუხებს. პირველ ღღეს, გასაუბრება გეჭონდა და გვეუბნება, თქვენ ხართ ყველაზე კარგი პროფესიის ხალხი და თანამდებობისო, თან „პოხოდუ“ მე მიყურებს. ვა, ვფიქრობ, მინისიტრებად ხომ არ დავინიშნეთ, ვუთხარი კიდევ და რაღაც ფერი შეეცვალა. არა, ჯერ არაო, ჯერ თქვენი თანამდებობა და რამე სტუდენტობა და სწავლაო, გაზეთით ალაპარაკდა. მე რე სათითოდ გამოგკითხა ყველას რაღაცეები. მშობლები რას აკეთებენო რომ მკითხა, ვუპასუხე, მამა სკოლაში დადის და დედა ბავშვთა ბაღში-მეთქი, კინაღამ ინფარქტი მიიღო. აბა ჩემი რა ბრალია, თუ მამა სკოლის დირექტორი მყავს და დედა ბავშვთა სახლის. მე რე კი გავაიასნე, მაგრამ მაინც ახლა რაღაც ცუდი თვალთ მიყურებს. არადა ერთ თვალი შავი აქვს და მეორე ლურჯი და გაიგე რომელია ცუდი. რაღა ის და რაღა ალექსანდრე მაკედონელი. თან სახელადაც ალექსანდრეა, გვარად ფიფია. სულ მინდა ვკითხო მამამის ფილაზე ხომ არ ქვია და დედამის ოლიმპიადა, მაგრამ მერიდება. თან რაღაც არა მგონია, იმიტომ რომ არასპორტული ტანი აქვს. დაბალია და ჯმუხი. შეიძლება ექსკურსიაზე რომ წავალთ, მამინ ვკითხო, მე რე რა, თვითონაც ხო მკითხა მშობლებზე. ხო, ესკურსიაზე წავალთო დაგვიპირდა და ფეხბურთი უნდა გეთამაშოთო. სიცლით კინაღამ ჩავბურდი და რა გაცინებსო, მეკითხება და მეტი ვერაფერი მოვიფიქრე და რაღაცა გადამცდა-მეთქი. ნეტა ალექსანდრე მაკედონელი თუ თამაშობდა ფეხბურთის. ეს არ ვიცი, მაგრამ მაგრად მაინტერესებს ალექსანდრე ფიფია როგორ თამაშობს. დაბალია, მაგრამ პრინციპში მარადონაც დაბალი იყო და ჯმუხი და ფეხბურთის მეფობაზე კი ჰქონდა პრეტენზია და მგონი ეკუთვნოდა კიდევ. ექსკურსიაზე ვნახე რა მარადონაცაა. თვითონ ალექსანდრე ფილოსოფიას გვასწავლის. ერთხელ გვეკითხება, თქვენთვის სამყაროს აღქმა და შეცნობა როდის მოხდა, როდის გაიანზრეთ რომ ადამიანი ხართ და ის მომენტი თუ გახსოვთო. ერთი ჯგუფელი მყავს, მალხაზა და იმან სამშობიარო სახლიდან სახლში რომ გამომიყვანეს, „ტო ესტ“, მეშვიდე დღიდან უკვე შევიმეცნე სამყარო და მივხვდი რომ ადამიანი ვიყავი, იქედან მახსოვს ყველაფერი... მე რე ჩემი ჯერი იყო. მე პირადად ის მახსოვდა, ბავშვთა სახლიდან როგორ დავბრუნდით ერთხელ ერთად მე, მამა და დედა და როგორ ვიქეიფეთ. ეს არ მითქვამს, ალექსანდრეს ვუთხარი, პირველად ქალთან რომ ვიყავი, მამინ მოხდა ჩემს მიერ სამყაროს აღქმა და შეცნობა. ისეთი კარგი აღქმა იყო, იმ დრომდე კი მახსოვდა რაღაცეები,

მაგრამ მე რე უკვე ყველაფერი დამავიწყდა-მეთქი. ეს რომ ვთქვი ჯგუფელებმა ისეთი სიცლი (ბიჭები) და წიკვინი (გოგონები) ატეხეს, ალექსანდრემ წადი გართო. წამოვედი. ხმას არ მცემდა სამი კვირა....

ამ ფიქრებში კი გავერთე ცოტა, მაგრამ მაინც მოწყენილი ვარ. რომ ამბობენ საქმე თუ გაქვს, რა მოგაწყენსო, არ არის სწორი. მე რომ საქმე მაქვს მაშინ ვარ მოწყენილი. არადა სამი საკურსო და ხუთი სემინარი დასაწერი მაქვს. ხალხი კიდე ქუჩაში დამასაქმეთო, ყვირიან. საქმის მეტი რა არის, მუშაობა თუ გინდა! ვერაფერი გამიგია ამ ხალხის... აუტობუსში მთვრალი კაცი მომიჯდა ამას წინათ და დასაქმება მინდაო, მეუბნება, ვეუბნები, მე დაგასაქმებ, საკურსო მაქვს დასაწერი, დამიწერე-მეთქი, რამდენიმე კრედიტს ხო გააკეთებდა? შენა გიფი ხომ არ ხარო და სხვა სკამზე გადაჯდა, იქ ქალი დახვდა და ხომ არ შეგაწუხეო. არ ბატონოო, იმან. გავიდა ცოტა ხანი და კიდე ეკითხება, ქალბატონო ხომ არ შეგაწუხეო. არა ბატონოო კიდე იუარა ქალმა. მესამედ რომ უთხრა, ხომ არ შეგაწუხეო. შევწუხდი ბატონოო, ქალმა. მაშინ დამასაქმეო... მთვრალმა, ახლა იმ ქალთან გადავიდა შეტევაზე... მე კინაღამ სკამიდან გადმოვვარდი, ამიტომ ქალმა დაასაქმა თუ არა, არ ვიცი... მგონი უარი მიიღო და ჩავიდა მე რე ის კაცი ასე დაუსაქმებელი... ტელევიზორში ვნახე ამას წინათ, პოლიეუდში, ვარსკვლავთ ბულვარზე ერთ კაცს საქმე უნახავს და ვარსკვლავების წმენდა დაუწყია, ცაზე კი არა, მიწაზე. ასფალტზე რა, თუ ქვაფენილზე პოლიეუდის ვარსკვლავები რომ არის ჩამწკრივებულ-ჩაბეტონებული, იმათ წმინდავს და ტელევიზორშიც კი გადაიღო. აი, თბილისი ავილოთ, გასაწმენდის მეტი რა არის, ჰოდა საქმეც გინახავს... შეიძლება ტელევიზორშიც მოხვდე... ბოლო-ბოლო ხო ჩვენც გვეყავს ვარსკვლავები ფილარმონიის წინ, წმინდოს ვიღაცამ და იქნება დასაქმებული... რა იდეები მომდის?! არა მომდის, მომდის, მაგრამ რა ვუყო, ეს რომ არ ვიცი...

მოიცა ერთი მამიდეებს შევეხმიანო, რაღაც მომენტრასავით...

- მამიდა!
- ხო, გიორგი, შვილო როგორა ხარ?
- მამიდა, პანიკა არ ატეხო ახლა იცოდე, ავადა მამა, თვალი ატკივდა დილით და სასწრაფოთ წავიყვანეთ! - საიდან მოვიფიქრე ახლა ეს, არა უშავს, ცოტას ინერვიულებს მე რე ვეტყვი რომ ვხუმრობ...
- ეს რა მითხარი, ხუმრობ, ბიჭო?
- ნეტავი ვხუმრობდე! ექიმმა ისეთი დაავადებაა, თუ დროზე არ ამოიღო ერთი თვალი, შეიძლება საერთოდ დაბრმავდესო! - ნეტა გული არ დაუსუსტდებოდეს... ახლა თუ ტელეფონიდან რაიმეს წაქცევის ხმა გავიგონე, ნაღდი მამიდაა. მართლა ცუდად არ გახდეს... რა არის, ახლა ძმის ერთი თვალის გულისთვის ხო არ მოკვდება, ცალთვალა იყო კუტუზოვი და რა უქნა ორთვალა ნაპოლეონს...
- ეს რა მითხარი, მომიკვდა თავი, ეს რა მითხარი...
- ხო კარგი დაწყნარდი ახლა, მამამ არ უთხრა ეთერის და გულიკოს - შეეშინდებათო!

- მერე? - გადაურჩი, გული არ დასუსტებია...
 - გითხარი მაინც. გულიკო მამიდას შენ უთხარი, რა! მინდოდა თქმა, მაგრამ...
 - კარგი, დაგურეკავ... სად უკეთებენ ოპერაციას...
 - თვალის კლინიკა რომ არის ორთაჭალაში, იქ!
 - აუცილებელია თვალის ამოღება, ეს რა მითხარი, ეს რა მესმის?!
 - კაი, მამიდა, არ ინერვიულო. რომ არ ამოუღონ, დაადება მეორე თვალზე გადავაო...
 - ამას მე ვერ გადავიტან?! ... ვაი, ცუდადა მგონი საქმე...
 - ხო, კარგი ახლა, მამიდა, ამიტომ კი არ მითქვამს! ცალთვალა იყო კუტუზოვი...
 - რაის კუტუზოვი, ახლავე მივდივარ, როდის არის ოპერაცია დანიშნული?
 - დღეს სამ საათზე...
 - უიმე, ეს რა დღე გამითენდა, გამოსავალი არ არის? ცალთვალა დარჩება ჩემი ლამაზი ძმა? უი, ეს რა დღე გამითენდა...
 მგონი მაგრად შევტოვებ, არა უშავს ცოტას ინერვიულებს, მთავარია, მერე როგორ გაუხარდება მამაჩემს რომ ორივე თვალი სადი ექნება... ომი და უბედურება რომ იყო, უშუქობა და უგაზობა, რა მაგრად უხაროდა ხალხს შუქი რომ აინთებოდა უცებ, იყო ერთი ყიჟინა და ჟივილ-ხივილი და გადახვევა-ჩახუტება ახალი წელივით. ამ ახალმა მთავრობამ ეს სიხარულიც წართვა ხალხს...
 ალბათ ახლა მამიდები ერთმანეთში ლაპარაკობენ...
 მგონი ვისმენ კიდევ...
 - გულიკო, შენ ხარ?
 - მე ვარ. ეთერ, როგორა ხარ გენაცვალე?
 - მე რა მიჭირს, გოგო, ქართლოსის ოპერაცია რომ ჭირდება თვალის გაიგე?
 - გაგიჟდი! დაო, ეს რა მითხარი?
 - გიორგიმ დამირეკა წელან, სასწრაფოს წაუყვანია დილით!
 - ვაი ჩემს თავს, მერე?
 - მერე სამ საათზე ოპერაციას უკეთებენ... თუ ერთი თვალი არ ამოუღეს, მეორეზეც გადავა დაავადება და მთლად დაბრმავდებაო...
 - ეს რა მითხარი, რატომ მიწა არ გამისკდება!
 - გოგო, ჩვენი ლამაზი ძმა ცალთვალა ვერ წარმომიდგენია, ნეტა მომკვდარიყავი და ეს არ გამეგო!
 - ტირილი მინდა, ქალო...
 - ღმერთო, ეს რა დაგვემართა?
 - ეთერი, რას ვიზამ იცა? ექიმს უნდა ვთხოვო ჩემი თვალი ჩაუსვას, ხო აკეთებენ ახლა ასეთ ოპერაციას...
 - შენი რატო უნდა ჩაუსვას, შენ დიდი თვალეები გაქვს, იმას კიდევ პატარა, ჩემნაირი თვალეები აქვს!
 - გაგიჟდი, გოგო, შენ შავი თვალეები გაქვს, იმას კიდევ ჩემნაირი, ლურჯი ფერის...
 - ამას ვერც შეამჩნევენ!
 - ძალიანაც შეამჩნევენ!
 - ახლავე ტაქსს გამოვიძახებ და მივდივარ!

- მეც მივდივარ...
 მგონი ახლა სულაც არ ვარ მოწყენილი... გამიარა. ახარტში შევედი. მამიდები ალბათ ახლა ერთმანეთს ასწრებენ, ვინ პირველი მოვაო, არადა ერთი საბურთალოდან მოდის, მეორე ვაკიდან. გასწრებაზე თავისებური ფილოსოფიური თეორია აქვს ალექსანდრეს - ფიფიას, მაკედონელს კი არა. ამასწინათ გვიმტკიცებდა სწრაფად მორბენალი აქილევესი, ოლიმპიური ჩემპიონიო და რამე, ვერაფრით ვერ გაასწრებს სირბილში კუსო. მაგარია ალექსანდრე. მართლა კუ მაგი და კურდღელი. მოიცა კაცო, რა დროს ალექსანდრეა, ოპერაცია „თვალი“ უნდა გავაგრძელო. ერთი მამაჩემსაც დაგურეკო...
 - მამა, შენ ხარ?
 - ხო, შვილო, არ მცალია! ჩქარა მითხარი რა გინდოდა? რა დიდ გულზეა, მოიცადოს ცოტა... შევაფუცხუნო...
 - ეთერი მამიდამ, გულიკო მამიდას თვალი ატკივებია და ოპერაციას უკეთებენო...
 - რას მიედ-მოედები...
 მივედ-მოვედები? მოიცა ცოტაც...
 - არ უნდოდათ შენ გაგეგო!
 - ეს რა მითხარი შვილო, სად არის ახლა?
 - ორთაჭალაში რომ თვალის კლინიკაა, იქ.
 - როდის უკეთებენ ოპერაციას?
 - დღეს, სამ საათზე!
 - გაგიჟდი, რატომ აქამდე არ მითხარი?
 - არ უთხრა, ინერვიულებსო!
 - ახლავე მივდივარ!
 ახლა მთავარია მანქანა ნელა ატაროს. უცებ გამახსენდა, მანქანა რაღაც ზეთს ჭამს და პროფილაქტიკაში უნდა მივიყვანო, რომ ამბობდა. ე. ი. ტაქსით მოვა, ავარია გამოირიცხა... მაინც შემეშინდა
 - მამა, ახლა ნარკოზის ქვეშ ყავთ, ჩქარა არ იარო...
 მაინც კაიფშია, ვერაფერს გააგებინებ...
 - ხო კარგი, არ ვივლი ჩქარა...
 - აკი მანქანა პროფილაქტიკაში უნდა მივიყვანო...
 - ვერ მოვასწარი...

* * *

ენოში ჩამოვედი. იქვე კორპუსთან გრიშა იდგა წითელი „კოლცვაგენით“, მეზობელია. ადრე ტურისტულ ფირმაში მუშაობდა მძღოლად, თითქმის მთელი ევროპა და აზიანზე მოიარა. რაღა ის და რაღა ალექსანდრე მაკედონელი, მერე რა რომ იმას ცხენი ყავდა, ბუცეფალი. იამას სამაგიეროდ „მერესედესის“ ავტობუსი ყავდა და ხარის თავი ქონდა მიხატული და მასაც ბუცეფალს ეძახდა. ახლა დაბერდა და ტაქსაობით ერთობა, ამ მანქანას „პიტლეროუნას“ ეძახის. მართლა ქალივით უყვარს და ეფერება. ლამის ჯვარი დაიწეროს, მითუმეტეს რომ მეუღლე სამი წლის წინ გარდაეცვალა. დილით ისე არ დაძრავს, რულზე თუ არ აკოცა. ერთხელ ავარიას რომ გადაარჩინა მანქანამ, რულზე კი არა ბორბლებზეც უკოცნია. ერთი ნაკაწრი არ აქვს არც პიტლეროუნას და არც გრიშას. ერთხელ მიყვებოდა, პიტლერს შეკვეთა მიუცია ფრანგ ინჟინერ პორშესთვის,

რაიმე კარგი მანქანა გამიკეთე, გრიშას უნდა გავუგზავნო. რაეი მე ასე მომიყვება. ასე გრიშა პიტლერის სიძე გამოდის, მაგრამ სულაც არ არის ფაშისტი, იმიტომ რომ პატარები ძალიან უყვარს. ასე ტაქსაობით შვილიშვილებისთვის ფულსაც აკეთებს, კვირაობით ცირკში და ზოოპარკშიც დაყავს და რამე... პატარა რომ ვიყავი, ტარებაც მასწავლა, მამამ ყოველთვის უარს მეუბნებოდა, რამე არ მოიწიო...

სააუადყოფომდე გრიშამ მიმიყვანა. გზაში მოუყევი, თვალების ამბები. მაგარი ანგლი ვილაცა ხარო. გრიშა არ დამტოვო, თუ კაცი ხარ, რა იცი სიმართლეს რომ გაიგებს, მამაჩემი რა ხასიათზე დადგება. ან მამიდები თვალის ექიმის მაგივრად გულის ექიმთან არ გახდეს წასაყვანი-მეთქი. გრიშამ, არაო, მამაშენს ვერ დავენახვები, ხო იცი როგორ პატავს ვცემო, შენ თავს შენ თვითონ მიხედო. ყველას მივასწარი, მერე გულიკო მოვარდა კარგი მართონელივით, შემეცოდა ცოტა. სამაგიეროდ როგორ გაუხარდებოდა, რომ გაიგებს რომ ვიხუმრე...

- გიორგი, შენ ხარ მამიდა? ძლივს მოვედი, საშინელი ტაქსი იყო, ძლივს დადიოდა. სად არის ქართლოსი? შეიყვანეს უკვე საოპერაციოში?

- კი. აი, ეთერი მოვიდა...
- როგორ არის ქართლოსი?

- საოპერაციოშია უკვე, - თან ვფიქრობ, მართლა რამე რომ მოუვიდეს, რა მეშველება. სად ვნახო ასეთი მეორე მამა...

- გიორგი, მამიდა! გადავწყვიტე ჩემი თვალი ჩავუსვა ქართლოსის, ექიმი უნდა ვნახო!

- შენ კი არა, მე უნდა ჩავუსვა თვალი, ხო მოვილაპარაკო!

- რა თვალის ჩასმაზე საუბრობთ? კი მაგრამ, მამაჩემს არ ეკითხებით?!

უცებ მამაც გამოჩნდა, აირტონ სენასავით მოაგელვალამის ჩემი ხნის „ნოლსემი“.

- აი, ქართლოსიც... მოიცათ, ეს ფურცელი დაიტოვოთ, წამლებია ჩამოწერილი, რაც ექიმმა დაუნიშნა. მე გაუალერთი, ექიმი უნდა ვნახო!

- ქართლოს, საიდან მოხვედი? შენ ფეხზე ხარ? აკი საოპერაციოშიაო?

- მე რა მიჭირს, ეთერ! გულიკო, გენაცვალე, რომელი თვალი გტკივა, ბიჭმა ნარკოზის ქვეშ არისო, რომ არაფერი გემჩნევა?

- მე მტკივა თუ შენ უნდა გავიკეთონ ოპერაცია?
- როგორ თუ მე?
- გიორგი! სად არის ის საზიზღარი ბიჭი?!

- აი ეს ფურცელი დამიტოვა, წამლებია ჩამოწერილი რაც გვჭირდებაო...

- „ხო კარგი ხუმრობა გამომივიდა?! გიორგი...“

...ისე რა კარგი მამა მყავს, ეს რომ ჩემმა შვილმა გამიკეთოს (შვილი არა კვატა, ჯერ ცოლიც არ მყავს, გიჟი კი არა ვარ, ეფერე ახლა ყოველდღე ერთი და იმავე ქალს, ალბათ მაგარი მოსაწყენია) მოვკლაუ „იასნია“, აი ახლა მივალ და დარწმუნებული ვარ, არც მიყვირებს. დედაჩემი გამიგიჟდებოდა, მგონი ნევროზი აქვს, ალბათ ბავშვების

გადამკიდე. იმის ოფოფებს რა აიტანდა! კიდევ კარგი იმას არ დაურეკეს. ამას წინათ სახლში ბურთს ვკენწლიდი, არა და რომელი მარადონა მე ვარ, ჰოდა იაპონური ლარნაკი გავტეხე. ეწყინა არ ხარ შენ ჩემი შვილი, საყვარელი ლარნაკი როგორ გამიტეხეო, ასეთი ორი მქონდა სულ. ამასობაში მამაც შემოვიდა და მამა, მე თქვენი შვილი არ ვარ ვარ-მეთქი, ვეკითხები. საიდან მოიტანეო, გაუკვირდა. ბურთით იაპონური ლარნაკი გავტეხე და იქედან-მეთქი. მამამ აიღო და მეორეც გატეხა, იაპონიის დედაცო.. მგონი პირველად შეიგინა... დედამ რა უნდა გელაპარაკოთ, გიჟები ხართ ორივეო და ტირილი დიწყო, მერე მე და ქართლოსამ ძლივს დავაწყენარეთ და ის რომ ტირილა რატომდაც ჩვენც ავტირდით...

- შვილო, ასე ხუმრობა შეიძლება?! ამით რომ რამე მოსვლოდა, რას აპირებდი?

- ხო კარგი, მამაჩემო, რამდენი ხანია ერთად არ მინახიხართ?! ხოდა შეგკრიბეთ ერთად!

- წლებს რომ აგროვებ, ცოტა ჭკუაც ხო უნდა დააგროვო?

- ქართლოს, მამა და ძმაო, შენ დამარიგე: არყით არ დათვრეო, სიგარეტი არ მოწიო და სხვას ჯიბეში ხელი არ ჩაუყო, ხუმრობა არ ავიკრძალავს! - მამაჩემს მაგრად მოწონს ძმას რომ ვეძახი, ჩაიცინებს, მაგრამ ახლა არ ეცინება.

- ესაა ბიჭო ხუმრობა? ტაქსის მძღოლმა სასწრაფო ხომ არ გამოვიძახო, ფერი არ გადევთ?! - ეს გულიკო მამიდაა, არაა ჯერ გათხოვილი...

- მოწონე მამიდა იქნებ?!
- გაქრი შენ, მოეწონე კი არა მთელი გზა ვტიროდი...
- ცრემლი გულს ამშვიდებს, თვალებს წმინდავს...
- გული რომ ხელში მეჭირა?!
- ადრენალინის გამოყოფა აძლიერებს იმუნურ სისტემას...

- გაგაადრენალინებ, ბიჭო, მე შენ! - ეს ეთერია.

- დაგვიხეთქა გულები და იძახის იმუნურ სისტემას გიძლიერებთო!

რა მექნა გადავებზე მამიდებს, გამოვისყიდე ვითომ ამით დანაშაული. ამ მოწყენილობის ჟამს არა უშავს, გავერთე... მამამ არ მომეკარო, მაინც ჯიგარია, კოცნის გარეშეც. მერე რაკი ერთად ვართ, სადმე პური ვჭამოთო - პურის ჭამას რესტორანში ქეიფს ეძახის. მამიდებმა ადრე პატარა რომ იყავი, შენ გვაწვალედი, ახლა შენი ვაჟბატონი, თუ გინდათ თქვენთან ერთად პური ვჭამოთ, ჯერ ეკლესიაში წავიდეთო... ჯერ დედაც მოვიტაცეთ ბავშვთა სახლიდან. მერე მანქანაში სამივე სამ ხმაში უყვებოდა თვალების ამბავს. დედას ამჟამად არ უტირია, იცინოდა. მერე ვარკეთილის ასახვევთან ხიდის ქვეშ ცხვარი აყიდვინეს მამაჩემს, „შეეწიროთ, ღმერთს მადლობა ვუთხრათ რომ ყველას თვალები გვაქვსო...“. ცხვარი ქაშუეთში მივიყვანეთ. მშვიდი თვალები ქონდა და სვედიანი, ალბათ მამა აბრამის ბატკანსაც ასეთი თვალები ექნებოდა...

- „...დიდება მამასა, ძესა და სულიწმინდასა...“
- მამა, ნახე ცხვარს რქაზე სანთლები ჩაუქრა!

- კარგი, გიორგი, ჩუმი იყავი...
- მამაო დავით, სანთლები ჩაქრა, შეიძლება კვლავ ავან-
თო?!
- ხო ხედავ, განიშნა, ხელს ნუ მიშლი, ჩუმი იყავიო...
- „... მამაო ჩვენი, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა
იყავ სახელი შენი...“
- მამა, ნახე სანთლები თავისით აინთო...
- გოგოებო, დაინახე სანთლები როგორ აინთო?!
- ხო...

მერე ცხვარი ეკლესიის ეზოში გაუშვიტ და ბალახის
ჭამა დაიწყო. ეკლესიის დამხმარე შენობიდან ვიღაც კაცი
გამოვიდა გაბრაზებული... იცით ამ ბალახში რამდენი გვა-
ქვს მიცემულიო... მოკიდა ცხვარს ხელი და წაიყვანა...
ჩვენ წამოვედით. უკან არ მიმიხედია, მაგრამ რატომღაც,
მეგონა, რომ ცხვარი ჩვენსკენ იყურებოდა...

...ხო, რესტორანში. იქ ვინ დამხვდა არ იცით?! გე-
ტყვიტ და შეიძლება არც დამიჯეროთ! დეკანი, ალექსან-
დრე ფიფია! ვიღაც სიმპატიურ ქალბატონთან იჯდა და
სანთლად იყო დაღვრილი. თავიდან თვალებს არ დავუ-
ჯერე, მაგრამ ცალი თვალი ლურჯი და ცალი თვალი
შავი ადრე ალექსანდრეს ქონდა, მაკედონელს და ახლა
აქვს ჩემს დეკანს, ალექსანდრე ფიფიას. ხო, კიდე მა-
მიღებს უნდოდა მამაჩემსაც ასე ქონოდა. მაგრები მყვა-
ნან ერთავე. ალექსანდრე გატაცებით უხსნიდა რაღაცას
ქალს, დარწმუნებული ვარ ეგზისტენციალიზმზე უყვე-
ბოდა რამეს, რაც როგორც გკითხნარ, ფილოსოფიურად
ადამიანის ყველაზე ღრმა კუთხით წვდომის მცდელობაა
თურმე. მამაჩემს ორი ბოთლი შამპანურის ფული შევაწერე
და ალექსანდრეს გაუგზავნე, ფიფიას, აბა მაკედონელს
ხომ არ გაუგზავნიდი? ოფიციალტმა რომ მოახედა, იმ სუ-
ფრიდან გამოგზავნესო, რაც შემქმლო ზრდილობიანად
მივესალმე. მგონი მიცნო, რავე, ორივე თვალით, შავითაც
და ლურჯითაც შემომხედა, გაიბღინძ-გაიღიმა და იმანაც
კარგი ძმაკაცივით ამიწია ხელი.

თერთმეტი საათი და თერთმეტი წუთი

თეთრი გვირაბის მერე კამკაშა შუქმა მოჭრა თვალი.
თითქოს გათენდა და გაღვიძებულს მზემ შემოაჭყციტა
თვალებში. ცა იყო ძალიან ლურჯი, დაბლა კი ღრუბლები
ჩანდნენ მხოლოდ და ახლავა გაიგო, რომ ღრუბლებზე
სიარული შეიძლება...

ღრუბლებზე ბაღებიცაა თურმე - ათასგვარი ხილეულით
დახუნძლული და ნაირ-ნაირი ჩიტები გალობენ...

ანკარა წყაროებიცაა და ისე შეეჩვია ამას ყველაფერს,
თითქოსდა სულ აქ იყო...

მერე ერთი, თეთრ თმაწვერიანი, თუმცა ახალგაზრდა
კაცი მოვიდა და უთხრა, მე გამნაწილებელი ვარ, მეტროში
უნდა ჩახვიდეო.

გაუკვირდა, გიჟი ხომ არა ხარ? მეტროში რა მინდა,
შენ თვითონ ჩადიო!

იმან, ცოტა სიტყვები შეარჩიე, ამ ცუდი სიტყვებისთვის
დმერთთან ჩაგიშვებ და საერთოდ, ნეტა ვიცოდე, ვისი
რეკომენდაციით ხარ აქო.

- ვა აქაც ჩაშვება? და სად ვარ?!
- ვერ ხედავ - ცაში!
- აქ რატომ ვარ?!
- ამის გარკვევა ჩემს კომპეტენციაში არ შედის!
- აბა ვის?
- ბევრი გეცოდინება, მალე დაბერდები! – გაეცინა თეთრ
თმაწვერას.
- რა გაცინებს?
- ზუსტად შენ გკითხავ როდის გაეცინო!
- მეტროში რა უნდა ვაკეთო?!
- გონება გიკარნახებს!
- რა ხუმარა ხარ, მოკვდი სიცილით!
- ნუ იტყუები, აწი არ მოკვდები?!
- ე. ი. ცაში ვარ?!
- კი...
- ანუ დედამიწაზე მოკვდი?!
- არ მომკვდარხარ, გარდაიცვალე.
- ე. ი. მომხვდა ის დანა?
- კი.
- ეს ასე პირდაპირ უნდა მომახალო, არ უნდა შემომ-
აპარო?! ექიმი ხომ არ ხარ?!
- რა დამღლევი ვიღაცა ხარ რა! მოკლედ გასაგებია,
ხვალ მეტროში ჩადიხარ!
- მოიცა, თუ მოკვდი, როგორ ვლაპარაკობ?!
- დედამიწაზე გონიათ, რომ მოკვდი... ისე ხო ხედავ,
რომ არ მომკვდარხარ... ანგელოზი ხარ და ახლა თერთ-
მეტი საათი და თერთმეტი წუთია...
- თერთმეტ საათზე და თორმეტ წუთზე ვინ ვიქნები?
- ვაა, კარგი, გეტყვი... შენთვის ყოველთვის თერთმეტი
საათი და თერთმეტი წუთია!
- ვაა, იქნებ და არ მინდა ანგელოზობა?
- ერთი მომისმინე, რო დაიბადე, გკითხა ვინმემ თუ
გინდაო?
- არა, აბა როგორ მკითხავდნენ, დაბადებული არ ვი-
ყავი.
- რომ მოკვდი გკითხა ვინმემ, გინდა სიკვდილიო?
- არა, არავის უკითხავს?
- აქ რომ მოხვდი, გკითხა ვინმემ, თუ გინდა ცაშიო?
- არა, არც ეს უკითხავთ.
- ხოდა, ხვალ დილით ექვს საათზე მეტროს კარები
რომ გაიღება პირველი შენ შეხვალ...
- აბა ჩემთვის ყოველთვის თერთმეტი საათი და თერთ-
მეტი წუთიაო?
- მე ცის დროზე გეუბნები!
- რატომ მაინც და მაინც მეტრო?
- დამიწყე ახლა გამოკითხვა, შენს გარდა გგონია საქმე
არ მაქვს?
- აუ, შენ ვინა ხარ, ციდან პირდაპირ მიწაში მიშვებ?
- წადი...

* * *

აქ ცაში, როგორც მერე მიხვდა, ლაპარაკს არავინ გიშ-
ლის, შეუძლია ილაპარაკოს რაც უნდა...

იმასაც მიხვდა, რომ ლაპარაკის გარდა, რაიმე სისულელის გაფიქრებაც შეიძლება, მაგალითად ახლა ამ გამანწილებელზე გაიფიქრა, ჯერ ცემაში გაგებრავდი, მერე ტალახში ამოვსვრიდიო...

თუმცა რა, აქ ცაში არც ტალახია და არც - მით უმეტეს სარეცხი მანქანები...

* * *

რა მოსაწყენია ღამის საათები პირველიდან ექვსამდე - ყველაფერი ცარიელდება, მუშები გამოივლიან მხოლოდ ყვითელი მოსაცმელებით, რომელზედაც ფოსფორის მანათობელი ზოლები აქვთ გადაკრული.

ხაზებს ამოწმებენ, დაზიანებულ დეტალებს არემონტებენ... მერე ისვენებენ.

უყვარს მათთან ჩამოჯდომა და მათი საუბრის მოსმენა.

თითქოს საინფორმაციოს უსმენს, ყველაფერზე ყვებიან, ქალებით დაწყებული, დიდი პოლიტიკით დამთავრებული, შუაში კი აუცილებლად ფეხბურთი - მესის (თითქმის მესხი) ფინტები და საკუთარი ძაღლის მიერ დაკბენილი მარადონა.

თან ჩანთებით სახლიდან წამოღებულ ვერცხლისფერ ქაღალდში შეფუთულ საჭმელებს მიირთმევენ.

ერთმაც ამოალაგა თავისი წილი, მაგრამ არ ჭამდა და რა გჭირსო, ჰკითხეს.

მოყვა, გაკვირვებული - სამაგრი იყო მოშვებული, იმას ვამაგრებ, ხოდა სულ დამავიწყდა მორიგე მატარებელს რო უნდა ჩამოველო, ფიქრებში გავერთე თუ რა იყო და უცებ რაღაც ძალამ ბაქანზე ამაგდო და მაშინ ჩამიქროლა მატარებელმა, მთელი სისწრაფით მოდიოდაო...

მგონი რაღაც სამი ღერი თმა მექნებოდა დარჩენილი, ისიც გამითეთრდა (მელოტი იყო), რა შიში ვჭამე, კარგა ხანს მეყოფა, ახლა საჭმელს რა მაჭმევსო.

ეტყობა რაღაც მეათე თუ მეთხუთმეტე გრძნობა მაქვს და იმან ამაგდო ბაქანზეო!

„ზუსტად მეთხუთმეტე გრძნობამ ააგდო ეს მძიმე უმაღური ესაო...“ - გაეცინა.

* * *

დღეს ოთხი ჯობის ქურდი შენიშნა, დილით პიკის საათი რომ არის, მაშინ იციან ჩამოსვლა ხელში გაზეთებით, ან შავ ცელოფნის პარკში ჩადებული რაიმე ნივთით - ერთმანეთის ხელები რომ დაფარონ და მგზავრების ჯიბეებიც...

ერთად არიან, მაგრამ გარეშე თვალი ვერანაირად ვერ მიხვდება ამას, არ კონტაქტობენ, თვალებით თუ მიანიშნებენ ერთმანეთს რამეს და ასე არჩევენ საკბილოს.

კოხტად ჩაცმულ, მოხუც ქალს ამოუდგნენ ოთხივე მხრიდან...

ერთმა ქალს ჩანთა გაუხსნა და საფულე ამოაცალა, ოღონდ ჯიბეში მერე ამხანაგს ჩაუდო, გვერდით ვინც ედგა.

ამან საფულე ისევ მოხუცს ჩაუდო ჩანთაში. ვერც ის ოთხი მიხვდა რამეს და ვერც მოხუცი. გაჩერებაზე ჩამოვიდნენ. თვითონაც გაყვა, ცოტა გავმხ-

იარულდებიო.

- აბა ვნახოთ, მდიდარი მოხუცი ჩანდა!

„სულელები - კარგად ჩაცმა სულაც არ ნიშნავს, რომ საფულე საყსეა“,

- სად არის?

- როგორ თუ სად არის შეჩემა, ჯიბეში ჩაგიდე!

- რო ჩამიდე ბიჭო მეც გავიგე, მაგრამ ახლა არ არის!

- ნუ ატრაკებ ახლა!

- ნუ ბუინობთ ბიჭო, პატრული მოდის!

- წამო ერთი, მაღლა ავიდეო!

- წამო!

ექსკალატორზე ავიდნენ. თვითონაც გაჰყვა. „მგონი არ შეიძლებაო“, - გაიფიქრა. „არა უშავს, დიდი-დიდი სამსახურიდან მომხსნან. მერე რა, მომხსნან თორემ, მეც პრემიერ-მინისტრი ვარო“, - გაიცინა. ეს ოთხი მეტროდან გამოვიდა, თვითონაც გამოყვა.

დედამიწაზე ციდან რო დაბრუნდები, პირველი რაც გაგაკვირვებს სურნელია.

იქ ცაში ჰაერს ძალიან მოტკბო სუნი აქვს, თითქოს რომელიღაც ყვავილის, რომელიც თავიდან ძალიან მოგწონს, მაგრამ მერე ისევ მიწის სუნი გენატრება, ოღონდ ამას ცაში ვერ გრძნობ.

მეტროში მახუთის სუნი დგას. ახლა, მიწაზე მიხვდა როგორ მონატრებია დედამიწა, მიწის სუნი.

თუმცა ასფალტით და ქვაფენილით დაქუთათ ირგვლივ მიწა, მაგრამ მაინც მიწის სუნი იდგა და უხაროდა.

ის ოთხი ბიჭი გზის მერე მხარეს გადავიდნენ და იქვე, მეტროს ამოსასვლელთან აშენებული კორპუსის კედელს მოეფარნენ. თვითონაც უნდოდა გზა გადაეკვეთა. უცებ მანქანა უჩერებს. „ბე-ემ-ვე“ - ტაქსი. მძღოლმა - „სად მიდიხარ, წამო წავიყვანო!“ გაუკვირდა - „ვა, მხედავო?“ „კიო“, „არსად არ მივდივარო“. „კარგიო“ - იმ ტაქსისტმა და წავიდა, წითელზე გაიარა. უნდა დაეყვირა, რომ ეჯახებიო, ისე გაიარა მანქანამ მანქანაში, თითქოს ფანტასტიკურ ფილმს უყურებდა. დარჩა ასე, გაკვირვებული...

ის ოთხიც დაკარგა ამასობაში. არ უძებნია. ისევ მეტროში დაბრუნდა.

* * *

- შემოეთრე!
- წესიერად ძელაპარაკე, თორე შეგტენე ეს შენი ფიწალი!

- უი, ეს რა მითხარი... წესიერება მოუნდა! ნახე, რას ბლატაობს ბიჭი! დაიჩოქე, ვირო!

- „დავაი“ რა!

- არა?! მოდი აბა ერთი, რქები მომფხანე!

- მამამენს მოფხანე!

- მოვიდა მათრახი!

- უხ, შენი...

- ნახე რას ბლატაობს?! მიწაზე გგონია თავი?

- აბა სად ვარ?

- ვერ მიხვდი?

- ჯოჯოხეთში?

- აი, ჭკვიანი ბიჭი, მიხვედრილი... სკოლაში ალბათ ნიჭიერს და ზარმაცს გეძახდნენ... კუპრს ტემპერატურა ხო არ მოვუმატოთ, რაღაც საღად მეჩვენები... არადა რა კარგად გააგორე ის ბიჭი! კლასს! „ვისში პილოტაჟ“! მომეწონა, ჩემი ფავორიტი ხარ...

- არ მინდოდა იმ ბიჭის მოკვლა!
- უი, ეს რა მითხარი? არ გინდოდა? დანა კი გლიჯე შიგ გულში...

- რას ეჩრებოდა, წასულიყო თავის გზაზე, მოსაკლავს ვკლავდი! მაგრამ მისი მოკვლა არ მინდოდა, მოვუქნიე შეშინდება-მეთქი და ვერ მოვზომე...

- იმ კაცს რას ერჩოდი, ვისაც მისდევდი?
- ის კაცი არ იყო, ის იყო არაკაცი... ის უნდა იყოს ჯოჯოხეთში!

- ანუ შენმა ერთმა ძმაკაცმა წაიყვანა შენი მეორე ძმაკაცის მეუღლე აბანოში... კარგად მაქვს საქმე დედამიწაზე დაყენებული...

- შენ საიდან იცი?!
- ვიცი, აბა ვინ გაკეთებინებთ ამას, გგონია თვითონ მიხვდა?! ხოლა ჩამოვა ისიც ქვესკნელში, ერთ ქვაბში მოგათავსებთ ორივეს და ითუხთუხეთ! იმ კაცს რას ერჩოდი?

- ვინ კაცს!
- იმ ტაქსისტს, შენ რომ გაგიტანა, ისიც მოკვდა. იმას გულმა უმტყუნა, კაცი მოგკალიო! მინდოდა ჩემთან ისიც, შევათბობ აგერ ქვაბში-თქო, არ გამატანეს, შენი მოკვლა ცოლვად არც ჩაეთვალა... ხედავ, არც გაფასებდნენ იქ, მიწაზე! სამაგიეროდ აქ მყავხარ პატივში. აბა კუპრის ქვაბი გირჩვენია თუ დავალება?

- რა დავალება?
- მეტროში ახვალ, იქ ერთი კეთილი სული დაძრწის და ბოროტება ვერ ჩამიდენია. გააუვნებელყოფ, გაიგე?
- ვერ გავიგე...
- ქვაბში რომ ჩაგაგდებ ისევ, მაშინ გაიგებ! დააბრუნეთ უკან და კუპრს ტემპერატურა მოუმატეთ!

კარი გაიღო და ადამიანის ზომის ორი დიდ ვირთხა შემოვიდა უცებ, ორ ფეხზე იდგნენ და კუდეებს მათრახივით ატყელაშუნებდნენ.

- ხო კარგი, ჩავალ მეტროში.
- და რასაც გეტყვი გააკეთებ...
- რამე მაღალი ადგილი ნახე რა!
- რატო?
- იქედან რო გადმოფრინდე და...

- ჰა-ჰა-ჰა... რას მაცინებ, რისი თავი გაქვს, ლაყაფისტი ესა, ფუ, რა ხალხთან მიწვევს ურთიერთობა, ლამის ვიტროო! მოკლედ, დავალებას შეასრულებ – დაწინაურებ!
- დაწინაურება რას ნიშნავს?

- კუპრის უფრო დიდ ქვაბში მოხვდები, ხალვათად იქნები, რა გინდა ახლა რო ხარ ფეხსაც ვერ ანძრევ, მხრებს გაშლი!

- შენ ალაოდ ხო არ ხარ? კუპრი კუპრია, არ წავალ!
- გაიყვანეთ ეს მძორი, ტემპერატურა მოუმატეთ და აბლავლეთ! ...

- მოიცა! ხო, კარგი წავალ!
- თუ კარგად შეასრულებ დავალებას, მერე შეიძლება კაზინოში გაგიშვა, სტაჟირებაზე: უფასო ბარი, ლამაზი ქალები, ფულები ოხრად...

- ანუ ადამიანის სახე მექნება?
- ადამიანის სახე მიწაზე რომ იყავი მაშინ დაკარგე!
- აბა ვინ ვიქნები?

- აარჩიე: ან კოლო იქნები, ანოფელესი და ერთ დღეში მიგასრისავენ ადამიანები ყურზე და უკან დაბრუნდები, ან ვირთხა... სამაგიეროდ მეტი დრო გექნება, სანამ ან მოგწამლავენ ან ხაფანგით დაგიჭერენ!

- არსადაც არ წავალ!
- ხო, კარგი რა, რა ავარდი, შეგაშინე! კოლოებს და ვირთხებს მისი პატრონი ყავს, სხვა განყოფილებაში არიან! მოკლედ, მეტროში აღიხარ! ქვესკნელის მერე გამონათებაა, მეტი რა გინდა?!

* * *

დღეს ალბათ დასვენების დღეა, ღამის მუშები არ ჩამოსულან. იფიქრა რითი გავერთოო და ლექსის შეთხზვა დაიწყო... უცებ კაცი დაინახა! გაუკვირდა, არაფის ელოდა ახლა აქ! თან უფრო ის გაუკვირდა, რომ მიხვდა, ეს კაცი აშკარად მისკენ მოდიოდა, ანუ ხედავდა... კაცს ნაცნობი სახე ჰქონდა, მაგრამ უცებ ვერ გაიხსენა ვინ იყო...

- გამარჯობა!
- მე მეუბნები?
- ხო, შენ... ჩამოვჯდები აქ!
- ჩამოჯექი!
- რას აკეთებდი?
- აი, ლექსს ვთხზავდი!
- რა ლექსს?

- „სიყვარული მეტროპოლიტენის გვირაბში“, ასე ქვია...

- და ვის უნდა წაუკითხო?
- რა ვიცი.
- აბა მე წამიკითხე!
- გაინტერესებს?
- ხო, აბა რატო გითხარი!
- კარგი, ლექსი - „სიყვარული მეტროპოლიტენის გვირაბში“:

„ღრუბლიან დღეს შენს ჩრდილს მეტროში დავუწყვებ ძებნას,

არ გაგიკვირდეს ვიპოვი არ გეტყვი როდის, პაემანს გინიშნავ არ მოხვედ იქნება გზა აგებნა, ვხედავ შენს მაგფრად ცისფერი პანტერა მოდის! ორნახევარ ფურცელს ზეპირად გეტყვი ასფურცელას ზღაპარს,

და მერე შენთვის ტკბილ კანფეტებს შევაჭრი ფოჩებს, მეტროს გვირაბში ლიანდაგზე თუ გნახავ დამჯდარს მოვალ და ჩუმად ყურში გეტყვი: - ჩაიხოჩე!“
მორჩა, როგორია?

- არ ვიცი, არ მიყვარს ლექსები!
- ხო დიდი ვერაფერია, მოწყენილობა მოგკალი?

- ვინ მოკალი?!
- მოწყენილობა!
- მე კიდევ კაცი მოვკალი!
- ვინ მოკალი?
- არ გახსოვარ, ის დანიანი კაცი, შენ რომ გაჩერება გინდოდა, მე ვარ?
- ხო, ახლა გიცანი! რას მერჩოდი?
- შენ არაფერს, მაგრამ, რას ეკვებოდი, რა შენი საქმე იყო, წასულიყავი შენი გზით!
- ყვიროდა კაცი მიშველეთ, მკლავენო!
- ის კაცი არ არის, არაკაცია!
- რა დაგიშავა?
- ბიჭო, სამი ძმაკაცი ვიყავით, პურს ერთად ვჭამდით, სასმელს ერთად ვსვამდით და ბოლო კუბ გასაკეთებელსაც ერთად ვიკეთებდით... მერე ერთი ძმაკაცი დაგვიჭირეს... ხოდა იმ არაკაცს, ვისაც მოსაკლავად მივდედი, დაჭირ-ული ძმაკაცის ცოლი დაუთვრია და აბანოში წაუყვანია...
- რატო?
- შენ მთლად დებილი ხარ? რატო და საბანაოდ...
- ხო კარგი გავიგე რატომაც, მაგრამ ის ქალი რატო დათვრა და რატო გაყვა...
- ბიჭო, ქალმა რაც არ უნდა გააკეთოს კაცს კაცობა უნდა ყოს ძმაო, თან ვის უკეთებ ბიჭო „პოდლობას“, შენ ძმას? არ იყო მოსაკლავი?!
- ხო შეიძლებოდა გეცემა...
- მოიცა რა! იცი რატომ ვარ ახლა აქ?
- რატო?
- შენს გასანეიტრალებლად, რას აკეთებ ასეთს?!
- ისეთს არაფერს... და მე რატო მეუბნები?!
- მე ჩემი ცოდვა მყოფა ძმაო, გარეწარი კი არა ვარ... იმასაც გეტყვი, რატო დავთანხმდი აქ ჩამოსვლაზე თუ ამოსვლაზე: ერთი რომ მე რომ უარი მეთქვა, ალბათ სხვას მოგიგზავნიდნენ, მეორეც ერთიც იქნება და ხო ჩამოეთ-ესლება აქ ის ახვარი... მაინც მოვკლავ, დიდი-დიდი რამ-დენიმე გრადუსი მიუმატონ იქ ჩემს ქვაბს!

* * *

ინფორმაცია: დღეს თბილისის ერთ-ერთ მეტროს სად-გურში ახალგაზრდა მამაკაცის სუიციდის ფაქტი მოხდა. თვითმხილველების თქმით, დაღუპული მოქალაქე მომაუღ მატარებელს ისე უეცრად ჩაუვარდა, რომ შემანქანემ და-მუხრუჭება ვერ მოასწრო. თვითონ შემანქანე თავზარდაცე-მულია და ამბობს, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს უეცრად ვიდაცამ ხელი კრა ამ კაცს, თუმცა იმ მომენტში მის სიახლოვეს არავინ იდგაო, ხოლო ბაქანზე მდგომი მგზავრები ამბობენ, რომ მოესმათ სიტყვა „მიშველეთ“ თუ „მშვიდობით“... კარგად ვერ გაგარკვიეთ, ალბათ უფრო „მშვიდობით“, ანუ ამ სიტყვებით ის ემშვიდობებოდა თავის ნაცნობ-მეგობრებს და ოჯახის წევრებსო...

* * *

- ჩემი მისია ამოწურულია!
- ალბათ ჩემიც, ხელი ვერ შევიშალე...

- ისე გამოდის, რომ შენ გადაადგე ის კაცი, იმიტომ რომ ხელი მე შენ გკარი წინ რომ მედობებოდი, შენ კი მას დაეჯახე, ლამის თანამონაწილე ხარ!
- მე იმ კაცის გადარჩენა მინდოდა!
- შეუები ხო არ გინდა ახლა ჩაიცვა! მაგ კაცმა სულში ჩამაფურთხა და მიიღო რისი ღირსიც იყო!
- ხო, მაგრამ შენ არ ხარ მოსამართლე!
- არ იყო საჭირო მოსამართლე! თავის თავს თვითონ გამოუტანა განაჩენი!
- შენს თავს დააბრალე, მაგარი ძმაკაცი გყოლია!
- ამაზე ვგიჟდები ტო, ეს რა გაგვიკეთა, რომ გამოვიდო-და ის კაცი სვაბოდაზე, რა უნდა მეთქვა, ხო მკითხავდა, ის ახვარი რომ ამას აკეთებდა, შენ რა ქენიო?
- არ ვიცი...
- მგონი არავის ვახსენდებით! წავიდეთ ზემოთ! ცუდია, რომ იქ მიწაზე არ გიცნობდი! ლუდს დალევდა ახლა კაცი პარაპეტებთან! ხო წამოხვალ?
- წამოვალ, მაგრამ ჩვენ ვერ დაგვიანხავენ და ხო არ მოვიპარავთ! მოდი, ისე ჩავიაროთ და შევხედოთ!
- მოიცა რა, ორი ლიტრა ლუდი არ დააქცევთ, მივიდეთ და ავილოთ, ვითომ დაქცევიათ...
- შენ რა, ლექსების წერა დაიწყე?
- რა ლექსები?
- „მოიცა რა, ორი ლიტრა ლუდი არ დააქცევთ, მივიდეთ და ავილოთ, ვითომ დაქცევიათ“ - ლექსია, მეტი რა გინდა!
- ვა, მაგარია, ლექსების წერაც დამიწყია! აბა წავედით!
- ...
- კარგი, წავიდეთ...

* * *

- უფ, კარგია მიწა!
- ხო!
- აი ახლა ის ტაქსი გაგვიჩერებს!
- არ არსებობს!
- რა არ არსებობს!
- ეს ტაქსი დამეჯახა შენ რომ შემომაკვდი, მერე იმ კაცისთვის გულს დაურტყამს!
- მართლა გააჩერა ტაქსმა, მძღოლი გადმოვიდა, უხმოდ ტიროდა, ცრემლები ღვარ-ღვარად მოდიოდა: „მაპატიე ძმაო“, - ძლივს ლუდლუდებდა.
- მორჩი რა თუ ძმა ხარ, არ მიყვარს ეს ცრემლები და ტრაური! სანაპიროზე ხო ჩავიყვან...
- ე. ი. მაპატიე...
- კი, ოღონდ უნდა პარაპეტებთან მიგვიყვანო! ლუდს ხო დალევ!
- დავლევ!
- აბა წავედით... „სამი ლიტრა ლუდიც არ დააქცევთ, მივიდეთ და ავილოთ, ვითომ დაქცევიათ...“
- რა მაინტერესებს, საათი რომელია ახლა?
- გეჩქარება სადმე?!
- არა, მაგრამ მაინც!
- თერთმეტი საათი და თერთმეტი წუთი...



ნათელა მაჭარაშვილი

ქალბატონი ნათელა მაჭარაშვილი რამოდენიმე კვირის წინ გარდაიცვალა. ვიცით, რომ მას ძალიან გაუხარებოდა აღმანახ „ხორნაბუჯში“ გამოქვეყნებული თავისი ლექსები რომ ენახა. მისი ლექსები როდესაც გადმომცეს, მე-4 ნომერი უკვე მზად იყო; მე-5 ნომრის გამოსვლას კი, სადაც მისი შესანიშნავი ნაწარმოებები იბეჭდება, სამწუხაროდ ვერ მოესწრო.

ნათელა მაჭარაშვილის ერთ-ერთი კრებულის წინათქმაში ბატონი როლანდ ტორონჯაძე წერს: „ქალბატონი ნათელა არ გახლავთ პროფესიონალი პოეტი და შესაძლოა არ ჰქონდეს ამის პრეტენზია, მაგრამ მკითხველი თავად დარწმუნდება მისი ლექსების მაღალმხატვრულობაში და პოეტურობაში. „როცა მეწერება ვწერ, როცა მემღერება — ვმღერი“ ამბობს ავტორი და ასე იქმნებოდა ეს საოცარი დედური სიყვარულითა და სიკეთით

სავსე, უდიდესი და უნაზესი სულიერი განცდებითა და ემოციებით დატვირთული, ჭეშმარიტი პოეტური ხიბლით დამშვენებული ლექსები.“

...ქალბატონი ნათელა იყო დიდი ოჯახის დედა, ბებია, დიდი ბებია, დედამთილი, მეზობელი და მეგობარი, ყველას მოამაგე და ჭირისუფალი. ჩვენს მიერ შერჩეულ მის რამოდენიმე ლექსს დღეს წარვუდგენთ მკითხველს.

ულექსოდ

ულექსოდ ხეს ვგავარ დამეხილს,
ულექსოდ ნახავსი ლოდი ვარ,
მიხმობენ ვახტანგ და ვამეხი,
იმ დიდ წარსულიდნ მოვდივარ.
ჩემი მზეც გადასწვდა შუბის ტარს,
მყინვარზე ალესილს აღმა ხრის,
სხივები უცვივა უბიდან,
მკერდზე უდგაფუნებს კალმახი.
ულექსოდ ბაღს ვგავარ დასეტყვილს,
ვახი ვარ გაზაფხულს მტირალი,
ულექსოდ ჩემს მამულს რას ვეტყვი
მისი მომავლისკენ მზირალი.
ულექსოდ ცრემლებს ღვრის ჩემი ცა
და ვგავარ წყაროებს დამშრალეებს,
რაც შოთას სტრიქონი შევიცან,
ფრთები არწივით გავშალე.
ულექსოდ სიცივე ამიტანს,
ჭრილობა გულამდე გაატანს,
ულექსოდ ვერ გავზრდი ამირანს,
ქეთევანს, დემეტრეს, პაატას.
ულექსოდ ერთი დღეც არ მინდა,
ულექსოდ სიცოცხლე მეცლება,

წარსული მიღიმის გაღმიდან
ლექსში შემოფრენილ მერცხლებად.

შენთვის მამულო

რაღას არ შევძლებ აღვსილი რწმენით!
ცხოვრება მუდამ ბრძოლა ყოფილა.
მამულო, ჰგავდეს თხილს გული ჩემი,
რომ შენთვის ცხრაჯერ გამაყოფინა.
ამჭერი ლერწმად, ბულბულის ყელით
მამღერე, ვგავდე ტოლებს იღბლიანს,
მე გავიარე შენთვის ცხრა ხერული,
სამოთხე ჩემთვის არ გამიღია.
გამაბანინე ხნული ცვარ-ნამით,
დამათესინე თესლი სიკეთის,
არ დამაფიწყო ფიქრშიაც წამით
არც პირაქეთი, არც პირიქეთი.
მარგუნე ბედი მწყემს-მომთაბარის,
მშვიდი ცხოვრება მე არ მესურვის,
ვზარდო ბარაქა შენი მთა-ბარის,
მკერდში ჩამიდგი გული ხევსურის.
ლეიბად მეგოს მიწა — ხავერდი,
შენი ცა იყოს ჩემი საბანი,
ხოლო მწვერვალზე თუ ვერ ავედი,
არ დამამადლო ლოდი სამარის.

იქუხოს

იქუხოს, თუნდაც ყოველთვის არ წვიმს,
 აქა-იქ კიდეც გავარდეს მეხი,
 ნუ ფიქრობთ ორბი დაკორტნის არწივს,
 ნუ ფიქრობთ მუხას წაქცევს ვერხვი.
 იქუხოს, თუნდაც შორსაა ჟამი
 ქვეყნის წალეკვის, მეორედ მოსვლის.
 დე, ბოროტებამ ანთხიოს შხამი,
 სიმართლეს მაინც ვერაფრით მოსვრის.
 იქუხოს, თუნდაც ქუხდა და იღგენ
 ჩვენი ტაძრები წმინდა ფრესკებით,
 არ წაიქცევით, გჯეროდეთ, ვიდრე
 მამულს ფესვებით ამოვესკენებით.
 იქუხოს, თუნდაც იღგენ და დგანან
 სისხლით ნაგები ციხე-ბურჯები,
 ისევ გვიხმობენ ოშკი და ბანა,
 მოგვძახის მოყმე ხორნაბუჯელი.
 იქუხოს, თუნდაც მოვარდეს თქეში,
 რა სჯობს ველ-მინდვრებს, წვიმით განბანილს?
 ხელაეთ რარიგად მზიანობს შხეში
 ჩვენი წიგნი და ჩვენი ანბანი?
 იქუხოს მთებმა, იწვიმოს მერე,
 ვინ გვაპატიებს სულით დაცემას?
 თუ ლექსი გინდათ, დე, ისე წერეთ,
 ღირდეს შვილებზე გადასაცემად.

ვერ დაგივინყნბთ

მთებო, ეგ თქვენი ძლიერი ექო
 გუგუნად მესმის წმინდა ზარების,
 ბარში ტყვეობა ჩიტივით მერგო,
 ვერ გივიწყებთ და სულ მეზმანებით.
 მოვდივარ, მთებო, უთქვენოდ ვერ ვძლებ,
 მე მარტო სიტყვით არ ვიქარგები,
 თუ გიღალატოთ, დამირჩეს გვერდზე
 ეს ვაჟკაცობა თქვენგან ნაქები.
 მთებო, დამიგეთ დეკა და ღვია,
 დამაწურინეთ ფიქრის მტევნები,
 აქ ასეთ ყოფნას რა ყოფნა ჰქვია,
 უმიზნოდ სხვებს თუ აუღევენები.
 გადამატარეთ წარაფ-ჭიუხებს,
 თოფს დამიხვიეთ დალის დალალი,
 გამომაყოლეთ თქვენი სიუხვე,

დაუყვედრელი სიტყვა ალალი.
 თქვენმა ტრფიალმა მინდა დამნაცროს,
 შემასხით ფრთები ისე, ვით არწივს,
 რომ მერე ბარში ლექსად დავცალო
 პრომეთეს ცეცხლით ავსილი ყანწი.
 მთებო, თქვენ ჩემთვის განძივით ფასობთ,
 სული ნისლებით სულ იმოსება,
 უსიყვარულოდ და უმოყვასოდ
 იბადებიან განა მგოსნებად?
 ამოვალ, მთებო, მივალწვე მიზანს,
 თუნდაც ჯიხვივით კლდე მალაკინეთ,
 მე თქვენით მიყვარს ეს ცა, ეს მიწა,
 თქვენს გულზე მოკვდე, რაღა ლოგინზე.
 მთებო, ჰე მთებო, აღარ ვარ ბალდი,
 კარგად გავიგნებ გზას უკომპასოდ,
 დედამიწაზე სიცოცხლე არ ღირს
 ჩემთვის უთქვენოდ და უმოყვასოდ.

დეფულეთის გზები

ჩემი ახალგაზრდობა გაფრენილი წლებია,
 თმებში ჭაღარის სიმი უხვად მომჭარბებია.
 მუდამ მოსაგონარი დედულეთის გზებია,
 ნამგზავრს გულში ალერსით ჩამიკრავდა ბებია.
 ბიძა ხელებს გაშლიდა ნიჩბის ტოლა მტკაველით,
 გული ჰქონდა კახისა და სიფიცხე ფშაველის,
 პატრიოტი მამულის, მეხოტბე და მფარველი,
 ხელის გულზე ეტია თითქმის მთელი მთა-ველი.
 დუღდა ქვევრში კახური და სქელი საფერავი,
 განთქმულ ქინძმარაულსაც წუნს ვერ სდებდა ვერავინ,
 ძალოს თანგირა ქვებით ცეცხლზე ედგა ხინკალი,
 ფისო თვალეებრიალა ხორცს სტაცებდა მიპარვით.
 ჩიხირთმა და ბოზბაში, დაცვარული მწვადები,
 დაბრაწული ნაზუქი და ფუმფულა ქადები,
 გვერდწითელა სინაპი, მოჩითული ლაქებით,
 დინჯი მრავალჟამიერ, სიმღერები ნაქები.
 ხევ-ხევ რიყე ეყარა წლიდან-წლამდე უკლებლივ,
 ზემოთ — წითლად ეღვარე ტვერი ბროწეულების,
 ქვემოთ — მაყვლის ჯაგები ხეზე გახლართულები,
 ვკრეფდით, ეკალბარდები ვერ გვაკრთობდა სრულებით.
 სახლის უკან ნაკაფი ტყისლა იყო ნარჩენი,
 წაღლით, ნაშრომ-ნაჯაფი მოხუცი პაპაჩემი,

ამზადებდა თონის ფიჩხს, მერე ერთად ტოლები
 მისგან შეკრულ გუდურებს მივიტანდით გორებით.
 დედისპურმა გამზარდა ლურჯმა მახობელისამ,
 გემო შემრჩა ხსოვნაში ლავაშის და ყველისა,
 ვერ ვივიწყებ ძარღვიან შოთებს სიყრმით ნაჩვევი,
 ისევ მომენატრება კუტი პურის ნაჭერი.
 ვეღარ ვხვდები სიყრმისას მეზობლებს და ახლობლებს,
 გადავიდნენ სიღნაღში, ზოგნი წნორში სახლობენ,
 ბოდბისხევის რიყის ქვებს ფეხს ვადგამდი წვალებით
 და დავტოვე დედულში ციცქნა ნატერფალები.
 ბოდბისხევის ბაზარი ხმაურით და ყაყანით,
 თითქმის მთელი კახეთის ერთად თავშესაყარი,
 მახსოვს გამოფენილი ქუდები და ნაბდები,
 მუღამ გაუცვეთელი, გამძლე წელიწადების.
 კახური კოკურები, ყელ-ყარყარა სურები,
 თუნგი, ტაშტი, ქვაბები ლეკის მოკალულები,
 ყველი ათასნაირი, შოთები და ლავაში,
 მოლაპლაპე ხანჯლები მოვერცხლილი ქარქაშით.
 შინ ნაქსოვი ხურჯინი, ხალიჩა და ფარდაგი.
 ღვინით სავსე კასრები, დამაქრული ბადაგი,
 თაფლით გამოტენილი ფიჭა ხელშეუხები,
 ჭრელ-ჭრელი ბაღდადები, ჩონა-ახალუხები.
 ლელვის ჩირი, ჩურჩხელა და ჩამიჩი დამტკბარი,
 შემოდგომა შეიდფერი, ქორწილი და მაყარი,
 წელიწადის ყველა დრო თუ გულში ჩამრჩენია,
 რა ვქნა, უნდა დამფერფლოს დედულეთის გენიამ.
 მახსოვს დიდედანჩემის ბაღჩა ნასათუთები,
 სუფრაზე დაბერტყილი ქარვისფერი თუთები,
 დახუნძლული თხილები, ქლიავი და ვაშლები,
 ერთურთს ჩახვეულები ვით მეზობლის ბაუშვები.
 შემოსული ლელვები, ნაყოფდახეთქილები,
 გახსნილი ბროწეული ჩაწკაპული კბილებით
 და მთელი წელიწადი წინ ეზოში გაშლილი,
 სურნელების მფრქვეველი, ვარდი მამულაშვილის.
 მახსოვს ჩვენი თალარი, მოვლილ-ნაპატივები,
 აჩურჩხლული მტკვნები, როგორც ველზე მძივები,
 გვიან შემოდგომაზე მსხვილნაყოფა შინდები,
 მაგონდება ყოველი, დიდხანს ვეღარ ვმშვიდდები.
 ტოტგაშლილი კაკლები საამური ჩრდილებით,
 გვექონდა მისი წენგოთი დაჟანგული ფრჩხილები,
 ჩხრიალებდნენ ჯიბეში ხელით დაკროცილები,
 ისე შევესოდით, ვით დედასპურს მშვირები.

ვეწვეოდი ჩემს სიღნაღს ციხე-გალაენებიანს,
 შემხვდებოდნენ ალერსით ბიძა, ძალო, ბებია,
 ან რა შეედრებოდა მათ მაღლიან პურ-მარილს,
 გულს სიაძმეს მომგვრიდა ცელქი სიო ბულვარის.
 მისვამს თავგატეხილას წყარო უკვდავებისა,
 მისგან ბევრი გაზრდილა მხეჭაბუკის ბედისა,
 დრომ სიყრმის ნაკვალევი ქვაფენილზე დატოვა,
 მე კი წლების სიმრავლემ თეთრად გადამათოვა.
 და თუ გულის სიღრმეში მიმალულ სხივს ვეხები,
 ცამდე ამაღლებულან საოცნებო ვერხვეები,
 რა დიდი დრო გასულა! კვლავ ის სითბო მეღირსა,
 ღმერთო, არ შემიმოკლო გზები დედულეთისა.

იმერეთში საოცნებო რამ დალია

იმერეთში საოცნებო რამ დალია,
 მტრებს ვუტევდით, ხმალთან გუთანს ვფერავდით.
 დროთა სვლამ ვერ გაახუნა სათაფლია,
 მოწამეთა, ბაგრატი და გელათი.
 ქუთაისით, დედაბოძით დასავლეთის,
 თეთრი ხილით, ვარდებით და რიონით,
 ამაყობდა სხვიტორი და სიმონეთი,
 შთაგონება იყო გალაკტიონის.
 ქუთაისმა იმდენ კარგ ყრმას მისცა საზრდო,
 მათი ღვაწლი მამულს გადაჰყენია,
 სხვა რომ არ ვთქვათ, უკვდავებად ჰყოფნის მარტო
 საქართველოს ლექსის ღმერთის გენია.
 იმერეთში კენჭიც კი არ დაკარგულა,
 თაობიდან თაობაში გადადის,
 როგორც საესე მთვარე, ისე გაბადრულა
 ვენახებში ჩაქარგული ბაღდადი...
 საირმეში უკვდავების წყაროს წყალი
 ნაპოვია რქანაყარი ირმების,
 მზის სხივებში ბრწყინავს, როგორც ნატერისთვალი,
 მშობელ მიწას ჩახლართული სირმებით.
 კლდეში მოჩანს ჩიტის ბუდედ მონასტერი,
 აღმართულა ცისკენ სვეტი კაცხისა,
 არ ედება დავიწყების შავი ფერი,
 დასტრიალებს აზრიც, მკლავიც კაცისა.
 იმერეთში საოცნებო რამ დალია,
 მტრებს ვუტევდით, ხმალთან გუთანს ვფერავდით.
 დროთა სვლამ ვერ გაახუნა სათაფლია,
 მოწამეთა, ბაგრატი და გელათი.



ჯუბა ლებელი

ქრისტეს მონოლოგი

I

ჯერ კიდევ თქვენთან პირველმოსვლამდე,
მე მამა ღმერთის მარჯვნივ ვიჯექი,
ანგელოსები ფრთებს მიმოსაუდნენ,
მეფერებოდნენ ქერუბიმები...

ვიცოდი, შექმნა ღმერთმა ადამი,
თავის სახედ და თავის ხატებად,
სადაც სიცოცხლე იყო მარადი,
იყო სამოთხე და ნეტარება...

ხშირად მინახავს ჩაფიქრებული,
ღმერთის ფიქრია სიტყვა-ქმედება,
როგორ ცხოვრობდა კაცი ეული,
ბაღში, მისთვის რომ შექმნა ედემად...

ვნახე ადამი და მის ნეკნიდან,
ქალი, ევაა ვისი სახელიც,
ვაშლი, შეცნობის ხეს რომ ეკიდა,
გველი იმ ვაშლის თანამზრახველი...

ხილის გასინჯვა იყო პირველი,
ცოდვა, რაც ევამ უფალს აჩვენა,
მეორე ცოდვა - შური ძმისმკვლელის,
როცა აბელი მოკლა კაენმა...

იმ ცოდვის დღიდან ვნახე ყოველი,
ადამის მოღმების მთელი ცხოვრება,

სიმცირე ხალხის - კარგის მყოფელის,
სიმრავლე მათში - ავისმყოფელთა...

ვნახე ბოროტის ქმნა და სიბილწე,
ხორცის ტკბობისთვის სულით დაცემა,
ლოცვასთან ერთად რომ დაიფიქვს,
ქვეყნად რისთვისაც შექმნათ გამჩენმა...

და მითხრა მამამ: მათ სივერაგემ,
გადააჭარბა ყველა მოლოდინს,
ათი მართალი კაცი ვერ ვნახე,
რომ არ დამეშვა ქვეყნად “სოლომი“...

იყო შიმშლი, იყო წარღვნის დღე,
მათ კიდევ მივცემ გზას და არჩევანს,
როგორც ძე ჩემი, უნდა წახვიდე,
კაცობრიობის გადასარჩენად...

ქრისტე მიწოდა მამამ სახელად...
ვინც მიწამეთ და ვინც ვერ მიწამეთ,
თქვენი ცოდვების გამოსახსნელად,
მე ჩამოვედი დედამიწაზე!..

II

სცოდავდნენ ძველი აღთქმის მამები,
იყო ტაძრებში ყიდვა-გაყიდვა,
მე ეს ცხოვრების მატარაბაზები,
გავყარე ჩემი მამის სახლიდან...

და მომიძულეს, რადგან იცოდნენ,
არ მოვიშლიდი იმათ მხილებას,
მე მჭირდებოდა მათთვის სიცოცხლე,
მათი თვალების ასახილველად...

და ვპოვე მაინც ზოგში საყრდენი,
ერთგული იყო გვერდით ვინც მყავდა,
ძედ მოვლენილი უფალს ვაქებდი
და მუცლით შობილს დედა მიყვარდა...

ხშირად ვახდენდი სასწაულებსაც,
თუმც ჩემს მისიას ბევრჯერ ვმაღავდი
და იყო დიდხანს ჩემი ბუნება,
ღმერთს და კაცს შორის შუამავლი...

ბევრს გაუხსენი ტაძრის კარები,
ბევრისთვის კარი იგი ჩაერაზე,
მე აუხილე ბრმა კაცს თვალები,
მე აღვადგინე მკვდრეთით ლაზარე...

ხან დავაპურე ხალხი მანანით,
ხან წყალი ღვინოდ გადავაქციე,
ბერვს ჩემი სწამდა, მაგრამ მავანნი,
ავად მითვლიდნენ ყველა საქციელს...

ჟამი დგებოდა სისხლის გაშვების,
ხსნის - ადამის ძის ცოდვილ მონათა,
ნიშანი იყო იორდანეში,
იოანესგან ჩემი მონათვლა...

შემოვიკრიბე მოციქულები
და საიდუმლო იქმნა სერობა,
იქ გავაძღვანე თავი სრულებით,
ვამცნე, რომ დევნა დაიწყებოდა...

ვთქვი: ეს დღეც თქვენთვის უფლით ხსნილია,
ზიარებისთვის თითოელის,
ჰა, ღვინო, იგი ჩემი სისხლი და
ჰა, პური - ხორცი ჩემი სხეულის...

მე გეტყვით: უფლის ნება ახდება,
არც დამეთანხმობთ, არც იუარობთ,
ერთი თქვენს შორის დღესვე გამცემს და
ერთი თქვენგანი სამჯერ უარმყოფს...

დაიწყო... მარტო სულის კი არა,
ძედ მოვლენილის ხორცის ტკივილი,
ღამე გაჰკვესა ვერცხლის ჩხრიალმა,
სამჯერ მომესმა მამლის ყივილი...

არ განვიკითხე, კაცი ვიცანი,
თავის ბუნებით, ძალით, ნიჭითაც,
მეც ხორცი მესხა ადამიანის
და თმენა ტანჯვის მაინც მიჭირდა...

უსულიეროდ ტყეც უსიერობს,
ვით ეკლესია, მრევლს რომ დაჰკარგავს,
ბრბო გაჰყვიროდა - ჯვარცმა იესოს,
თავისუფლება მკვლელს და ავაზაკს...

მცემდნენ ორკაპით, მათრახს მირტყამდნენ,
სისხლი მდიოდა ზურგზე ზოლებად,
კვარცხლბეკზე იღვა ისე პილატე,
მზე რომ რიჟრაჟზე გაიზმორება...

გვირგვინს მადგამდნენ დაწულს ეკლისგან,
რომის უხეში ჯარისკაცები,
მოუღ დედამიწას დაწვზე ეკიდა,
ცრემლი ღვთისმშობლის სველი თვალების...

ვგრძნობდი, ვხედავდი ყოველ ნაბიჯზე,
დედის მალული მხერა დამდევდა,
ემზადებოდა ჩემი ჯვარცმის დღე,
უკანასკნელი ღამის სათუვად...

ჯვარს შემეყენეს, მამამ რომელიც,
გამოაგზავნა თითქოს ზეციდან,
ჯვარი კი არა, უნდა ყოველი,
ადამიანის ცოდვა მეზიდა...

ვინ თმას იგლეჯდა, ვინ ქვას ისროდა,
იყვნენ მართალნიც, მოუსყიდავნიც,
ხან ჯვარი ჩემი მხრებით მიმქონდა,
ხან ამ ჯვარს გზაზე თავად მივყავდი...

აჰა, გოლგოთა, ჯვარი აღმართეს,
ხიდად დებულნი ლოტის ძელხისა,
მე სისხლი ჩემი მისთვის დავღვარე,
კაცობრიობის ხსნა რომ მეხილა!..

III

მე ვარ იესო, ახალ აღთქმიდან,
ღმერთი ცოცხალთა, მკვდართა, ცოდვილთა,
ორიათასი წელი გავიდა,
ჩემი ამ ქვეყნად პირველმოსვლიდან...

მე ვარ ნათელი, მზე და დიდება,
იმათიც, ვინც სხვა ღმერთი იწამეთ,
ჟამი სრულდება, მალე იქნება,
მეორედ მოსვლა დედამიწაზე...

მე ვარ უფალი, თქვენი სამება,
მამისა, ძისა, სულიწმიდისა,
ვინც დაიფერფლეთ ჩემთვის სანთლებად,
მე ამოგიყვანთ ცოცხლად მიწიდან...

ეს არ იქნება მოსვლა ძე კაცის,
თავის მსგავსად რომ შექმნა გამჩენმა,
ვისაც ესმოდა, როცა ვეძახდი,
სამარადისოდ ჩემთან დარჩება...

ეს არ იქნება მოსვლა ბაგაში,
წარმოგზავნილის ხატად თავისად,
ვინც ჩემთან იყო მსგეფშიც, მარხვაშიც,
ყველას ზეცაში მარჯვნივ დავისვამ...

მერე მოვიხმობ ყველა დანარჩენს,
მკვლევებს, ყაჩაღებს, ეშმას მსახურებს
და გამოვიტან მართალ განაჩენს,
ისეთს, როგორც დამსახურეს...

ვინც წესად იღო სუსტის დაცინვა,
აღარ უსმენდა არც კაცს, აღარც ღმერთს
და ვინც ეს თავის წესად აქცია,
მე ჩემი წესით გავასამართლებ...

ვინც შურმა სძლია, როგორც კაენი,
ან ვერცხლის ზონჩამ, როგორც იუდა,
ღია ექნებათ სკნელის კარები,
კიბეს არასდროს არვინ მიუღვამს...

ძმა და მოყვასი ვინც არ დაინდო,
ხელი ასწია მშობელ მამაზე,

მე მთავის შექმნილ ცეცხლის კარიდორს,
წვიმის მძივებით შევალამაზებ...

ვინც დაივიწყა ცოდვა სოდომის,
წარღვნა, გომორი ძველი აღთქმისა,
აღსარებისას ვინც არ მომენდო
და ყველაფერი გულით არ მითხრა...

ვინც ეკლესია მტრებით აავსო,
ბილწად შეეხო ხატებს, წმინდანებს,
მე მათ სუყველას ამის სანაცვლოდ,
დავტოვებ ცოდვილ დედამიწაზე...

წყალი გექნებათ, მაგრამ ვერ შესვამთ,
პურს ვერ მიიტანთ ახლოს პირამდე,
არვინ მოგივით მხსნელად, მშველელად,
როგორც იცრუეთ, ძარცვეთ, იპარეთ...

ისე გექნებათ ტანჯვა, წამება,
მოგიბრუნდებათ თქვენი ცოდვები,
მაგრამ მე მაინც გული დამწყდება
და ბოლოს ყველა შემეცოდებით...

და როცა სკნელის იმ კარს შეადებთ,
სადაც თქვენს ყველა ცოდვას იხილავთ,
და რომ მიხვდებით კარში შესვლამდე,
ვეღარ გამოხვალთ უკვე იქიდან...

როცა გულს გატკენთ სხვისი ჭრილობა,
თქვენით, თქვენს გამო მიყენებული,
სინდისის ზღვაში როს ჩაიფლობა,
თქვენი სული და თქვენი სხეული...

როს სინანული სრულ ზღვარს მიაღწევს,
მართალ გულს დადებთ უფლის ხაროზე,
მე მზეს ავანთებ დედამიწაზე
და დაგიბრუნებთ ისევ სამოთხეს...

სადაც სულ ორი სიტყვა იმეფებს,
მზედ სამყაროზე ამოქარგული,
სიყვარული და მხოლოდ სიკეთე,
მხოლოდ სიკეთე და სიყვარული!..

ხორნაბუჯი

დაიღლა ოქროს ურდო საქართველოს აკლებით,
მის წინ იდგა ხორნაბუჯი, როგორც წმინდა კანკელი,
ვერ ამჩნევდა დალატს ულუ ხათუნებს და ესუქნებს,
საქართველოს დედოფლებად ისე შემოესუქნენ...

ვერც ყაენმა ვერაფერი მოუხერხა „მზის საყრდენს“,
სხვა თქვი, თორემ გამცემები, იქ რომ იყვნენ, გიყვარდეს,
არ ავლებდნენ არაღ აღთქმას, არ ისმენდნენ მუდარას,
ქრისტე ღმერთმა კიდევ ერთხელ მოგვაფინა სუდარა...

ულუ ჯიგდას, ჯიგდა ჯიქურს შეახსენებს ბრძანებას,
ოთხი წყვილი ცოლ-შვილი ჰყავს მეფეს, რა ენაღვლება,
შეიპყრობენ დასასჯელად ღვთის ერთგულს და მეფის ყმას,
სისხლს დაღვრიან, ფიცს გასტყენ, ზნეს და სიტყვას შეპრყვნიან...

ახლაც ისმის ქარის სტვენა ტაბახმელის კლდე-კარში,
როცა სტუმრობს თეთრი ცხენით პანკისელი მხედარი,
თორღვა ბიჭო, ჯიგდა ხათუნს იქნებ როგორ უყვარდი,
ეს სისხლია - მეფის ცოლის სიყვარულზე უარი...

ცხენს შემოკრავს პანკისელი, მიაშურებს ალავერდს,
ხატზე სიტყვის დამფიცველი ბერის ბედი აღარდებს,
თორღვამ იცის, ძმადნაფიცის უტეხია ფიცი და
ღვას ტაძარში მუხლმოყრილი, სანთელს ანთებს მისთვისაც...

მაგრამ ბედი მართალ კაცსაც ზოგჯერ რისხვას მოუვლენს,
ღღემდე სისხლი ამჩნევია „ხესთა კოშკის“ ქონგურებს,
ოთხი სანთლით ამ სისხლიან ქვა კაჟსა და ბასრკბილას,
ღამ-ღამობით ხშირად ერთი ბერიკაცი აკითხავს...

ქონგურებში ხან ძახილის, ხან ტირილის ხმა ისმის -
სად ხარ შვილო შალვა, საღირ, გიორგი და დავითი?..
მერე ეს ხმა მინავლდება, მაგრამ ისევ დრო და დრო,
ისმის, როცა ნაპრალებში კაცის სული მოძრაობს...

ასწლეულთა ორღობეში მიჭრიალებს ურემი,
ზის ურემზე ქორა-ხოშა, მამა ხორხორუნების,
საუკუნე ათიოდე და ეპოქა მონათლავს,
ღინასტიის პირველ პირმშოს ჰერულ ბაგრატიონთა...

სიამაყით ვუმზერ ღღემდე ხორნაბუჯის ციტადელს,
მდგარს გამირული ისტორიის უკვდავ მემატთანედ,
ჩამოშლილი ქონგურებით, ნათელის მფენ სიძველით,
შვიდასი წლის შეუპოვარ უდრეკ მახატლისძენით...

იქ კი, ტაბახმელის კლდე-კარს, „ხესთა კოშკის“ ბასრკბილას,
ორი კარგი ძმადნაფიცის სისხლის კვალი აჩნია,
ბზინავს სისხლი კაჟის ქვაზე ღღემდე ფერშეუცვლელი,
ბექა პანკისელისა და ბერი ხორნაბუჯელის!..

ღამენათევს მთვარესთან...

შენ ხარ მზეზე უმზევესი,
უმთვარესი მთვარეზე,
ბავშვობიდან სულ გეძებდი,
გბერდები და დაგეძებ...

ხან წყარო ხარ, ხან მდინარე,
ხანაც მღვრიე მორევი,
ვერც მე გაუხდი, ვაღიარებ,
სიყვარულის მომრევი...

ბევრს ვეცადე, ვერ შეეძელი,
შენი გულის ჩათრევა,

ბოლოს მივხვდი, მზეს გეძებდი,
დამენათვეს მთვარესთან...

რამდენჯერაც მიღალატე,
გული მოკვდა იმდენჯერ,
რა ვქნა, ვერც იმ დამის ალერსს,
ვერც შენს ღალატს ვიჯერებ...

მაინც მზე ხარ უმზევესი,
ის მეტოქე მთვარეც ხარ,
განა მართლა სულ გეძებდი,
შემომხვდი და... რა მეტქვა?!

სიყვარული

ვაცნობიერებ, რომ სიყვარული
ზოგჯერ იღბალი, ზოგჯერ ბედია,
ხან ჭრილობაა შეხორცებული,
ხან ვირუსით გადამდებია,
ხან ტკივილია, ხან სიხარული,
ხან ოცნება და ფუჭი სიტყვები,
ჯერ არ მოსული, მოუხედავად
მიდის შენგან და უკან მიჰყვები...

კი არ მიჰყვები, მისდევ გიჟივით
და სასწორზე დებ ყოფნა-არყოფნას,
თან თავს იმართლებ, გულს ეუბნები,
რომ ჩათრევას სჯობს მაინც ჩაყოლა,
მზად ხარ გაწირო სულიც, სხეულიც,
იწვე მზის გულზე, იდგე მყინვარზე,
ოღონდ უშხირო, ოღონდ უფლება
მისცე საკუთარ თავს, რომ გიყვარდეს...

ის კი, ის მისი უმაღლესობა,
სიყვარული რომ ჰქვია სახელად,
შორი-შორ გივლის, გათვალისწინებს
და მერე ისე მოგეპარება,
თითქოს ჩაგარტყეს გულში მახვილი,
თავბრუს დაგახვევს, გაგატიალებს
და მერე ხვდები, რომ დედამიწაც
იმ დალოცვილის ღერძზე ტრიალებს!..

მზერა, რომელიც გაგაქრა სხვისკენ!

ამოისუნთქეს ნისლები მთებმა,
ამოაყოლეს ფილტვები ღამის,
მე მოვდიოდი ყოველთვის შენთან,
ამ ნისლებით ჩუმად და კრძალვით...

ვუშხერდი მთვარეს შემშრალი ცრემლით,
ტალღები შტორმში ცეკვავდნენ ფერხულს,
ვფიქრობდი შენზე და ფიქრი ჩემი,
ონშივარივით დიოდა სხეულს...

რადაც მზისფერი დაჰქონდათ ტალღებს,
ცისფერი ალი ეკიდა ფილტვებს,
ვხვდებოდი დრო რა ტყუილად ვფანტე
და რა ტყუილად ვხარჯავდი სიტყვებს...

სიტყვებს, რომლებიც ჰშვენოდნენ რითმას,
რითმა რომელიც ცოცხლობდა ლექსში,
მიყვარხარ, შენთვის, რამდენჯერ მითქვამს,
რამდენჯერ მითქვამს ხმამაღლა, შენ კი...

დუმილით განა, ან გული რადაც,
მიზნებს რომ ეძებს, თავის თავს იკვლევს,
თვალეში უცბად იყვია - არა,
მზერამ, რომელიც გაგექცა სხვისკენ!

სადაც დარჩა სოხუმი

მოლოდინში მოვხუცდი,
ვიმზირები იქით,
სადაც დარჩა სოხუმი
და თამარის ხიდი...

მანამდე კი დავტოვეთ,
ადლერი და სოჭი,
ისე ვქენით, მარტოზე,
თავის ფესვს რომ მოჭრის...

მერე ავირიენით,
როგორც მახსოვს ზუსტად,
ჩვენ ვიყავით ძლიერნი,
მაგრამ გვძლია სუსტმა...

ვეღარც „ვიოდოიეთ“,
ვერც „ვისისატურეთ“,
გვიჩაგრავდნენ ოდითვე,
ცოტნეებს და უტებს...

ოდითვე თუ ოდითგან,
დამებლანდა სიტყვა,
ვინც აქ სტუმრად მოვიდა,
ჩვენს მასპინძლად იქცა...

ვამრავლებდით ჯაყოებს,
ვუმრავლებდით ხიზნებს,
ჩვენსას დაეპატრონენ,
თავად გავიხიზნეთ...

წლები შემომეხარჯა,
გამიცოვდა კერა,
ვერც ხმალს ვლეს და ვერც ხანჯარს,
ვეღარც ვჭრი და ვაპრაფ...

მოლოდინში მოვხუცდი,
ვიმზირები იქით,

სადაც დარჩა სოხუმი
და თამარის ხიდი...

სანამდე მიწად ვიქნავი

არ მიყვარს ბედზე ჩივილი,
ოქროს კოშკს ვნატრობ არც როსა,
ნეტავი სადმე ხის ჩრდილში,
მდელოზე წამომაგორა...

არ მიყვარს ხელის გაშვება,
გულის თვალებით ვიცქერი,
სანამდე ცრემლი გაშრება,
სანამდე მიწად ვიქცევი...

გასვრა არ მინდა ანაზღად,
არც ხელის, ხელზე თითების,
ცხოვრება მინდა ლამაზად,
კეთება მინდა სიკეთის!..

როგორც პატარძლის ღამე

მელულებიან თოლნი,
შენი ცქერით რომ ვღალე,
მოდის ქუჩაში თოვლი,
როგორც პატარძლის ღამე...

გაირინდება ვნება,
ჭირხლი აღნება ჭერხოს,
ასეც ხანდახან ხდება,
ნედლ ხეს გამხმარი ხე სჯობს...

ცვივა ფანტელი ციდან,
ვხვდები გარიჟრაჟს ზეზე,
თოვლს გაზაფხულზე სცივა,
როგორც ზამთარი მხეებს...

მივაყურადებ ჩუმიად,
ფიფქის სარკმელზე ამბორს,
ცარიელია ქუჩა
და შენც არაფერს ამბობ...

მელულებიან თოლნი,
შენი ცქერით რომ ვღალე,
მოდის ქუჩაში თოვლი,
როგორც პატარძლის ღამე...

დაგვრჩა თავისუფლებანი!..

მასსოვს დილა მზიანი,
მზე - სისხლ-შეუღებავი,
მამულს ჰყავდა ზვიადი,
მამულს ჰყავდა მერაბი...
მათთან იყო გიორგი,
მათთან იყო ირაკლი,

მჯიღს ვიცემდით, ვგმობდით,
დროშას გულში ვიკრავდით...

მერე იყო კაბარე,
იყო ვერცხლით ცდუნებაც,
საქართველო დაგვარგეთ,
დაგვრჩა თავისუფლება!..

* * *

მე თქვენ მიყვარხართ, ქალბატონო, არ დაგიძლავთ,
ის მთა მე ვიყავ, თქვენ რომ ბაცი ნისლი გეგონათ,
ჰგავს თქვენი თმები ჰორიზონტზე გაშლილ იალალს,
ჰგავს თქვენი მკერდი თეთრ შროშანებს ალპურ მდელოთა...

დღეს უნდა გნახოთ, არ იფიქროთ გითვლით პაემანს,
მზის სხივებად სჩანს ჩემს თვალებში თქვენი სხეული,
რა დროს ძილია, განთიადი მოიპარება,
წუხანდლ ღამეს ლოთიანად გადახვეული!..

დავესესხები ჩალაზას*

პირში გვაგვლებენ ჩალას და
ფუჭად გვაძლევენ იმედებს,
დავესესხები ჩალაზას -
კი არ „აგებენ“; * ი გ ე ბ ე ნ...*

ხან აღმა ხნავენ, ხან დაღმა,
ხანაც უკუღმა თუსავენ,
ისევ უშუქოდ დაღამდა,
ბნელს ვებრძვი გათენებამდე...

შური, ქიშპობა კვლავ მოგვდგა,
აქ დავითს* დავესესხები,
სუყველამ ყინჩი წამოგვკრა,
ჩვენ შეგვიბოჭა ხელები...

სულ თვალწინ მიდგას ილიას,
„ყველა ყრუ, ცრუ და მახინჯი“,
სამშობლო გაყიდულია,
ვერ წავდგით ერთი ნაბიჯი...

აკაკი იყო აკაკი,
ფურთხს ვერ გაკადრებ მამულო,
როგორ ნელ-ნელა დამაკლდი,
სიზმრებშიც ვეღარ გნახულობ!..

* ჩალაზა -თემურ ჩალაზაშვილი, „აგებენ“- იგულისხმება გზა, ი გ ე ბ ე ნ - იგულისხმება ფული, დავითი - დავით გურამიშვილი;



ქეთევან ნათელაძე

* * *

ჩემი რჩეული დაბრუნდება და მოსვლის ხმებით
 გამოაღვიძებს ანგელოზებს,
 ზურმუხტის ჭაღებს,
 ყელზეც, მაჯებზეც მარჯნებით შემაბამს ვნებას,
 მოვივლით ერთად
 ზეთისხილის მარტოსულ ბაღებს...
 უახლოვდება ნაცნობ ტყეებს, ბილიკებს, რიფებს,
 ჩემი რჩეული
 და მითიურ სიმღერებს მღერის,
 ემსგავსებიან ქარიშხლები უჩინარ ნიმფებს,
 ასლით ტრამალებს
 ყვაილების ფერადი მტკერი.
 მოვა ვით ღმერთი, გააცოცხლებს შორეულ ზღაპარს,
 ამ ლურჯ ყურეში
 რიჟრაჟამდე ჩაუშვებს აფრებს,
 თუთრმა ცხენებმა ჩაუარეს ქვიშიან ნაპირს,
 და ტალღებით
 მზის ოქროსფერ ბურუსში გაქრნენ!
 ვიხდი და მაღალ სარკვებთან შიშველი ვწვები,
 ჩემი რჩეული
 დაბრუნების იმედით მტოვებს,

მომიცავს მისი სიყვარულის ზღვისფერი ვნება,
 შეაკრობს ბაღში
 ზეთისხილის სვედიან რტოებს.

* * *

ეს ლექსი ეძღვნება დედამიწაზე მცხოვრებ ყველა გოგოს!

თითქოს მზე იწვევს დაბნელებას, როცა შენ ტირი,
 ნუ ტირი, ყველა განსაცდელი კვამლივით წავა,
 ყველა მითიურ სასწაულის მთავარი გმირი,
 და ამავე დროს შემოქმედიც შენა ხარ თავად!
 იცვლება ირგვლივ ყველაფერი, დრო დადგა ყალბი,
 შენ კვლავ იგი ხარ, ვინც იყავი ბევრი წლის წინათ -
 -პატარა გოგო, აბრეშუმის ცისფერი კაბით,
 და შენს საწოლთან ღმერთის კეთილ ანგელოზს სძინავს.
 და შენს სიზმრებში ცას ფერი აქვს ხასხასა ლურჯი,
 და ირწვევიან ხორბლისფერი ყანები ზანტად,
 შენ დგახარ შენი მოღბერებით და ჯადოსნურ ფუნჯით,
 და შენს გარშემო მოყვავილე გაზაფხულს ხატავ.
 ნუ ტირი, შენ ხარ სილამაზის უშრეტი წყარო,
 შენს დიდრონ თვალებს არ უხდება ამდენი სვედა,
 მერე რა, თუკი ახლა გტკივა... ჩადგება ქარი,
 და როგორც ზღაპრებს გიყვებოდა ძილის წინ დედა,
 კვლავ დაინახავ მოსაუბრე კენკროვან ხეებს,
 სხვენში მოფრენილ ფერიების მომღერალ კრებას,
 მაგრამ არ მისცე უიმედოდ მოშხამულ ღღეებს,
 შენს შეუცნობელ სამყაროში შემოსვლის ნება.
 არ დაუჯერო, სისუსტეში ვინც დაგლო ბრალი,
 მოიგებ შენს ომს და იპოვი მას, რასაც ეძებ,
 შენშია სხვისთვის უხილაფი, ღვთიური ძალა,
 მე შენი მჯერა, შეუძლებელს ვიცი, რომ შეძლებ.
 შენშია, რაც კი მშვენიერი არსებობს ცნება,
 წამით დახუჭვ თვალები და თავადვე ნახავ,
 შენ კვლავ ის ურჩი გოგონა ხარ, გაჩეჩილ თმებით,
 მზის ათინათში ასკინკილით რომ მორბის ლაღად.
 რომ ავსებს მზისებრ დიდი შუქით გარშემო ყოველს,
 ეს შენეული ზღაპარია, ნუ აქცევ დრამად,
 მერე რა, თუკი სასწაული ჯერ ვერსად ჰპოვე,
 ყველაზე დიდი სასწაული შენშია თავად.
 ნუ ტირი... რამაც დაგისველა ცრემლებით თვალი,
 გადაივიწყე, უსახური სიზმარი როგორც,
 შენ შეძლებ იყო გასაოცრად ძლიერი ქალი,
 და მაინც ცისფერკაბიანი, პატარა გოგო...

* * *

ან რატომ გიკვირს,
 მეც იმ ხეს ვგაუარ,
 გაქცევა რომ არ შეუძლია,

დადახება რომ არ შეუძლია...
 შეხედე, როგორ გაგყვითლდები ამ შემოდგომით...
 მე არ გწერ სიტყვებს,
 გწერ ემოციებს,
 ყველა სიტყვა ვერშეკავებული ემოციაა.
 ღამეები ერთმანეთს გვანან,
 და ოთახებიც ცივ სიბნელეში.
 იმაზე დიდი მარტოობა აღარ არსებობს,
 როცა საწოლის კუთხეში ორად მოკეცილი
 საკუთარ მუხლებს გულში იხუტებ,
 რომ სხეულს სევდა შეუმსუბუქო,
 სულს რომ ვერასდროს შეუმსუბუქე.
 იმაზე დიდი მარტოობა აღარ არსებობს,
 როცა ხეების ბედს იზიარებ
 და აყურადებ მათ, მათ ჩუმ ტკივილებს...
 გაქცევა რომ არ შეუძლიათ,
 დადახება რომ არ შეუძლიათ
 და ხედავ როგორ იბზარებიან იმ მხრიდან,
 რომელ მხარესაც გულია...
 როგორ ვიცხოვრო ასეთი დიდი სიყვარულით,
 როგორ ვიცხოვრო...
 არ ვფიქრობ დროზე,
 რომელშიც შენ არ იარსებებ.
 ოთახის კედლებს დამტკნარი ფოთლების სუნი გაუჩნდათ,
 ასე მგონია, რომ მალე სახლსაც ფოთლები გასცვივია,
 დიდი, ყვითელი ფოთლები...
 თვალეში მარტოობა გამეყვინა,
 არასოდეს მთავრდება ის,
 რაც ოდესღაც სულმა განიცადა...
 გწერ ემოციებს და ვიცი, რომ გაგიჟება
 შეიძლება ამ ყველაფრით!
 ...ან რატომ გიკვირს,
 მეც იმ ხეს ვგაუარ,
 რომლის ტოტებშიც მთელ ზაფხულს ჩიტები გალობდნენ
 და ზამთრის პირს უცაბედად მარტო დარჩა...

ლამაზი იყო...

რითი ვუშველით ყვაილებს დამზრალს,
 მაჯებზე კალმით დახატულ ტალღებს,
 როცა გულის ხმა მიელტვის სხვა გზას,
 ძნელია მაშინ ფეხის ხმას გაჰყვე.
 ეს ქარი, ყველა სიშორის მსგავსად,
 ვეღარც მპატრონობს, ვერც ჩემ ხმას გაწვდენს,
 მე მოვახერხე ისეთი წასვლა,
 რომ ჩემზე გული არასდროს დაგწყდეს.
 ეს ლექსი უკვე აღარ ჰგავს კითხვებს,
 არც სანახევროდ გაღებულ კარებს,
 ისე გულწრფელი თავსხმაა თითქოს,
 ჩვენი ბავშვობა გასულა გარეთ...

ეს ქუჩა უკვე აღარსად მიხმობს,
 და მხრებთან წვიმის ირწყვა ფარდა,
 ყველა ვარსკვლავი ლამაზი იყო,
 რაც შენი სულის სარკმლიდან ჩანდა...

* * *

როცა დაუბრუნდებით ძველ სიყვარულს,
 იმ შთაგონებით, რომ
 განსაკუთრებული ამბები არასდროს მთავრდება,
 ნუ დასვამთ კითხვებს შეწყვეტილ ლოცვაზე
 და უთქვენოდ გატარებულ წლებზე,
 სისულელეა რამე იკითხო,
 როცა ბრუნდები...
 სისულელეა ამდენად მიამიტი იყო...
 მაშინ როცა, შეგიძლიათ დაუბრუნდეთ ძველ ქალაქებს,
 ძველ მეგობრებს,
 ძველ წიგნებს...
 მაგრამ სისულელეა დაუბრუნდეთ ძველ სიყვარულს...
 როცა დაუბრუნდებით ძველ სიყვარულს,
 იმ ილუზიით, რომ იგი უცდის თქვენს დაბრუნებას,
 ნუ იქნებით ასეთი რისკიანი -
 ნუ ჩახედავთ თამამად თვალებში,
 ნუ ჩახედავთ დიდი ხნით თვალებში,
 როგორც ადრე უყურებდით ხოლმე,
 რადგან აუცილებლად დაგწყდებათ გული,
 როცა მათში ველარაფრის წაკითხვას შეძლებთ...
 როცა დაუბრუნდებით ძველ სიყვარულს,
 იმის იმედით, რომ „სიყვარული მარადიულია“,
 ნუ დაუდგებით გვერდით,
 ნუ ჩაკიდებთ ხელს,
 ნუ გაივლით მასთან ერთად იმ ქუჩებს,
 რომელსაც ადრე გადიოდით,
 რადგან აუცილებლად გაგიჩნდებათ შეგრძნება,
 რომ იქ მასთან ერთად არასოდეს ჩავივლიათ...
 და როცა მაინც, ყველაფრისდა მიუხედავად გადაწყვეტთ,
 რომ დაუბრუნდეთ ძველ სიყვარულს,
 როგორც დიდი ხნის წინ მიტოვებულ ბავშვობის სახლს,
 ნუ შეხვალთ მასში ბედნიერებით ანთებული თვალებით,
 მონატრებისგან ათრთოლებული მხრებით,
 მოლოდინისგან აფრიალებული გულით,
 „როგორც იქნა მოვედი“ გამომეტყველებით,
 ხელში ფერადი ბუშტებით,
 როგორც ამას დიდი ხნის წინ აკეთებდით ხოლმე...
 ნუ აანთებთ ოთახში შუქს,
 ნუ გადასწევთ ფანჯრებზე ფარდებს,
 ნუ გამოაღებთ ფართოდ კარებს,
 რადგან იქ უკვე
 ა ღ ა რ ა ფ ე რ ი ა...



თენგიზ ბაქაშვილი

ჩემს შვილიშვილებს

საქართველოს ცა,
ჯერ არ დაყოფილა!
საქართველოს მზე,
ისევ მთლიანია!
გმირების სისხლი,
ქარს არ გაჰყოლია!
დავითის წაშლა,
უკვე გვიანია!
ლაჩართა აზრი,
ბევრჯერ დაჩოქილა!
ჩვენი კაი ყმა.
მათ არ აჰყოლია!
ვისაც სამშობლო,
ღმერთი - არ ჰკონია,
მათ, ღმერთი არა ჰყავთ!...
... და
არცა ჰყოლიათ!...

შობა

ყოფნა გრძელდება!...
შეწყვიტეთ გლოვა!...
გამოსტაცეთ -
სულები წყვდიადებს!...
სიცოცხლის დროა!...
აქ,
ღმერთი მოვა!...
ის არასოდეს არ აგვიანებს!...
გეძელდება ბრძოლა!...
სიყვარულს ხოტბა!...
ხოტბა -
ღვთის შობილ ადამიანებს!...

დიდება შობას!...
აქ,
ქრისტე მოვა!...
წაშლის იარებს
და მოლოდინებს აამზიანებს!...

* * *

ბავშვი,
ქვაფენილზე
დედას ხატავდა!...
არასდროს ნანახ დედას!...
ნუშის ყვავილები,
ყვავილებს არ ჰგავდა,
ის ჰგავდა,
დედის - სევდას!...
ქუჩაში ნუში,
თეთრ
აპრილს ჰქარავდა,
ჰქარავდა,
ობლის ნატვრას!...
... ბავშვი კი,
ობოლ ცრემლებში
მაღავდა,
დედის ხატს,
ცივ ქვებზე ნახატს!...

* * *

მე მსურდა მოსვლა,
მუქი თმებით,
სამოსით - თეთრით!...
... და მოველ როცა,
თეთრ თმებიანს,
მემოსა მუქი!...
... ეს იყო ხვედრი.
ჩვენი ბედის,
ნუ გამიწყურებით!...
გულში არ მოკვდა,
თქვენს გზად მკვდარი.
მიხაკის - შუქი!...

* * *

იღუმალ წრიალს,
ვერ ვუხსნი - სურვილს!
აქ,
უფლის იმედს,
კვლავ
ვერცხლში სცვლიან!
მზე მადგას თეთრი,
სითეთრით სრულით!...
და ვუწნავ სხივებს,
სიყვარულს გვიანს!
მღერიან მთები,

გადანისლულნი
რაც მიძლიერებს.
სიწრფელის ციაგს!...
... მწამს აყვავდება,
ტრფიალი - სულის...
... და
მტვერს მიაგდებს,
სურვილებს მტვრიანს!...

ეპილოგი

აგანთებს,
აგაფრენს,
დაგაბნევს,
გადაგრეხს...
... აქ ალბათ - ქალია!...
ლაძაზი - ძალიან!...
აგატკენს
ნატყვიარს
შხამიანს!...
გადაგდებს
მწველ ვნებებს
და ვენებს
ხანძრიანს!...
ჩაგაგდებს,
დაგადებს
ქვას ჯვრიანს
დაგაგდებს
მკვდარ იას!...
დაგადენს
ცხელ წვეთებს
თვალ მზიანს
დაგაწერს:
- „მკვდარია
მთვარისას!!!... “

* * *

შორეული ვარსკვლავი,
აქ არ - ჩამოჯდება!...
ჰორიზონტიც,
სიშორით მხიბლავს!...
მერე რა, რომ მსურხართ
და ეს - არ მოხდება,
გავიღმერთებ მაინც,
ღვთის
იღბალს!...
აქ სხვა სიყვარული,
ამოთავთავდება!...
გულმოკლული,
აქ, თავს
არ იკლავს!...
... და მთვრალი მთვარე,
რომ
ამობარბაცდება,
გეტყვით თქვენ,
რაც სხვისთვის
არ მითქვამს!...



ენა ჯავახიშვილი

სიყვარულის წრემლი უხდენა....

სიყვარულს ცრემლი უხდება,
 წამწამზე ნამი უშრობი,
 მზერა რომ სათქმელს უხვდება
 და როგორც ლექსი უშობი
 გაწუხებს ყველა სტრიქონი,
 ამოსთქვა, ამოაყარო,
 მარტოც რომ იყო, იქ ორის
 თვალებით გიყვარს სამყარო.

მო ჩემთან, ჩემო აისო...

(ფშაურ კილოზე)

შორიდან უნდა გიგალო,
 ვარ ღირსი ბედის ამისა,
 სიოც რომ მოგელამუნოს
 გული გამისკდეს ლამისა.
 არ მეგულება მახლობლად,
 თვალზე შემშრობი ნამისა,
 რატომ მათირებ, უგულოვ,
 სიხარულს დედის-მამისას.
 მწყურხარ როგორც დილა და
 შეგნატრი სხივებს და მისსა,
 მომბეზრდა ორომტრიალი
 უშენო დღე და ღამისა.
 მო ჩემთან, ჩემო აისო,
 დრო ბევრიც აღარ არისა,
 ქარებმა უცებ იციან
 ფეხში გამოკვრა სარმისა.

იპ

ძლივს გაიღიმა იამა,
 ბაგე დამტკბარმა აქო ცა,
 მზემაც არ დააგვიანა,
 მიეპარა და აკოცა.
 ლურჯი თვალები დახარა,
 სირცხილმა აეჭკლ-ჩაეჭკლა,
 მზემ მაკოცაო,-ახარა
 მიწას და გულში ჩაეკრა.

შენ ისევ...

ჩაესვენება ისევ მზე,
 ეს სიო ამინდს აგიჟებს,
 შენ ისევ მოიმინებ
 წასვლა,
 მე ისევ გაგიშვებ.
 ვერხვის შრიალი მიწყდება,
 შექანდებიან ბონდები,
 შენ ისევ დამიფიწყებ და
 მე ისევ დაგელოდები.
 მერე, დაორთქლილ მინებთან
 მზის მოფრინდება ზუნდები,
 შენ ისევ გამიღიმებ და
 მე ისევ ჩაგეუტები.
 ველარა გთმობ აისო...
 მღუძარებამ ლამის მნთქას,
 ჩემო თვალებ-დილებავ,
 რომ მიყვარხარ ამის თქმა,
 სულ არ შეადვილება.
 ფიქრებს მთიან-გორიანს
 ქარის ფრთები აკრია,
 ვერ გხედავ და მგონია
 გულს ჟანგბადი აკლია.
 დილად რაც გამითენდი,
 ველარა გთმობ აისო,
 თუ კი დუმილს ვითმენდი,
 ეს ფიალაც აივსო.
 სიყვარულს რას გაუგებ,
 უცნაურად იქცევა,
 ზღვაზე ხიდი გაუდევ,
 შენთან გამოიქცევა.

* * *

დღე იყო უამინდო და
 ცას მიეხურა დარაბა,
 არც სიყვარული მინდოდა,
 არც მისი დავიდარაბა.
 ჩემს მზეს ღრუბელი ბურავდა,
 მეც ფოთოლს ვგავდი ნაწვიმევს,
 მოხველ და უნებურადა
 შენი მზე გავინაწილე.



გივი სომხიშვილი

მონატრება

მომენატრე ვარცლის თავზე
 დაგროვილო საფანელო;
 -პირმოტეხილო ხელადაუ,
 ქვევრის ახლოს საწნახელო;
 -ღვინით გაჟღენთილო ჯამო
 სადღეგრძელოდ დასაჭერო;
 -ცხიმიანო გუდის ყველო,
 ზედ შუაზე გასაჭრელო;
 -შოთის პურო, ხელდამწველო,
 გასაწყვეტად გასაწელო,
 -მევენახის წინსაფარო,
 -შაბნაწვიმო ტანსაცმელო,
 თქვენი ტრფობის მოლექსე ვარ
 და მოყვარედ თავსა ვჩემობ.

მე ჩემი სიხარული მაქვს

მე ჩემი სიხარული მაქვს,
 ჩემი იმედი მომწონს,
 ჩემი ღუმილით გართობამ
 გულზე მალამო მომცხო.
 სახეზე ბზარი ნაოჭთა
 წლების სიმრავლემ მორწყო,
 დიდი წამება მაჩვენა
 კაცმა, კაცობით მომცრომ.

აღამიანი მინახავს
 თვისტომს რომ ღეჭავს ხორცად,
 რწმენის მთავარი მოძღვარი
 რწმენის მტრედების ხოცვად.
 ვისაც ვინა ყავს გამჩენად,
 იმ მკერდის ძუძუს მოწოვს;
 მე ჩემი რწმენა მაცოცხლებს,
 ჩემი რიყის ქვა მომწონს.

სანამ ხარ

როცა სიცილი გეწვიოს,
 არ დაიზარო, იცინე,
 სულ დაგავიწყდეს იქნება
 რაც წამებისგან იწყინე.
 თუ გაგახსენდა წარსული,
 დიდების ყანწი დალიე,
 ჯავრს გული არ შეაჭამო,
 ილხინე მრავალჟამიერ.
 თუ გაგიმწარდა სიცოცხლე,
 დღე შეგიმოკლა გამჩენმა,
 გჯეროდეს წინსვლა ჯობია
 ამქვეყნად ცრემლით დარჩენას.
 მონის უღელს ნუ დაიდგამ,
 მხნეობა ცამდი ასწიე,
 ყვაუმა სიცოცხლის რა იცის,
 ეს უნდა ჰკითხო არწივებს.
 სანამ ხარ მეტეორივით
 აენთე, სხვებიც გაათბე;
 რად გინდა ისეთი ყოფა,
 თუ სულს მათხოვრად დაათრე.

ვინა ვარ

ვინა ვარ და ვინცა ვარ,
 მიწის სურნელს ვფიცავარ,
 ხან აფთარის ღოჯი ვარ,
 ხან ღუნღულა ციცა ვარ.
 დავიბადეთ შიშველი,
 ვინც დარჩა და ვინც არა.
 ბოლოს მაგრად ჩამკეტოს
 კუბოს სამმა ფიცარმა.
 ეს ცხოვრება შევიცან
 სიცილად და ხიცინად;
 წუთისოფლის მასხარას
 წავიმძღვარებ წინ-წინა.
 ვინა ვარ და ვინცა ვარ

ტვირთის ქვეშაც ყინჩად ვარ;
სიყვარულის ჰანგი ვარ,
ბოლოს ჰეშვი მიწა ვარ.

გვირილეების თაიგული

გვირილეების თაიგული
მინდორს მარტომ შევაცალე,
ნიავეს ვკითხე შენი კვალი,
ვერ გიპოვე, გენაცვალე.
ღელე-ღელე, ჭალა-ჭალა
ეს მთა-ბარი მოვიარე,
ყვაილები ყველა დაჭკნა,
დარდით წელში მოვიხარე.
გაზაფხული გამოფრინდა,
მას ზაფხული მოჰყვა მალე
და ჭალარა შემოდგომა
მიბრიალებს უკვე თვალებს.
ოცნება კი მთლად ჭაბუკი
შენს ეზოში ვაბალახე,
დავიზამთრებ იმ პირობით,
თუ შენს თვალებს დამანახებ.
გზები ვკეცე, ვერ დაკეცე,
ქოხი დამრჩა ღარბული,
სიყვარულის ცეცხლს მიახლებს
ეს დამჭკნარი თაიგული.

რკინა ჭრის რკინას

რკინა ჭრის რკინას,
მზე ცაში ბრწყინავს,
არაფრად აგდებს უკანას წინა;
დიდი ხე ბუხარს
შერჩება ნაცრად,
სხვა დაიხეთქავს
მოჭრილის ნაცვლად.
ღღუვანდელი ზვალ
ვერას დაგვაკლებს,
გუშინდელიც ხომ
ახლა დანაყეს.
დილა გავს დილას,
მღვდელს არ სწამს წირვა,
სიცოცხლე თიბავს
სიცოცხლის ბრწყინვას.
მგელს არ შერჩება

სისხლი ბატენისა,
ისიც გახდება
ლუკმა მატლისა
რკინა ჭრის რკინას,
ვერხვსა და რცხილას,
არ ებრალება უკანას წინა.

ქეიფი ალაზნის პირას

ალაზნის პირას დაანთეს ცეცხლი,
გათალეს შვინდის ჯოხის შამფური,
ხელადას მოხსნეს ჩალის საცობი,
წინწკლებს ისროდა ცელქი კახური.
შეწვეს მწვადები, მოხარშეს თევზი,
ნანადირევი დაყარეს გროვად,
თამადამ მხარზე გაიღო ყანწი,
ღვინომ ერთგული ძმაკაცი ჰპოვა.
გახურდა აზრი, აღელდა გრძობა,
გატყდა სიფხიზლის ფრთხილი ურდული;
სიტყვამ ჯებირზე გადააბიჯა
და ალაზნის ჩანთქა დუღუნა.
ღვინომ დატოვა დოქის სტომაქი,
ყველა აკურთხა ბახუსის თირსით;
სუფრას ფეხმორთხმით უსხდნენ კაცები
დროსტარების და ქეიფის ღირსნი,
თქვეს სიმღერები მამაპაპური,
ახლოდან იგრძნეს წარსულის ფეთქვა,
ასწლოვან მუხებს სთხოვეს მოეთხროთ
ხმალში კვეთება უამრავ მტერთან.
ღაღარს ცრემლებით ებრძოდა მწვადი,
სუნით აქოჩრილ მადას ლესავდა;
მზეს სადაისო კაბა ჩაეცვა,
წითლად ანთებულ კალთას კეცავდა.
ადგა ნიავე, მოედო მინდვრებს,
ცხელ შუბლებს მისწვდა, კოცნა გაცვალა,
თამადამ მნათობს ძილი უსურვა
და შემართული ყანწი დაცალა.
ბოლოს ხმაურით დათმეს ქეიფი,
მღელოს დაატყვეს ვეფხვის ტორები,
გრძობააშლილნი გაუყვენენ ჭალას,
ესალმებოდნენ ხენი ზმორებით.
მწვანეზე ბლომად იყო გაშლილი
ნანადირევის ძვლები ნამტვრევი;
შემორჩენოდა ნაფეხურები
ტყის პირას მთველემარ რბილ გზას დამტვერილს.

ლევან ხაიალაშვილი



ლევან დავითის ძე კაკალაშვილი დაიბადა 2001 წლის 21 აპრილს, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მიწხანში. სწავლობს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლაში.

2018 წელის 3 მარტს მიენიჭა საყმაწვილო ლიტერატურული პრემია „ამირანი“.

2015-16 და 2017 წლებში მონაწილეობდა მხატვრული წერის კონკურსში „სენტენცია“, სადაც გადაეცა ოქროს სერთიფიკატები.

ოცნება, მოგზაურობა, დაბრუნება

მცით, არსებობს განზომილებები, სიბრტყე, სივრცე, დრო და მრავალი სხვა, რომელსაც ჩვენი უბრალო, მოწოდებული ინფორმაციით გაუღწეველი ტვინი ვერ აღიქვამს. ყველაზე საოცარი განზომილება დროა, რომელსაც მივყვებით, მაგრამ რა იქნება თუ დროის დინებას არ მივყვებით? წარმოიდგინეთ დროში მოგზაურობთ, ამ დროს თქვენთვის რეალურად დრო არ გადის! რადგან დროის ხაზს ხართ გამოკიდებულნი და რომელ ეპოქაშიც გინდა იქ იქნები. მოგზაურობამდე ატმოსფეროს ან კოსმოსის საიდუმლო სიხშირეზე იმყოფები, სადაც დრო არ გადის. თუ დრო უძრავია, მაშინ ადამიანიც უკვდავია! ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა, რათქმაუნდა, დღევანდელი ლექცია დასრულებულია! — პროფესორმა, გამოთვლებით გათვთრებული მწვანე დაფა გაასუფთავა და სკამზე მოწყვეტით დაეშვა. საათს დახედა. უკვე სამი წელია 1972 წლის ამერიკაშია გაჭვდილი. სინამდვილეში ის 2031 წელს მოღვაწეობდა. დროში სამოგზაურო ხომალდიც იმ დროს შექმნა და აკერ უკვე 50 წელია, რაც მოგზაურობს და როცა დაბრუნდება თავის დროში, ვერაფერს შეამჩნევს, რომ წასული იყო. მან იმოგზაურა ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთში, რომში და თითქმის ყველა ეპოქაში, მაგრამ მისი ოცნება მაინც 1972 წლის ამერიკა იყო. ამ დროს ხომ მას გენიოსად აღიარებენ. ისეთ რაღაცეებს გამოიგონებს, რაც მხოლოდ 10 ან 20 წლის შემდეგ გახდება ცნობილი მისი ჩარევის გარეშე. მან თითქოს ოცნება აიხდინა, მაგრამ შინაგანად იტანჯება, რადაც ხმა ღრღნის მის სულს. მეგობრებიც ენატრება. მიუხედავად მისი უმნიშვნელო როლისა 2031 წელს, მაინც ენატრება იქაურობა. არადა ფიქრობდა გამგზავრებით ბავშვობის ოცნებას აიხდენდა, მაგრამ არა.

რა უცნაური ბუნებისაა ადამიანი. რაღაცას ჩაიფიქრებს, შემდეგ ყველაფერს აკეთებს, რათა ჩაეთქრებული აიხდინოს და როცა აიხდენს, ისეთი შეგრძნება აქვს

თითქოს ეს ახდენა უკვე მომავლებელი იყოს. საწადელის ასრულების შემდეგ ადამიანი „კაიფს“ კარგავს და ახალ მიზანს ისახავს. ბოლოს ყველა მოგზაური ხვდება, რომ ელდორადო არ არსებობს და ერთადერთი საოცნებო ადგილი სამშობლოა. პროფესორის შემთხვევაში 2031 წელია ის დრო, რომელიც რეალურად საოცნებოა. მაშინ რატომ არ ბრუნდება? მას ხომ რეაქტორი გაუთავდა, რომელიც სინათლის სისწრაფეზე სწრაფად ამოდრავებს ხომალდს. ეს რეაქტორი 2021 წელს შექმნეს, ბენზოლის ატომების მემილიარდებამდე დაშლით და დედამიწის ქერქის მიღმა აღმოჩენილი ლურჯი ქვის საოცარი ქიმიური შემადგენლობით. 1972 წელს კი ამ რეაქტორის დამზადება შეუძლებელია. პროფესორი დროში გაიჭვდა. ყოველდღე წუხს და ფიქრობს რა ცდომილებას გამოიწვევს მისი აქ ყოფნა ისტორიაზე. როცა ის 2031 წელს ცხოვრობდა და საკუთარ თავთან მარტო რჩებოდა ფიქრობდა ხოლმე: „რა უბედური ვარ, არ შემძლია დროში მოგზაურობა, ეს ხომ არ არის ჩემი საუკუნე! ჩემი ადგილი წარსულშია!“ ახლა კი თითქმის სულ მარტოა და უფრო ხშირად ფიქრობს: „რა უბედური ვარ! შემეჭმენი ის რაზეც ბავშვობიდან ვვოცნებობდი, იქ ვარ სადაც მინდოდა, მაგრამ ბედნიერი არ ვარ! რაღა უნდა გაუაკეთო, რომ შინაგანი ტკივილი არ ვიგრძნო?!“

პროფესორი ყველაზე მარტოსული არსებაა 1972 წლის მსოფლიოში. გრძნობს, რომ მისი ადგილი აქ არაა, მაგრამ სადაა? ბუნება მხოლოდ ასეთ გენიებს ჩაგრაგს. შენ ამ სამყაროს არც-ერთი ეპოქისთვის არ ხარ შექმნილი პროფესორო! საცოდავი ხარ და შენზე გაუნათლებლები თავს გამეტებენ, ლოთები და ნარკომანები დაგცინებენ რადგან იტყვი, რომ აქაურობისთვის ცოლოა შენი ტვინი. გიმტრობენ, რადგან პატიოსნად ცხოვრობ. დაგწვავენ კოცონზე, რადგან იტყვი, რომ დროში მოგზაურობა შესაძლებელია! განსხვავებულ აზრს შეწინააღმდეგებიან და

როცა მოგკლავენ, როცა ისტორიის ხაზიდან გაგაქრობენ, მერე მიხვდებიან, რომ მართალი იყავი. მაგრამ უკვე გვიანი იქნება, იქიდან დროის მანქანაც ვერ დაგაბრუნებს. თავი დაანებე სამყაროს შეცვლის მცდელობას! უბრალოდ გაჩერდი. ხალხი მაინც არ მიიღებს შენი შრომის ნაყოფს.

მკითხველო, წარმოდგინეთ თავი პროფესორის ადგილას, იცით, რომ ველარასდროს დაბრუნდებით თქვენს დროში, მაშინ როგორ მოიტყვეით? პროფესორი კი შემდგენიარად მოიტყა: დილით ლექციაზე მოსულ სტუდენტებს პირველ პარაგრაფზე გადაშლა თხოვა, შემდეგ იკითხა: ვინ მეტყვის რა არის თავისუფალი ვარდნა?

აუდიტორიაში შეკრებილი ახალგაზრდები აქეთ-იქით იყურებოდნენ, ახსნა ყველამ იცოდა, მაგრამ მოულოდნელობისგან ტვინები გაეყინათ.

-მე აგისხნით!- ცოტა ხნის დუმილის შემდეგ განაგრძო პროფესორმა. ფანჯარა გამოაღო და მოქნილი მოძრაობით რაფაზე ახტა. ხელები გაშალა, ღრმად ჩაისუნთქა და გადახტა...

არადა შემქმნელი არ მომეკლა პროფესორი, შემქმნელი ყველაფერი კარგად დამემთავრებინა, მაგრამ რეალურად ხომ ცხოვრება სასტიკია, მიუხედავად მისი სიამისა. აქეთ-იქით გამოგზაურებს, უაზრო ილუზიებით გაგაბრუნებს და გაიძულებს იოცნებო. ხოლო ცხოვრების იმ მომენტში როცა აანალიზებ, რომ მდინარის დინების საწინააღმდეგოდ უნდა გაცურო და ერთადერთი რეალური ოცნება უბრალოდ სახლში დაბრუნებით უნდა აიხდინო, სწორედ ამ დროს გაააქტიურებს ცხოვრება მის ყველაზე ძლიერ იარაღს, განსაცდელს. რომელიც სულ თან დაგვდევს მაგრამ არ ჩანს. ის განსაცდელს გამოგზავნის რათა საბოლოო ოცნება ვერ აიხდინო.

დედამიწაზე ერთადერთი ჭეშმარიტებაა: ოცნება, მოგზაურობა და დაბრუნება. თუ ამ ჭეშმარიტების სამივე ეტაპს გაივლი მაშინ ბედნიერი იქნები სამუდამოდ, რადგან თავიდან ბოლომდე შეიგრძნობ ცხოვრების სიტკბოს, მაგრამ თუ ვერ მოახერხებ გავლას, მაშინ...

ირგვლივ ცივა. თოვს. კაცი მინუს უსასრულობიდან წამოსულ დათოვლილ გზაზე დგას და (პლიუს) უსასრულობისკენ იყურება. ცივა. თოვს. ირგვლივ ყველაფერი თეთრია. აქ დრო არ იძვრის. საით წავა კაცი მოლექულების გაყინვამდე?..

არჩევანი თქვენზე მომინდვია...ყოველივე მაინც უაზრო სიტყვების რახარუხია. მე კი „გამიჩერეთ დედამიწა, ჩავდივარ“.

საით გაფრინდა ღიფი ხნის მტკერი?

ამ ამბის გახსენება არავის უნდა. ალბათ, იმიტომ, რომ სინდისის ქენჯნის შემაწუხებელი პროცესის ემინიათ. დანაშაულის გრძობა ღირღნით შიგნიდან. რომელიმეს

რომ უთხრა, შენც თანამონაწილე ხარო, დაიწყებს თავის მართლებას და ათასი სისულელის როშვას. მაგრამ გულის სიღრმეში ყველამ იცის, რომ დამნაშავეა. ყველა დამნაშავეა, ვინც ერთხელ მაინც უთხრა მას: „ვერ ხარ შენ კარგად“, ან „შენ ხო არ ჭედავ, ბიჭო?!“ ყველამ ერთად ჩაიდინა მკვლელობა, უმეტესობამ, რა თქმა უნდა, თავისდაუნებურად.

არც მე არ გამახსენდებოდა ეს ამბავი, მის საფლავზე მოთარეშე ქარი რომ არ მენახა. ქარი საფლავზე დაგროვილ დიდი ხნის მტკერს წრეზე ატრიალებდა...

ყველაფერი 20 წლის წინ დაიწყო. დიახ, ოცი წლის წინ, რადგან ბიჭი სწორედ მაშინ დაიბადა, თუ ექიმებს დაუჯერებთ, ის სრულიად ჯანმრთელი ბავშვი იყო, ყველაფერი ნორმალში ჰქონდა. თუ არ ვცდები 3,5 კილოგრამი უნდა ყოფილიყო.

ჩვეულებრივ იზრდებოდა, ანუ თავის თანატოლებს არაფრით ჩამოუვარდებოდა. მეტიც, მათ ყველას აღემატებოდა გონებრივი შესაძლებლობებით. არაფერი არ აკლდა (თუ არ ჩავთვლით ფერად ტელევიზორს, მუდმივ ელექტროენერგიას და ბუნებრივ აირს, ეს მაშინ ყველას აკლდა).

საქართველო ჯერ კიდევ ეგუებოდა იმას, რომ სუვერენული სახელმწიფო იყო და მსოფლიო ასპარეზზე თავი მარტოს უნდა დაემკვიდრებინა.

ბიჭი ქვეყანასთან ერთად იზრდებოდა (ბიჭი ფიზიკურად და გონებრივად, ხოლო სახელმწიფო ცნობიერად). ზრდასთან ერთად ბიჭს მოთხოვნილებებიც ეზრდებოდა, ასევე იყო სახელმწიფოც, ხან ნატოში უნდოდა შესვლა, ხანაც ევროკავშირში, საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ბიჭი უფრო კარგად და მარტივად იკმაყოფილებდა მოთხოვნილებებს ვიდრე პოსტ საბჭოთა ქვეყანა.

ბიჭი ჯერ მხოლოდ სამი წლის იყო, როცა ბრაზილური სერიალები გამოჩნდა. ამ შემთხვევაში მის მშობლებს ძალიან გაუძარათლათ. შავთეთრი ტელევიზორიც ჰქონდათ და „აკუმლატორიც“, ხოდა სოფელსაც მეტი რაღა უნდოდა, ყოველ საღამოს ბიჭის მშობლებთან იკრიბებოდნენ და სერიალს უყურებდნენ. მეზობლები როგორც კი გამოჩნდებოდნენ, ბიჭი იმ წამსვე საწოლის ქვეშ იმალებოდა. უბრალოდ სოციალური არ მოსწონდა. ხალხი და ხმაური აღიზიანებდა. საწოლის ქვეშ თბილად მოკალათებული ბიჭის გამოყვანას მშობლები ამაოდ ცდილობდნენ. მათ არ უნდოდათ უცნაური შვილი ჰყოლოდათ, სწორედ ამიტომ აიძულებდნენ ბიჭს ბნელი სამალავიდან გამოძრომას. იმას კი ვერ ხვდებოდნენ, რომ შეიძლება ბავშვის ფსიქიკა დაეზიანებინათ, მაგრამ ბიჭი იმდენად ჯიუტი იყო, რომ მშობლების დაჟინებული მოთხოვნები და უაზრო ზეწოლა ვერ აიძულებდა იქიდან გამოძრომას. ბავშვის სიჯიუტით დაღლილ მშობლებს სერიალის დაწყებასთან ერთად ბიჭის სიჯიუტე ავიწყდებოდათ და ტოვებდნენ მას სიბნელებში.

მთელი საწოლისქვეშეთი 1 საათით ბიჭს ემორჩილებოდა.

ასე გრძელდებოდა წლები. ბიჭი 7-8 წლის ასაკშიც მოურიდებლად იმალებოდა. ვერც შემდეგ სძლიეს მშობლებმა მის ახირებულ ქცევას.

თავის დაბადების დღეებზეც ვერ იტანდა სტუმრია-ნობას. საღამოობით, როცა უკვე (ბიჭის დაუკითხავად) სახლი სტუმრებით ივსებოდა, ის მშობლებს ემუდარებოდა, რომ სტუმრები სახლიდან გაეყარათ. მიზეზს რომ ეკითხებოდნენ, ასე ამბობდა: ღიპიანი კაცების, სიგარეტის და ღვინის სუნი არ მომწონსო. მხოლოდ ეს როდი იყო მიზეზი, მას ასევე აღიზიანებდა ქალები მაკიაჟით, თანატოლები რომ ხელს კიდებდნენ მის სათამაშოებს და კიდევ რა მოსთვლის, იმდენი რამის გამო არ მოსწონდა სტუმრიანობა.

ბიჭი სკოლაში რომ მივიდა, სულ რაღაც 5 წლის იყო (სწორედ ამ დროს დავიბადე მეც, მის მეზობელ სახლში). მის გონებრივ შესაძლებლობებს საზღვარი არ ჰქონდა. შეიძლება გენიოსიც კი იყო. უბრალო მშობლების გენიოსი შეილი. მის დედ-მამას სკოლაც კი არ ჰქონდა დამთავრებული. საერთოდაც, სკოლა და განათლება რაში სჭირდებოდათ. ასე ამბობდნენ ხოლმე: „ჩვენს სოფელში ვისაც განათლება აქ და წიგნიც წაუკითხნია, იმათაც შავთუთრი ტელევიზორი აქვთ და ჩვენცაო.“

მშობლების ცხოვრებისეული ფილოსოფია ზედმეტად მარტივი იყო: ჭამა, სმა, ძილი და ფიქრი იმაზე, ხვალ რა ჭამონ. ბიჭის ფილოსოფია ასეთი სულაც არ იყო. მისთვის მთავარ პრიორიტეტებს (ბოლოს რომ ვნახე ასე მითხრა) ღირსება, კულტურა, შეგნება, სიბრძნე და პატრიოტიზმი წარმოადგენდა.

პირველსავე კლასში დაიწყო ბიჭმა ხატვა. მართლაც, საოცრად ხატავდა. მშობლებს პირველი ნახატი რომ აჩვენა, მამამ ხელი ჩაიქნია, ამისგან მხატვარი არ გამოვაო, მაგრამ მამინ ის სულ რაღაც ხუთი წლის იყო.

ერთი წლის შემდეგ ბიჭის მამას, რომელმაც ხელი ჩაიქნია, უბედურება შეემთხვა. გაღვივებულ მთვრალს ჩხუბის დროს (აბა ქართული სუფრა ჩხუბის გარეშე როგორ ჩაივლიდა) შემთხვევით კაცი შემოაკვდა (საერთოდ, ის ხშირად იყო მთვრალი). ხოდა ციხემაც სიამოვნებით გაულო კარი და უღმობელმა გისოსებმა ბიჭის ცხოვრება კიდევ უფრო გაართულა. დედა ამოდენა საქმეს ვეღარ აუდიოდა, ამიტომ დამაბული და გაღიზიანებული იყო.

მომხდარის შემდეგ ბიჭი სკოლაში კარგა ხანს აღარ დადიოდა. მაგრამ სულ ასე ხომ არ გაგრძელდებოდა. სკოლაში უნდა დაბრუნებულიყო. ის ზიზღით იხსენებდა იმ დღეს, როცა სკოლაში დაბრუნდა. კლასის კარი შეაღო თუ არა, ბავშვების ცივი მხერა და სისასტიკე მოხვდა. პირველ დამცინავ ფრაზასაც არ დაუგვიანია: „ოჰ, მკვლელის ვაჟი დაბრუნებულა“. ეს არ იყო ბავშვის ნათქვამი (მათ

ჯკუა არ ეყოფოდათ ამის სათქმელად) ეს იყო „მეირფასი“ დამრიგებელი, ქალბატონი... ან სახელს რა მნიშვნელობა აქვს. ეს სიტყვები ლახერის დარტყმასავით მტკივნეული აღმოჩნდა ბიჭისთვის. უბრალოდ ჩანთა გაისწორა, თვალზე მომდგარი ცრემლი შეიმშრალა და სახლში დაბრუნდა. ყველაფერი დედას უამბო. მან კი ნახევრად არც კი მოუსმინა, შენი დრო არ მაქვსო. ხოდა რაღა დარჩენოდა ბიჭს (რომელმაც დედის მხარდაჭერა ვერ მიიღო, მამინ როცა ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა) ადგა და ტყეში წავიდა. ერთ-ერთი მუხის ხეზე აძვრა და ტირილი დაიწყო. ტირილი საათობით. როგორ უნდოდა, რომ ვინმე კეთილი ადამიანი გამოჩენილიყო და ბიჭს მისთვის ყველაფერი მოეყოლა. უნდოდა ვინმეს ენუგეშებინა მისი გაბზარული გული, მაგრამ არა, დახმარება არსაიდან ჩანდა.

ამ დღის მერე დაიწყო ბიჭის დაცინვა და დამცირება სკოლაში, კლასში თუ ქუჩაში. ყველა დასცინოდა, ყველას ეზიზღებოდა. ზიზღის რეალური მიზეზი მამის დანაშაული როდი იყო, რეალობა ის იყო, რომ მისი შურდათ. ბიჭი საუკეთესო მოსწავლე იყო. ერთი წაკითხვით შეეძლო მთლიანი ლექსის დამახსოვრება. ეზიზღებოდათ, რადგან დღედაღამ ბირჟაზე არ იდგა, არ ეწეოდა და არ სვამდა, ეზიზღებოდათ, რადგან ძალიან ძლიერი იყო და ფიზიკურად მისი დამარცხება არ შეეძლოთ. ბიჭის ენა მოქნილობითაც გამოირჩეოდა. ამიტომაც მას არც სიტყვით და არც მუშტით არ უჭირდა მტრის მოგერიება. მაგრამ ეს არ კმაროდა. ამდენი დაცინვა, ამდენი დამცირება ყელში იყო ამოსული. ბიჭი ყოველდღე ტირილი. დედა ისევ ვერ ანუგეშებდა შვილს (გატეხილი გულით). იმიტომ კი არა, რომ ეზარებოდა, ან შვილი არ უყვარდა, ვერ ანუგეშებდა, რადგან ფიზიკურად დრო არ ჰქონდა. დილიდან დაღამებამდე მუშაობდა. სამუშაო კი მეტად ღარიბული ჰქონდა. ის უბრალო დამლაგებელი იყო. ბიჭის თანატოლებისთვის დედის პროფესიაც დასაცინი გახდა. მას არ ესმოდა სასაცილო რა იყო პროფესიაში, რომელიც არა პურის ცხობას (დედების უმეტესობა ცხობით ირჩენდა თავს), არამედ დალაგებას მოითხოვდა, არ ესმოდა, სათაკილო რატომ იყო დამლაგებლობა. ის უბრალოდ განსხვავებული იყო. მუდამ თავის თავში ჩაკეტილი, ჩუმი, კეთილი. ის ხშირად ფიქრობდა კლასელებზე და ეცოდებოდა ისინი. სულ ეცინებოდა, როცა იხსენებდა: „იმან თქვა, ფუტკარი იკბინებო“. ვერ ვხვდებოდი, ამაში სასაცილო რა იყო, მაგრამ შემდეგ მითხრა: ფუტკარი კი არ იკბინება, არამედ ინესტრებაო და თავზე ხელი გადამისვა. ის ჩემი ერთადერთი და საუკეთესო მეგობარი იყო. მხოლოდ მე მესმოდა მისი. ყოველთვის ერთად ვთამაშობდით, ასაკის მიუხედავად. ვაკეთებდით ძველებურ, პრიმიტიულ იარაღს და ვაგებდით ქოხებს. მახსოვს ასეთი თამაშის გამოც დასცინოდნენ მას. ის მშვენიერი ინჟინერი დადგებოდა, რომ

არა...

ბიჭმა სიყვარული არ იცოდა რა იყო, სანამ თხუთმეტი წლის არ გახდა. ამ დროს მის კლასში ახალი მოსწავლე გადმოვიდა (რა თქმა უნდა გოგო) ოქროსთმიანი, ლამაზი, ჭკვიანი! ნამდვილი ანგელოზი იყო. კლასში ბიჭის გვერდით არაფერი იჯდა. ხოლო ეს გოგო დაჯდა მის გვერდით.

-გამარჯობა,- ფრთხილად მიესალმა გოგონა.

-გამარჯობა,- გაუბედავი საღმის შემდეგ ბიჭმა თავი ცოტა უხერხულად იგრძნო.

-მე ახალი ვარ!-ის იდიმოდა. ბიჭსაც გაეღიმა.

-მე ძველი!- თქვა მან სიცილით.

უცებ საუბარში ვიღაც ჩაეკეჭა.

-მაგას რას ელაპარაკები, მკვლელის შვილია!- მთელი კლასი იცინოდა.

ბიჭს შერცხვა, ძალიან ერიდებოდა ახალი გოგოსი, ამიტომ მოიბუხა და გოგოს შემინებულმა, საშინელების მოლოდინში ახედა. ის არ იცინოდა, მეტიც ნაწყენიც კი იყო, კლასელების უტაქტო ქცევით. ბიჭს მხარზე ხელი დაადო.

-ნუ გეშინია, მე ვე არ მაინტერესებს, მთავარია შენ იყო კარგი პიროვნება!- ამ სიტყვების გაგონებაზე მის გულში უცხო სითბო ჩაიდგარა. აი, ის ნუგეში წლები რომ ელოდა! თურმე ტყუილად არ ლოცულობდა ამდენს. მას სჯეროდა, რომ მხოლოდ ღმერთს ესმოდა მისი და ადრე თუ გვიან ანგელოზს გამოუგზავნიდა.

გოგონა მალევე მოიხიბლა ბიჭით. ისიც გაცხებულ იყო ბიჭის გონებრივი შესაძლებლობებით და მისი დაუოკებელი სურვილით სწავლისადმი.

ისინი მალევე დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ბიჭმა გოგო მეც გამაცნო. მართლაც, შესანიშნავი მეგობრები ვიყავით. ჩვენ სამნი მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ. ყველაფერს ვაპროტესტებდით, ყველას ვწინააღმდეგობოდით. ხოლო ბიჭიც გათამამდა. გოგოს წყალობით მან ისწავლა, როგორ უნდა გაეძლო დამცირებისთვის. ერთი შეხედვით მხიარული გახდა, მაგრამ მის ზღვასავით უკიდევანო თვალებში მაინც ვხედავდი სევდას, მესმოდა მისი გატეხილი გულის ტირილი. ეს მართლაც ძნელი სანახავი იყო, მაგრამ მე ხომ მისი ერთადერთი მეგობარი ვიყავი (სანამ გოგო არ გამოჩნდა). ამიტომაც სულ ვცდილობდი მისთვის ტკივილი შემემსუბუქებინა. მაშინ არ მესმოდა, ეს დაცინვა რატომ აბრაზებდა ასე, ან რატომ ტირიდა მუდამ. არ მესმოდა, რადგან ჩემს თავზე არ მქონდა გამოცდილი.

თითქოს ყველაფერი კარგად იყო. ბიჭს თავის მოკვლა აღარ უნდოდა. დიახ, თავის მოკვლა. რამდენჯერმე მითხრა მეტი აღარ შემიძლია, თავს მოვიკლავო, მაგრამ გადავარწმუნე. მერე მის გულში სიყვარულიც გაჩნდა და სიკვდილიც აღარ უნდოდა. ერთხელ ვკითხე:

-თავის მოკვლა რატომ გინდა?

მან კი სევდიანი ღიმილით მიპასუხა:

-იცი, დედამიწაზე ჩემი ადგილი არ არის! მე ვერაფერს ვეგუები, არც არავის უყვარვარ! აქ ძალიან შეზღუდული ვარ, ვიცი, ღმერთი გამიგებს! მჯერა, რომ ერთად ვიბრძოლებთ ეშმაკის წინააღმდეგ.

-ტყუილია!- წამოვიყვირე უკმაყოფილომ.

-რა არის ტყუილი?

-ის, რომ არავის უყვარხარ, მე მიყვარხარ!

მას გაეღიმა. ჩვეულებისამებრ თავზე ხელი გადამისვა და წავიდა. ვერაფერი გავიგე. არაფერი მესმოდა.

შემოთ ვახსენე, რომ ყველაფერი თითქოს კარგად იყო. ეს „კარგად ყოფნა“ მხოლოდ ერთი თვე გაგრძელდა. შემდეგ რაღაც მოხდა, რაღაც - ძალიან ცუდი.

ბიჭმა სახლის კარი გააღო თუ არა, მამამისი დაინახა (ციხეს მამა ნახევარ მამად ექცია). მან დაინახა კაცი, რომელმაც ხელი ჩაიქნია. კაცი, რომელმაც ბავშვობა წართვა და გაუმწარა.

-შვილო!- ის ტირიდა.

-არა, არა, ასე არ შეიძლება! უბრალოდ მოხვიდე და შვილი დამიძახო!- ის გაიქცა. ტყეში მიბრუნდა. გული გახეთქვაზე ჰქონდა. ყველა უბედურება, მთელი ტკივილი რაც ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში დააგროვა, ყველაფერი ერთდროულად დაატყდა თავს. ამდენს ვეღარ გაუძლო. ის სხვანაირი იყო! მისი არავის ესმოდა. ყველა ეუბნებოდა, რომ ის ნორმალურად ან სრულ ჭკვაზე ვერ იყო! გაქცევისას კი იგრძნო ბიჭმა, რომ მართლა ვერ იყო ნორმალური! მას თავი შეეზინდა, მაგრამ გოგო უყვარდა, სამწუხაროდ, გოგოსადმი სიყვარული საკმარისი მიზეზი არ იყო იმისთვის, რომ ცოცხალი დარჩენილიყო. ამდენ ტკივილს ვეღარ გაუძლო.

ის დილით ვიპოვე. მისი საყვარელი მუხის (სადაც ტირიდა ხოლმე) მაღალ ტოტზე დაკიდებულ თოკზე ეკიდა. არ იხრჩობოდა, უკვე დამხრჩვალნი იყო. მის ფეხებქვეშ ქალაღდის ნაგლეჯი ედო. მასზე შემდეგი სიტყვები წერა: „ღმერთი გამიგებს! მან ყველაფერი იცის, ბოდიშს გიხდი, ძვირფასო მეგობარო, ვიცი, პირველი შენ იპოვი ამ წერილს. იციდე, რომ ძალიან მიყვარხარ, მასაც გადაეცი, რომ ცხოვრებაზე მეტად მიყვარს, კარგი იყო თქვენთან ერთად ხეტიალი, მაგრამ ამდენის გაძლება აღარ შემიძლია. არასოდეს დამივიწყო! ეს წერილი შეინახე და არავის აჩვენო!“

ერთი თვე შოკში ვიყავი. მაშინ ვერ ვხვდებოდი, რატომ მოიქცა ასე. ახლა კი ვდგავარ მის საფლავთან (ხუთი წლის შემდეგ) და მხოლოდ ახლად ვხვდები, რამ მიიყვანა 15 წლის ბიჭი თვითმკვლელობამდე.

ქარი საფლავზე დაგროვილ დიდი ხნის მტვერს წრუზე ატრიალებდა, შემდეგ ჩემდა გასაკვირად დიდი ხნის

მტვერი ცისკენ გაფრინდა. როგორც ჩანს, მან ოცნება აისრულა და ღმერთს შეხვდა. მისი მტვერი ახლაც ცისკენ მიიწევს. მე არასოდეს დაეფიწეებ ჩემს ძვირფას მგობარს. ყველა, ვინც მის მკვლელობაში მონაწილეობა მიიღო, ყველა, უკლებლად ყველა, მეზიზღება! მათ გულის დიდი ნაწილი წამართვეს! ჩემში მის გარეშე სიცარიელეა, ამ დანაშაულს არავის ვაპატიებ, მათ არა მხოლოდ კარგი მოსაუბრე წამართვეს, არამედ მათ მსოფლიოს წართვეს გენია!

დიდი ხნის მტვერი ისევ ზეცისკენ მიისწრაფვის...

შემოდგომა ნახშირის ტყეში
ედენება ნახანძრალ ტყეებს, უდროოდ გამხმარ ფოთლებს და დამწვარ ხეებს.

შემოდგომის პირველი დღეები იპარებოდა ჩვენს განწყობაში, როცა პირველი ფოთოლი ჩამოვარდა. ზაფხულის ამბები ნელ-ნელა დავიწყებთ ეძლეოდა, როცა პირველად გავზიმდა.

ცივი წვეთების პირველმა ტალღამ ხალხის (განსაკუთრებით ბებიაჩემის) გულებში ანთებული მწუხარების ცეცხლი ჩააქრო.

ეს ამბავიც დავიწყებთ ეძლევა, როგორც ყველა სხვა რომელიც ოდესმე მომხდარა...

ალარავინ სვამს კითხვებს...

ბაბოც აღარ მეუბნება, ყოველდღე მწუხარებით:

-სტუდენტობის საუკეთესო დღეები აბასთუმანში გავატარე, ტუბერკულოზით დაავადებულთათვის „მისწრაბა“ იქაური ჰაერი. ჩემი ძმაც იქ მკურნალობდა 2 წელი.

-მერე? განიკურნა?

-მაშ, იქ ისეთი ჰაერია... ეს აბასთუმანი...რა ტყეები იწვ...

-ხოო...ჩვენ რა შეგვიძლია! ტყუილად ნერვიულობ. ბოლო სიტყვები მოვიტყუე, ტყუილად სანერვიულო სულაც არაა. ნახანძრალ ტყეში ხომ შემოდგომა აღარასდროს დადგება! ვეღარ ვნახავთ ფოთოლცვენას სარკმლის მიღმა. ვეღარ გავივლით წითელ-ყვითელი ფოთლებით მოკირწყლულ გზაზე!

...

რთული არსებები არიან ადამიანები. ყველაფრის გართულება უყვართ. სინამდვილეში ყველაფერი ბევრად მარტივადაა. ადამიანებს ჰგონიათ, რომ ცხოვრების ფილოსოფია რთულია, მაგრამ მათ ფილოსოფიის არაფერი გაეგებათ. ქმნიან რთულ ტერმინებს, იგონებენ ღმერთებს, მთავრობებს, მმართველობებს, ორგანოებს და როცა საქმე საქმეზე მიდგება ათასი ზარი ხდება საჭირო, იმისთვის,

რომ პატარა პრობლემა მოგვარდეს. უუნარო ზარ შენ ადამიანო, როცა ბუნებას უპირისპირდები...

ზაფხულის ბოლო დღეები მიიზღაზნებოდა. ჩემს ბუნაგში მეძინა. დამე ჩვეულებრივზე ჩუმი იყო.

უეცრად გამეღვიძა და კვამლის, სულის შემხუთველი, სუნი ვიგრძენი. წამოვხტი და გარეთ გავვარდი. დიდრონი ხეები, ახალი ფეხადგმული ბაეშეებივით, ენარცხებოდნენ მიწას, მაგრამ წამოდგომას ვეღარ ახერხებდნენ. გარემო ცეცხლში იყო გახვეული.

...

მერე ყველა ტიროდა.

...

მოხალისეებით გაივსო ტყე. ყველა ერთად ებრძოდა სტიქიას. მე ვერ ვეხმარებოდი მათ. ოთხფეხიანობის ერთ-ერთი უარყოფითი მხარე ისაა, რომ ბარსა და ცეცხლმაქრს ვერ ვიჭერ.

...

შემდეგ ჩაქრა...მივხვდი, რომ სახლი დაკარგე. ანუ ლტოლვილი ვარ.

...

ახალი დღე დადგა. ყველაფერი სუფთა ფურცლიდან უნდა დაეიწყო. ცოტა ხნის ხეტიალის შემდეგ, ნახევრად დამშრალ მდინარეს მივადექი. მოიცა... რას ემახიან ადამიანები ამ მდინარეს?... დამავიწყდა. თუ გავიხსენებ გეტყვით. ხო რას მოვაყოლე? ა, ხო...მდინარესთან შორი-ახლოს დაესახლდი. თავიდან ძილი მიჭირდა. თვალებიდან არ ამომდიოდა ის საშინელი და გულის მომკვლელი სანახაო-



ბა. ამის ჩამდენს ტყის სული აუცილებლად დასჯის. ასეთი სილამაზის განადგურება არაა დამიანური, ცხოველსაც კი არ ძალუძს ასეთი რამის ჩადენა. თვით „ემმაკის“ ხელი ურევია ამ საქმეში.

...

შემდეგ ის გამოჩნდა... გარეული კატა, სახელად მიაუ. ისიც ჩემსავით ლტოლვილი და ეული გახლდათ. არ გვიჩნებია, არცერთს არ გვქონდა ამის თავი. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა არაქათი გამოგვაცალა.

ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ კატასთან ცეცხლი დამეგობრებდა. ჩვეულებრივზე ჭკვიანი აღმოჩნდა.

-რა დარჩენია ორ ობოლს?- ვკითხე ერთხელ ვანშმისას.

-ხვალ ახალი დღე დადგება... მხოლოდ უნდა დაველოდოთ. მიპასუხა მან და თეხი უხალისოდ მოისროლა. შემდეგ განზე გადავა. მდინარის პირას წამოწვა და მოსაწყენი დარდის მორევი გადამეშვა. ალაგ-ალაგ ბეწვი დამწვარი ჰქონდა. ვგრძნობდი, რომ სხვანაირი იყო. სხვა კატებს არ ჰგავდა... სულიერი სიახლოვე ვიგრძენი! არა ამას ნამდვილად ვერასდროს ვიფიქრებდი.

...

ავის მომასწავებელი სიჩუმე იდგა. ტყე ღუმდა. საფრთხის მოახლოება ვიგრძენი.

უეცრად ხეების სიღრმიდან ყრუ ხმა გაისმა... ხმა ნელ-ნელა ახლოვდებოდა... გულს ბაგი-ბუგი გაუდიოდა. საერთოდ მშიშარა არ ვარ, მაგრამ არსის სიღრმეში უცხო გრძნობა დამეუფლა. შემეშინდა? თუ გამიკვირდა? გრძნობები ამერია ერთმანეთში.

ბუჩქები შეირხა...

უეცრად ამ ბუჩქებიდან კატა გადმოხტა! ესლა მაკლდა. ოცნება ამიხდა. ორი კატა ჩემს გარშემო, უკეთესს ვერც ვინატრებდი.

...

მეორე კატასაც დაუმიგობრდი. ისიც ჩვენსავით ლტოლვილი იყო. ისიც ჩემსავით მამრი გახლდათ. ამიტომ სულიერი სიახლოვე არ მიგრძვნია.

კატებს შორის მალევე გაჩნდა ლტოლვა.

ერთ დღეს მამრ კატას თევზაობაში ვეხმარებოდი, მან წყლიდან თავი ამოიღო და მითხრა:

-იცო, მიაუ მომწონს!

-ბუნებრივია.

-არ ვიცი როგორ მივუდგე, დამეხმარე უცნაურო მეგობარო! გთხოვ!-მემუდარებოდა თვალების გადიდებით.

-კარგი, კარგი!- კეთილი გული დამღუპავს, თორე სხვა ვერაფერი მომერევა.

კატას რამდენიმე სექსუალური სიარულის მანერა ვასწავლე (მგონი მეც მომწონს მიაუ).

არა ნამდვილად გავგიჟდები... კატის მიხვრა-მოხვრამ საერთოდ არ იმოქმედა მიაუზე. მართლა სხვანაირია. მგო-

ნი მე უნდა ვცადო მასთან დაახლოება.

...

სალამო იდგა. მიაუ დაღონებული მომადგა.

-ნეტა კატას პოეზია უყვარს?- მკითხა მან.

-ვევარება, ალბათ. - ვუპასუხე და ვიგრძენი, რომ მიყვარდა. არ მითქვამს. არც ის მითქვამს, რომ პოეზია მიყვარს და ხანდახან ლექსებსაც ვწერ. ალბათ გიკვირთ მე და ლექსების წერა როგორ შეიძლება, მაგრამ ვწერ ხოლმე, ნუ, ვწერ რა, ვთხზავ და ვიმახსოვრებ.

...

კატა საჭმელს შეექცეოდა. მიაუს მდინარის პირას მოწყენით ეძინა. მე კატას მივუახლოვდი.

-პოეზია გიყვარს?- ვკითხე.

-ჰა? არაა... არა... სისულელეა!- იცინოდა.

-მიაუს უყვარს პოეზია!

-მერე მე რა?

-ლექსი წაუკითხე, უთხარი, რომ წერ ხოლმე ლექსებს და საბოლოოდ შეგიყვარებს.

-ლექსი როგორ დაწერო?

-მე მაქვს დაწერილი და გასწავლი.

-ეგ ხომ ჩემი დაწერილი არ იქნება?

-მიაუმ ხომ ეგ არ იცის.

...

ხეზე ასვლაც ვასწავლე. ერთადერთი, რაც გამაჩნდა გავეცი, ჩემი ლექსები.

...

შორიდან ვუყურებდი, მაგრამ მესმოდა როგორ უკითხავდა კატა ჩემს ლექსს მიაუს.

ტყის პირს სევდიანი,

ტყის პირს არეული,

ტყის პირს ნაცრისფერი ნისლი ჩასდგომია

ტყის პირს ჩიტი მოსჩანს ყვითლად, გარეული

ტყის პირს ყვითელი შემოდგომა დასდგომია,

ტყის პირს დამწვარ ხეებს სევდა ჩასდგომია

ტყის პირს ძველი ნაძვი მოთქმას მისცემია!

ტყის პირს იხსენებენ ძველს დროს, ტკბილს და მზიანს,

ტყის პირს ტყე, ტყე რომ მოჩანს, აღარ ჰგავს დიადს!

მერე რა, რომ მე თვითონ არ ვცადე ბედი? ის ხომ კატაა, ბოლოს და ბოლოს...

ნაპერწკალი გაღვივდა, ჯობია წავიდე... დაუტოვო მარტო კატების წყვილი.

...

მოყავისფრო ძაღლი, ნახანძრალი ტყის მარტოსულ ხეებს შორის უხალისოდ მიმოდინდა. ისიც მარტოსული იყო. ხანძარმა ის ყველაზე მარტოსულ არსებად აქცია დედამიწაზე. არც მისთვის დამდგარა შემოდგომა...

...

მერე გამეღვიძა...

გიორგი არაბული



გიორგი არაბული 1992 წლის 8 ნოემბერს დაიბადა თბილისში. დაამთავრა ზ. ვახანიას საავტორო სკოლა „აია“. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. მესამე კურსიდან სწავლა გააგრძელა ქ. ჰამბურგის ახალი ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, ბიოინჟინერიის ფაკულტეტზე.

90 — იანი წლების ნაცრისფერ პერიოდში, მისი პაპის (მიხა არაბული, რომელიც 20 წლის განმავლობაში ლოგინს იყო მიჯაჭვული) ოჯახში ზშირად იკრიბებოდნენ ცნობილი მწერლები და პოეტები: ალექსანდრე ჭინჭარაული, ვახუშტი კოტეტიშვილი, ჯემალ აჯიაშვილი, ზეზვა მელულაშვილი, ავთო, ალუდა, ამირან და კობა არაბულეები, მეუფე თადეოზი (იორამაშვილი), ბაბუა ალუდაური, შერმადინ ქალდანი, ელგუჯა ჯიქია, ერეკლე საღლიანი, ლია ბედოშვილი, ჯემალ ქირია, ლაშა გახარია... გიორგის უწევდა მათთან „მერიქიფობა“ და შესაბამისად „უფასო“ პოეზიის საღამოების დამსწრეც ხდებოდა. ამან წლების შემდგომ ნაყოფი გამოიღო.

რამდენიმე სტრიქონი პაპას

ბედისგან მუხთლად ოცდაათ ვერცხლად გაცემული მუხა იყავი მოგლეჯილი და ძირს დაცემული!
ბუმბერაზ ტყეთა გამოძახილი ექოდ ქარცემული
შენგან მოდიოდა სიბრძნე ცხოვრებისგან ლახვარჩაცემული.
შეუპოვრობა, სულის სიმტკიცე დღესაც მშურს შენი
სიზმრად ნანახი მშობლიურ კუთხის ხატება მშენი,
საკუთარ თავთან, დარდთან ჭიდილში განლიე დღენი,
ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ მოგონებები ნათლის მომფენი...
ბედისგან მუხთლად ოცდაათ ვერცხლად გაცემული მუხა იყავი მოგლეჯილი და ძირს დაცემული.

მოსაღამოვდა, სუსხმა იმძლაურა,
ნიშნები არის პირქუში ბინდის.
ქრება სანთელი ფანჯრის რაფაზე
და ღვინობისთვეც ნელ-ნელა მიდის.

* * *

ცრემლიან ბალახს დილის რიჟრაჟზე
დაეკონება სხივები მზისა,
მდინარის ჩხრიალს რომ გავიგონებ,
სულში ჩადგება ნათელი ცისა.
დღის თვალს გაახელს, გამოიღვიძებს
ბუნება ჩუმი, თვალცრემლიანი.
დამეს სევდიანს, ფიქრების ამშლელს
შეცვლის დღე მკვირცხლი, ხალისიანი.

* * *

შემოდგომა

სადღაც, ბუჩქებში კრთებოდა მელა,
ტყეს გამოესხა თითქოს ყურები,
ალაზნის ველზე მოწეულ ყურძენს
ხარბად ხვრეპავენ თიხის ჭურები.
მთებზე ფიქრებად შეფენილ ნისლებს
ელაციცება სხივი კიაფა,
ანკარა წყაროს დასწაფებია
გახელბული ჩიტი წრიაპა.
მოხუცის სახედ დაღარულ სერებს
ცრემლად ჩამოსდის ცივი მდინარე,
ბუნაგს აშურებს ცხოველთა რისხვა
გაუმაძღარი დათვი მძვინვარე.

ძნელი ყოფილა სტრიქონებში
გრძნობის ჩატევა,
გულში ამხელა სიყვარულის
ერთად დატევა.
ჩაფიქრებული მოვიმარჯვებ მე
ჩემს სატევარს
და შევებმები პოეზიას
მთა-მთა საღვეარს!



ლია რობიტაშვილი

თეთრი ბელურა

ყოველ დილით კარალიოკის ტოტზე ჩამომჯდარი ეგებებოდა მზეს. თეთრი იყო, ქათქათა თეთრი. შავი თვალებით...

ბელურებით სავსე იყო ბაღი, ყურთასმენა აღარ იყო მათი ჭყვილისგან, ათასობით იყვნენ, მაგრამ ის ერთადერთი იყო, ყველასგან გამორჩეული, ლამაზი, სპეტაკი, მოკრძალებული, არავის აწუხებდა თავისი ჟივჯივით. საიდან მოფრინდა, ან როდის, არავინ იცოდა. იჯდა კარალიოკის ტოტზე და საყვარლად აფახულებდა ლამაზ, წერტილოვან თვალებს.

კარალიოკის ხიდან ფანჯარა მოჩანდა. ფანჯრის გვერდით საწოლში აუღმყოფი იწვა. დედა ახალი გარდაცვლილი ჰყავდა. სწორედ იმ ფანჯარაში იჭყიტებოდა თეთრი ბელურა. ზოგჯერ ფანჯრის რაფაზე დასკუპდებოდა და ნაღვლიან თვალებს არ აშორებდა აუღმყოფს. თითქოს თვალებით ესიყვარულებოდა და ეფერებოდა. უცნაური სევდა გამოსჭვიოდა პაწია თვალებიდან. მის დანახვაზე რატომღაც ხმამაღლა ტირილი უნდებოდა აუღმყოფს.

რეინკარნაცია... ნეტავი, მართლა არსებობს? თუ ადამიანებმა მოიგონეს სულის სანუგეშოდ?

არ გვინდა, ვერ ვეგუებით ახლობლების დაკარგვას. ცხოველებში, ფრინველებში და მცენარეებში ვეძებთ გარდაცვლილთა სულებს. ზოგჯერ გვგონია, რომ ვიპოვეთ და ვესაუბრებით კიდევ...

მრავალთავის ეს უბრალოდ მისტიკაა, ისევე ადამიანის მიერ მოგონილი ფანტაზია, მაგრამ სინამდვილეში ხომ ხდება სასწაულები? ხომ შეიძლება, გარდაცვლილებსაც არ უნდოდეთ ძალიან, ძალიან, ძალიან საყვარელი ადამიანების მიტოვება? ხომ შეიძლება, სხვადასხვა სახით ბრუნდებოდნენ ახლობლებთან? იქნებ, უფალი აძლევს მათ ამის შესაძლებლობას? რატომ მოვკლათ პატარა იმედი, ნუგეშის ჩანასახი?

რამდენიმე მეგობარი ერთმანეთს თავის აზრს უზიარებდა:

- ხო, მართალია,... მეზობლად ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა. შვილები ჰყავდა. ორი ბიჭი. ამ ქალის დაკრძალვის შემდეგ, სასადილო ოთახის ფანჯარაში შეფრინდა დიდი, ჭრელი პეპელა. ჯერ ოთახს წრე დაარტყა, თითქოს მიესალმა იქ მყოფებს, შემდეგ კი ფარდის უკან დაიღო ბინა. სადილის დროს ჩაფრინდებოდა პეპელა და ხან შვილების თეფშებზე დაჯდებოდა, ხან მეუღლის, ხან დედის. ასე გრძელდებოდა იქამდე, სანამ ოჯახის წევრები ერთად სადილობდნენ.... რამდენიმე დღის შემდეგ დედა სოფელში წავიდა, შვილები უნივერსიტეტში, ქმარი - სამსახურში. გაქრა პეპელა. ეძებეს ოთახში, იქნებ მოკვდაო. (პეპლები ხომ ძალიან ცოტა ხანს ცოცხლობენ,რამდენიმე დღე), მაგრამ ვერსად იპოვეს...

- ბებია რომ გარდაიცვალა, იმ წელიწადს ჩვენთან სისხლივით წითელი ყაყჩოები აყვავდა. საიდან ჩაითესა, ვერავინ გაიგო. მთელი გაზაფხული წითლად ბღღერი-ალებდა მთელი ბაღი...

- მამაჩემი რომ გარდაიცვალა, მოფრინდა თეთრი მტრედი. ყოველ დილით გვადვიებდა მისი ღუღუნი. დიდხანს, დიდხანს ცხოვრობდა ჩვენს ეზოში ...

- უი, მართლა, მტრედი ჩემთანაც მოდის. წესიერად გათენებულები არ არის, ჩამომიჯდება ახლოს და სანამ არ გამაღვიძებს, ღუღუნით იკლებს ქვეყანას. ასე იყო სიცოცხლეშიც ის ცხონებული, მთელი ცხოვრება მოსვენებას არ მაძლევდა. ენლაა და ეს მტრედი არ მანებებს თავს. მაგისი ღუღუნ-გუგუნისაგან უკვე თავის ტკივილები დაძეწყო...

- მე კი, ცაში ახედვისა მეშინია, სანამ შეყვარებულები ვიყავით, ჩემი სახელის პირველ ასოს წერდა ყველგან: რვეულებზე, წიგნებზე, სკამზე, მაგიდაზე, კედლებზე. ახლა ღრუბლებში მარტო პირველი ასო კი არა, ზოგჯერ, მთელი სახელი იწერება...

დედის ოთახი: წმინდათა წმინდა ოთახი შვილებისთვის და არა მარტო შვილებისთვის.... დედამ ორ წელზე მეტი გაატარა ამ ოთახში ლოგინში ჩაწოლილმა. კედლები, ჭერი, იატაკი, აუჯი... ყველაფერი გაჟღენთილი იყო მისი ცრემლებით, კენესით, შიშით.... ხაზი გადაესვა ყველანაირ ბედნიერებას. დარჩა მხოლოდ ტანჯვა, ტკივილი, უმწიობა, უსუსურობა. შემდეგ იყო თვალზე შემშრალი უკანასკნელი ცრემლი.... ბოლოს კი - შ ვ ე ბ ა... დაისვენა საწყალმა...

მერე იმ ოთახში, დედის სუნით გაჟღენთილ ოთახში, მისი აუღმყოფი შვილი იწვა. ცოცხალი რომ ყოფილიყო, ხომ ჩაიხუტებდა, მაგრამ ჩაიკრავდა გულში. ენატრებოდა დედის სითბო, ალერსი. ალბათ იმიტომაც თავს ყველანაირ კარგად იმ ოთახში გრძნობდა, იქ პოულობდა სულიერ სიმშვიდეს. ფანჯრის რაფაზე დასკუპებულ თეთრ ბელურას პურის ნამცეცეებს აჭმევდა და ელაპარაკებოდა:

- აქ საიდან გაჩნდი პატარა ჩიტო? ვინმემ გამოგზავნა ჩემს სანახავად? თუ, იქნებ... - ჩიტში ეძებდა დედის სითბოს... ძალიან მოენატრა, სულ დედაზე ფიქრობდა. თვითონაც ვერ აეხსნა, რატომ უკავშირებდა დედას, მაგრამ ის ხომ ასეთი საყვარელი, უმანკო და არაამქვეყნიურად



სპეტაკი იყო. თითქოს სწორედ მის სანუგეშოდ სხვა სამყაროდან მოსული.

ყოველ დღით, მზის ამოსვლას ეგებებოდა კარალიოკის ტოტზე ჩამომჯდარი თეთრი ბელურა...

მალე გამოჯანმრთელდა იმ ქალის შვილი. ჩაება ყოველდღიური ცხოვრების ფერხულში და სულ გადააიწვდა თეთრი ბელურა. მერე კი, როცა გაახსენდა, ბევრი ეძება, მაგრამ ვერსად იპოვა. უამრავი ფრინველი მოდიოდა იმ ქალის ეზოში, ბელურებს ხომ სათვალავი არა ჰქონდათ. ერთხელ კარალიოკის ხეზე ოფოფიც კი დაჯდა, მაგრამ თეთრი ბელურა აღარ გამოჩენილა...

შიმშილი

როგორც იქნა გათენდა... ცაზე ნელ-ნელა ამოცურდა ქვეყნის ნუგეში და მანათობელი, სიცოცხლის და სიბოს წყარო-მზე. ჯერ ნახად გაიღიმა, მერე კი გულიანად აკისკისდა, ცელქი სხივები ყველა მხარეს მიმოფანტა, ჩვეულებებისამებრ ჩაიჭყიტა ყველა კუთხე-კუთხულში, შეამოწმა, შეიცვალა თუ არა რამე მისი არყოფნის დროს. როცა დარწმუნდა, ყველაფერი წესრიგშიაო, მშვიდად გადაწვა მხარეთქოზე და ყურადღებით დაიწყო გარემოს დათვალიერება...

- ძლივს არ გათენდა? მოკვდი შიმშილით. რა ცუდია, ახლო-მახლო კაჭკაჭების მეტს ვედარაფერს ნახავს კაცი. მაგათ კიდევ ხორცი არცა აქვთ, ცარიელი ბუმბული და კუდები არიან. რომ მომკლა, პირს არ დაუკარებ.

- კარგი რა! რამდენს წუწუნებ? ცოტაც მოითმინე, გადაფრინდეთ მეზობელ ნაკვეთში, იქნებ, იქ მოვინადროთ რამე?

- შენც ამბობ! ნეტავ, რისი იმედი გაქვს? საითაც გაიხედავ, ყველგან თოფანები დადიან. სჭირდებათ თუ არა, ნადირობენ. გაწყვიტეს ფრინველიც და ნადირიც. ბელურებზეც კი არ ამბობენ უარს. საჩვენოდ აღარაფერს ტოვებენ. მეფეებს გვეძახიან, მაგრამ სულ არ გვცემენ პატვს, უნდა ითქვას, პირიდან ლუკმას გვაცლიან.

- ამის წინ, ფერმასთან ხობების ოჯახი შევნიშნე, წავიდეთ, იქნებ გაგვიმართლოს და ბედმა გაგვიღიმოს!...

მხემ ცალი თვალთ გამოიჭყიტა, აინტერესებდა, ვინ იყო ასეთი დამშეული.

- ერთი უყურე, ამათაც მეფეები ჰქვიათ, მერე რა, ფრინველებისა. ერთი ბჭო ღირსებაც კი აღარ შერჩენიათ. მუცელს როგორ ჩასტირიან!...

დედალ-მამალი არწივი ჯერ ხეობის თავზე ტრიალებდა, მერე კი გეზი ტყეში გაშენებული, მეცხოველების ფერმებისკენ აიღეს. რამდენიმე დღის წინ, იქ მართლაც იყვნენ ხობები, მაგრამ მონადირეებმა დაასწრეს და ფრინველთა მეფეებს ხელი მოეცარათ. ხობის ბუმბულსაც კი ვერ მოჰკრეს თვალი.

- იქნებ სჯობდეს, ყანებისკენ გაფრინდეთ? კაკაბს ან გვრიტს მაინც გადააწვდებით. შიმშილისგან თავბრუ მხვავა და თვალბრუნებით მიშავდება, ცოტაც და მიწაზე დავეცემი. - ისევ აწუწუნდა მამალი არწივი.

- კარგი იქნება, ამასობაში მეც მომშოვდა. - დაეთანხმა მეგობარი. მალე მინდორსაც მიაღწიეს, მაგრამ მათ სურვილს ასრულება არ ეწერა, გარშემო სულიერი არ ჭაჭანებდა. მხოლოდ მინდვრის თავკები დარბოდნენ აქეთ-იქით. მოგვიანებით, ბუჩქებში თვალი მოჰკრეს კურდღელს. როგორც იქნა, გაუმართლათ... ელვის უსწრაფესად, ისე რომ მსხვერპლი ახრზე ვერც კი მოვიდა, მამალმა არწივმა კლანჭები ჩაასო და ჰაერში აიტაცა. ეს მათთვის საკმაოდ კარგი მონაპოვარი აღმოჩნდა.

- რა ხდება? ადამიანები!... აქ რას აკეთებენ? წავიდეთ, სახლში დავბრუნდეთ.

არწივებმა შეუმჩნევლად დატოვეს მინდორი. არაფრისა ემინოდან, მაგრამ ხალხთან შეხვედრას მაინც ყოველთვის ერიდებოდნენ.

- იცი, რას გეტყვი? სხვა დროსაც მოვიდეთ აქ. ნახე, რამდენი თავკი იყო? მართალია, არ გვეკადრება, მაგრამ სულ არარაობას, თავკების დაჭერა აჯობებს.

შემდეგ დღეებშიც იგივე განმეორდა: არწივებმა ჯერ სოფლებში სცადეს ბედი, მაგრამ სათაფისო საკბილოს იქ რომ ვერ მიაკვლიეს, შიმშილისგან შეწუხებულებმა ისევ ნაცნობ მინდორს მიაკითხეს.

- მართლაც, ძალიან ბევრი თავკია, ოღონდ რა ნელა მოძრაობენ? ეტყობა, ძილისგან კარგად ვერ გამოფხიზლდნენ. ამით ხომ უწვალებლად დავიჭერთ!

- ეხ, გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ თავკი რა საჭმელია?...

რამდენიმე დღის შემდეგ მხემ მოიკითხა ღორმუცელა არწივები, მაგრამ ხეობაში ვეღარ იპოვა. მერე კი საერთოდ დაავიწყდა მათი არსებობა...

ნაცნობ მინდორში კიდევ გამოჩნდნენ ადამიანები. ისინი ერთმანეთისგან მოშორებით, ნელი მოძრაობით სერავდნენ ნაკვეთს. ხელში თავკის წამლით შეწამლული ხორბლით სავსე რკინის ყუთები ეჭირათ, პატარა კოვხებით იღებდნენ ხორბალს და თავკის სოროებში ყრიდნენ.

- ყველგან ჩაყარეთ, არ გამოტოვოთ არც ერთი სორო! გადაჭამეს მთელი ყანა, გაწყდა ამათი სინსილა!

მითითებებს გასცემდა ჭაღარა კაცი, თვითონაც რკინის ყუთი ეჭირა ხელში, წამალს ყრიდა ხვრელებში და თავისთვის ბუტბუტებდა: - ჭამეთ, ჭამეთ, შეგერგოთ...

ღაინახა, ერთ ადგილზე ხალხი იყო შეგროვილი, მუშაობისთვის თავი დაენებებინათ და სინანულით დაჰყ-

ურებდნენ რაღაცას. გაბრაზებული წავიდა იმ ადგილისკენ, სადაც მინდორში მომუშავე ადამიანებს მოყვარათ თავი.

- რა მოხდა? რატო გაჩერდით? ხომ იცით, უნდა ვიჩქაროთ, სადამომდე უნდა დავამთავროთ ამ ნაკვეთის შვეწამულა. სასწრაფოდ დაიშალეთ, ახლავე გააგრძელეთ მუშაობა!... ერთი მიმიშვიტო, მეც მანახეთ, რას მისჩერებინართ?

გზიდან ჩამოიცილა რამდენიმე კაცი. შემზარავმა სანახაობამ ისიც სხვების მსგავსად ერთ ადგილას გააშეშა.

- ეს რა არის?... საბრალოები, ნამდვილად მოწამლული თავკები შეჭამეს!...

ორი უხარმაზარი არწივი, ერთმანეთისგან არცთუ ისე მოშორებით, მიწაზე უსულოდ ეგდო. საცოდავებს ფრთები ისე ჰქონდათ გაშლილი, თითქოს სიკვდილის წინ ცაში აფრენას ლამობდნენ. მათ გარშემო კი ნიადაგი სიმწრისგან იყო მოფხოჭილი.

ამ სანახაობით შეძრწუნებული ადამიანები ქანდაკებებივით გაშეშებულიყვნენ. საწამლავებით სავსე ყუთები გადაეყარათ და უნებლიე მკვლელები სინანულით დაჰყურებდნენ დახოცილებს.

- საწყლები, აქ საიდან მოხვდნენ?...
- რამხელა ფრთები აქვთ?...
- არ ვიცოდი, ჩვენს მხარეში ამხელა არწივები თუ ბინადრობდნენ...
- საცოდავები, რა საშინელი რამეა შიმშილი?!...
- ნეტავი ამათგან კარგი ფიტულები გამოვა? სახლში წავიღებ!...

P.S. ეხ, რა დაუნდობელი ხარ ადამიანო!?!...

მახინჯი ჭიამაია

ყვავილების ბაღში, სადაც ულამაზესი ვარდები ყვავდა, ცხოვრობდა ერთობ პატყესაცემი, ერთმანეთის მოსიყვარულე, მაგრამ ბუგრების (პარაზიტი მწერები, რომლებიც წვეწვს სწოვენ მცენარეებს) დაუძინებელი მტერი - ჭიამაიების ოჯახი: დედა, მამა და მათი ბევრი შვილი. ყველა ჭიამაიას ჰქონდა წითელი, სისხლისფერი ფრთები, ლამაზი, შავი ცხვირ-პირი მოკლე უღვაშებით და კოხტა, შავი ფეხები. თითო ფრთაზე ჰქონდათ ხუთ-ხუთი შავი ლაქა. ოჯახის ყველა წევრი ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. მხოლოდ ერთი, პატარა ჭიამაია განსხვავდებოდა სხვებისგან.

პატარაობაში, როცა ჯერ ისევ მატლი იყო და ძლივს დახონხავდა, არაფერი ეტყობოდა, მაგრამ ცოტა რომ წამოიზარდა და დაფრთიანდა, თავის დაბანისას დედამ შეამჩნია, რომ მის შვილს ერთ ფრთაზე კი ჰქონდა ხუთი ლაქა, მაგრამ მეორეზე ხუთის ნაცვლად ექვსი ლაქა დაუთვალა.

- ალბათ, ეზოში თამაშისას ტალახი წაეცხლო. - იფიქრა დედამ. ხეხა და ხეხა შვილი, მაგრამ ლაქა ვერაფრით რომ ვერ მოაშორა, ქმარს შესჩივლა, მგონი ჩვენი ერთი შვილი დეფექტური გამოვიდაო. მამამ კარგად დაუთვალიერა შვილს ფრთები. არ მოეწონა და ძალიან გაბრაზდა:

- ჩემს ოჯახში ასეთი რამ არ მომხდარა, ექვს ლაქიანიო? თანაც მარტო ერთ ფრთაზე, ორივე ერთნაირი მაინც ჰქონოდაო? სირცხვილით თავი სად გამოეყო. თანაც გო-

გოა, როგორ უნდა გავათხოვოთ? - და აითვალისწინა მამამ შვილი. სხვებისგან განსხვავებით, ექვს ლაქიანს მუდამ მკაცრად ექცეოდა, ყოველთვის მას აგზავნიდა წვრილი, შარიანი და უგემური ბუგრების გასანადგურებლად.

...

ვარდების ბაღიდან არც თუ ისე შორს, ცხოვრობდა ერთი მარტოხელა მხატვარი. ყველას ძალიან მოსწონდა მისი ნახატები, მაგრამ თვითონ მუდამ უკმაყოფილო იყო თავისი ნამუშევრებით. დღესა და ღამეს ასწორებდა მხატვარი. ცდილობდა, რაიმე განსაკუთრებული, სხვებისგან განსხვავებული, გრანდიოზული შეექმნა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ერთ დღეს შენიშნა, რომ საღებავებს შორის პატარა, საყვარელი ჭიამაია იჯდა. გაუკვირდა მხატვარს: - შენ აქ საიდან გაჩნდი? რა ლამაზი ხარ! - გაახსენდა ბავშვობა. ხელზე დაისვა ჭიამაია და მიუძღერა:

- ჭია, ჭია მაია, ხვალ როგორი დარია?
- იფიქრა: - იქნებ, ეს სწორედ ისაა, რაც მე მჭირდებაო? რა ფერია!... როგორ უხდება წითელზე შავი კოპლებიო.
- მერე დასვა მაგიდაზე და დაიწყო ხატვა.

ყოველდღე მიფრინდებოდა ხოლმე ჭიამაია მხატვართან. ისიც ყოველდღე ხატავდა და ხატავდა სხვადასხვა ფონზე სხვადასხვა ტონალობაში ხან ნატურალური ზომისას, ხან ათჯერ და უფრო მეტად გადიდებულს, ხან ყვავილებთან ერთად, მზის სხივებით განათებულს, ცვრიან ბალახზე და მთვარის შუქზეც კი. მის ფანტაზიებს დასასრული არ უჩანდა. საკმაოდ ბევრი ტილო გაავსო ჭიამაიას ნახატებით, მაგრამ მხატვარმა ვერ შეამჩნია, რომ ჭიამაიას ერთი ფრთა განსხვავდებოდა მეორისაგან. ან იქნებ შეამჩნია, აბა მხატვრის გამოცდილ თვალს ეს როგორ გამოეპარებოდა? მაგრამ არაფრად ჩააგდო, უმნიშვნელოდ მიიჩნია ეს განსხვავება.

...

საერთოდ, მამა ჭიამაია ძალიან მოსიყვარულე იყო. ყოველ საღამოს გვერდით მოისვენებდა შვილებს და პატარა უღვაშებით ეფერებოდათ. მხოლოდ ექვსლაქიანს განზე გასწევდა და უბღვერდა, მომშორდი, შე მახინჯო, არასრულფასოვანო. მამა რომ ასე ექცეოდა, და-მამაც დასცინოდა: - მახინჯო, მახინჯო, არასიმეტრიულო!

როგორი ასატანი იყო ასეთი დამცირება? დაფრინავდა ყვავილიდან ყვავილზე პატარა ჭიამაია და გამწარებული ბუგრებზე იყრიდა ჯავრს. ახლომხლო სულ გაანადგურა მფენებლები, რომლებიც წვეწვს სწოვდნენ ყვავილებს.

ერთ დღესაც, მორიგი დაცინვის შემდეგ გულდამძიმებული და დაღონებული ექვსლაქიანი ჭიამაია კვლავ მიადგა მხატვარს. იფიქრა, იქნებ დღეს მაინც გამიმართლოს, მიხვდეს მხატვარი ჩემს გასაჭირს, შევეცოდო და მეორე ფრთაზე ერთი შავი ლაქა დამიმატლოსო. ხან ერთ გვერდს მიუბრუნებდა მხატვარს, ხან მეორეს.

- დამეხმარე კეთილო მხატვარო, ერთი წერტილი, ერთი შავი წერტილი დამიმატე ფრთაზე. ეს ხომ შენთვის არ წამოადგენს სირთულეს? მიშველე, გთხოვ, გამომიყვანე უბედური მდგომარეობიდან!

ერთმანეთის ენა არ ესმოდათ, ამიტომაც სხვა ვერაფ-

რით რომ ვერ მიახვედრა, ჭიამაია ყოველთვის შავ საღებავთან ჯდებოდა. ერთ დღეს კი გამწარებული, მხატვრის წინ ანფასში დაჯდა და დაიწყო ორივე ფრთის ქნევა.

ახლა გაშლილი ფრთებით ხატავდა მხატვარი ჭიამაიას. აი, მაშინ კი გაამახვილა ყურადღება თავისი მენატურის ასიმეტრიულობაზე და მეორე ფრთაზე დაახატა შავი ლაქა. ოოხ, რა ბედნიერი იყო პატარა ჭიამაიააა...

ზოგჯერ რა მცირეღია საკმარისი სხვის გასაბედნიერებლად! თუნდაც ერთი პატარა წერტილი, მაგრამ მოფიქრება, მიხვედრა ხომ გინდა!

ბედნიერებისგან ჭიამაია ისე აღელდა, წითელი ფრთები უფრო მეტად გაუწითლდა, აფრენა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მოჭარბებული სიხარულისგან ისე დაიბნა, ფრენაც კი დაავიწყდა. ცოტა ხნის შემდეგ, ემოციებისგან რომ განთავისუფლდა, დაწყნარდა, გაშალა ფრთები და თამამად დაბრუნდა მშობლებთან.

გაიხარა ოჯახმა. აბა რა იქნებოდა? მახინჯი შვილის გამო მეზობლებთან გამოჩენისაც კი სცხვენოდათ. ახლა კი ამყად შეეძლოთ ქუჩაში ფრენა. გაიმართა ჭიამაიების ზეიმი. დაპატიჟეს ნათესავები, მეზობლებიც და ზეიმი თუ იყო, აბა ეს იყო. ზეიმი კი არა, ნამდვილი სასწაული იყო. უამრავი წითელი ჭიამაია ერთად შეიკრიბა. ცეკვავენ და მღეროდნენ. მათი წითელი ფრთებისგან ყვავილების ბაღი ერთიანად გადაწითლდა და აჟრიკურდა. ჭიამაიებმა ექვს ლაქიანი შუაში ჩააყენეს და ხოტბა შეასხეს, აქეს და აღიდეს. ყვავილების ნექტარით შესვეს მისი სადღეგრძელოები. ზოგიერთმა ლექსიც კი მიუძღვნა. ახლა მას ხომ სხვებზე მეტი ლაქები ჰქონდა. (ორივე ფრთაზე ერთად თორმეტი). ჭიამაიებისთვის კი ლაქებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პატივისცემის ნიშნად, სხვადასხვა ვარდებიდან მიართვეს ნაირ-ნაირი, ტკბილი, უგემრიელესი ბუგრები. მხიარულობდა ყველა, ერთის გარდა:

- რა, მე ვერ მივადგები მხატვარსო? - შეშურდა ექვსლაქიანის ერთ-ერთ დას. იმასაც მოუნდა ფრთებზე ლაქების დამატება და გამწარებული შეფრინდა მხატვრის ფანჯარაში.

- ახლა ამას როგორ გაგაგებინო, რა მჭირდებო?

იფიქრა, ჩემს თავს მე თვითონ ვუშველიო. შურისგან დაბრმავებულმა და გაბოროტებულმა, თვითონაც ვერ გაიგო, როგორ მოხდა და მოულოდნელად ყვითელ საღებავში ჩაყარდა...

მხატვარმა დახრჩობას გადაარჩინა საღებავში ჩურჩხელასავით ამოვლებული, ყვითლად შეღებილი ჭიამაია. გააშრო, ფრთებზე შავი კოპლებიც დაახატა და გაუშვა. რასაკვირველია, მხატვარი ვერ მიხვდა, რომ ეს სულ სხვა ჭიამაია იყო და კომპლიმენტი უთხრა:

- ასეც ლამაზი ხარ, მაგრამ წითელი კაბა უფრო გიხდებოდაო...

გაყვითლებულ ჭიამაიას შერცხვა. ასეთი როგორ მისულიყო ოჯახში? და გაფრინდა შორს, ვარდების ბაღიდან ძალიან შორს.

იმ დღის შემდეგ დაფრინავს ყვითელი ჭიამაია მარტოსული, უნუგემო და გამწარებული...

...

ერთხელ ეზოში ვსეირნობდი, ხელზე ლამაზი ყვითელი ჭიამაია დამაჯდა და მწარედ მიკბინა, თითქოს ჩემზე ამოიყარა სხვისი ჯავრები. . . ისე გაემწვავდი, გავბრაზდი და დროულად რომ არ გაფრენილიყო, სიამოვნებით გაეჭყლეტიდი. ასე დაღუპავდა შური და ბოლმა ჭიამაიას. . .

მხატვარი?... მხატვარს დაუფასდა შრომა. ბოლოს იმდენი ჭიამაია დახატა სხვადასხვა მდგომარეობაში, რომ ჭიამაიების ნახატების საოცრად საინტერესო, ორიგინალური კოლექცია გამოუვიდა. მართალია, ნახატების გამოფენაზე დიდი აღიარება მოიპოვა, მაგრამ მთავარი და უმთავრესი ის იყო, რომ თვითონ მხატვარი დარჩა თავისი ნამუშევრებით კმაყოფილი.

P.S. შეიძლება ისე მოხდეს, ფიზიკურად მახინჯი გალამაზდეს, მაგრამ სულიერად მახინჯს არაფერი ეშველება!

ზელურა და ხვლიკი (ზღაპარი)

ხეილის ბაღში, ჟოლოს ბუჩქების ქვეშ, კოხტად მოწყობილ ბინაში, ცხოვრობდა ერთი პატარა, ზედმეტად მოძრავი, ცქვიტი, საოცრად ლამაზი, მწვანე ხვლიკი. ამ აუე ბაღში, ხვლიკის მეზობლად, ჩვეულებრივი, უბრალო, ბალახის ბუდე ჰქონდა გაკეთებული ჩვეულებრივ, ოღონდ საკმაოდ სიმპათიურ ბელურას. ერთმანეთთან მშვიდობიანად ცხოვრობდნენ მეზობლები. ორივე ძირითადად მწერებით იკვებებოდა და ორივე ისეთი ტემპით ანადგურებდა მათ, თითქოს ერთმანეთს ეჯობებოდნენ, რომელი უფრო მეტ ჭიალუას დაიჭერდა.

არ იმჩნევდა, მაგრამ ხვლიკს შურდა, რომ ბელურას ფრენა შეეძლო. უყურებდა, რა მხიარულად ფიგოფივებდა, რა მსუბუქად დახტოდა ტოტიდან ტოტზე, მერე ზიზღით შეხედავდა თავის გრძელ კუდს, გაპარჭყულ ფეხებს და ნატრობდა, ნეტავი მეც მქონდეს ასეთი ნაზი, ლამაზი ბუმბული, ასეთი ფრთები, ასეთი კოხტა, პაწია ფეხები, მეც შემიძლოს მასავით თავისუფლად ფრენა და სკუპსკუპიო.

ერთ დღეს, ძალიან მსუქანი და გემრიელი ხოჭოს დევნაში, ხვლიკი ხეზე აძვრა. მალევე ასვლა არ გაუჭირდა, მაგრამ დაბლა ჩამოსვლა რომ გადაწყვიტა, ძირს გადმოიხედა და შიშისაგან გული გაუსკდა, - აქედან როგორ უნდა ჩავიდეთ?- მაგრად ჩაეჭიდა ხის ტოტს და მორთო ყვირილი, -მიშველეთო.

იქვე, ხის ძირში, ერთი გაბღენძილი, დაბაბგამობერილი ბაყაყი იჯდა და ხვლიკს გულშემატკივრობდა. ისიც მსუქან ხოჭოს უთვალთვალედა. სიამოვნებით გადასანსლაავდა, მაგრამ ხოჭო ხეზე აცოცდა და ხვლიკის საკბილო გახდა. უცებ, ბაყაყმა თვალი მოჰკრა სისხლისმსმელ, წუწუნა კოლოს. ხვლიკისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე გამოყო გრძელი, ლორწოვანი ენა და თვალის დახამხამებაში გადაყლაპა მსუქან-მსუქანი, სისხლით გაბერილი მწერი.

ამ დროს პატარა ხვლიკი ხის ტოტს ჩაბლაუჭებოდა

და საცოდავად, სასწრაკვეთილი ხმით ითხოვდა შველას.
- რა მოგივიდა, რა გაყვირებს? როგორც ახვედი, ისე ჩამოდი. რა ქვეყანა შეყარე? ბოხი ხმით აყიყინდა ბაყაყი. რატომღაც სულაც არ ეცოდებოდა ხვლიკი.

- მიდი და მიეხმარე, რა შორიდან უყურებ? - სოროდანი თავი გამოყო პატარა წრუწუნამ. - გუშინ არ იყო, ხოჭოე-ბზე ერთად რომ ქეიფობდით, მერე კი ერთმანეთს ძმობას და მეგობრობას ეფიცებოდით? ახლა, როცა გაუჭირდა, აღარ გინდა ხვლიკის თავი ზომ?

წრუწუნას ნათქვამზე ისე გაბრაზდა ბაყაყი, გამობერილი ღაბაბი უარესად გამოებერა, გადმოკარკლული თვალები უფრო გადმოეკარკლა, მწვანე კანი უფრო გაუმწვანდა და დამაბულობისაგან ბუმბუთით გაბერილმა ერთი შესძახა: - ყიიო, მივეხმარები, რატომაც არაო და მთელი ძალით შეახტა ხეს, მაგრამ ზედ ასვლის მაგივრად, ბურთივით მიეხეთქა, მერე უკან გადავარდა, ზურგზე დაეცა, ფეხები მალღა აფშიკა და თეთრი მუცელი გამოუჩნდა. ამის დანახვაზე ხის ტოტზე დამალული კაჭკაჭი სიცილისაგან ჩაბჭირდა. ცოტა სული რომ მოითქვა, აფრინდა და ქვეყანას მოსდო ბაყაყის მარცხის ამბავი.

ხვლიკი კი ფეხებით და კუდით ებლაუჭებოდა ხის ტოტს და გაუჩრებლად შველას ითხოვდა...

-ჭყიპ, ჭყიპ, ჭყიპ! ჩვენი საერთო წინაპრის ხათრით მოგეხმარები!

იქვე, ხის ტოტზე მჯდარ ბელურას შეეცოდა ხვლიკი. ფრთები მოხვია გვერდებში და გაჭირვებით ჩამოიყვანა ხიდან.

ხვლიკმა, მადლიერების ნიშნად, მუდმივი მეგობრობა აღუთქვა ბელურას, თან შესთავაზა, გაჭირვების დროს მუდამ შენს გვერდით მიგულეო და მწვანე ბალახებში გაუჩინარდა. ბელურამ ცოტა დაირცხვინა და ფრთა ჩაიქნია, - კარგი რა, ისეთი არაფერი გამიკეთებიაო.

იმ დღიდან, ხვლიკი და ბელურა მართლა დამეგობრდნენ. ოღონდ ეგ იყო, ხვლიკს მოსვენებას არ აძლევდა ერთი კითხვა:

- მე მიწაზე დაეხოხავ, ის ცაში დაფრნავს, აბა, როგორ გვყავს საერთო წინაპარი? ბელურამ მასხარად ხომ არ ამიგლო?... ..

გადიოდა დრო, დილით მზის ამოსვლას ერთად ეგებებოდნენ მეგობრები, საღამოთიც ერთად ემშვიდობებოდნენ მზეს და დასაძინებლად მიდიოდნენ. ერთ დღეს კი თავს დიდი უბედურება დაატყდათ: საიდანღაც გამოჩნდა უშველებელი, მძვინვარე ძერა. მოულოდნელად დაეძგერა ბელურას, მაგრამ ჩაასო კლანჭები ზურგში და ბუდისკენ წაწიალა. შეშინებული ბელურა პანიკაში ჩავარდა და ისე დაიბნა, მინებდა მტაცებლის სურვილს. პროტესტის ნიშნად, ფრთაც კი არ გაუტოკებია. გონდაკარგული ვერც კი ხვდებოდა, რა განსაცდელი ელოდა. პირველმა შოკმა რომ გადაუარა, მეგობარი ხვლიკის ხმა შემოესმა:

- ნუ დანებდები, როგორმე განთავისუფლდი და ჩემთან ჩამოხტო!

დაბლიდან მიჰყვებოდა ერთგული მეგობარი. ხმამაღალი შეძახილებით ამხნეებდა და ბრძოლისაკენ მოუწოდებ-

და.
აფართხალდა ბელურა. ფრთებიც გაიქნია, კუდიც. გაუჭირდა, მაგრამ მაინც მოახერხა, განთავისუფლდა მტაცებლის კლანჭებიდან და მოწყვეტილ დაეცა მეგობრის ცხვირწინ. ძერა რის ძერა იყო, რომ ასე ადვილად დაეთმო ნადავლი? უკან მობრუნდა, რომ ისევ კლანჭებში მოეგდო მსხვერპლი.

ბელურა გრძნობდა გარდაუვალ განსაცდელს, მაგრამ გაქცევის თავი აღარ ჰქონდა, ძერასგან თავის დაღწევისას ბუმბული ხომ დაკარგა, აღარც კული შერჩენოდა და ერთი ფრთაც მოტეხილი ჰქონდა. მორიგი თავდასხმის მოლოდინში, თვალები მაგრად დახუჭა და საცოდავად ააკანკალა. ის ის იყო, ძერას ბელურა ისევ უნდა გაეტაცებინა, რომ ხვლიკმა მეგობარს პირი სტაცა და ბუჩქებისკენ გაათრია.

- უხ, რა მძიმე ყოფილა, -გაიფიქრა ხვლიკმა. სიმძიმისაგან წელში საცოდავად მოკაკეული შავი დღით გახოხდა ჟოლოს ბუჩქებისკენ და ბელურაც გაათრია. ის კი გადაარჩინა, მაგრამ ძერამ მოასწრო და ნისკარტით ხელიკს კულში დასწვდა. ექვ, არადა რა ცოტადა აკლდა, რომ სამშვიდობოს გასულიყვენ!...

- ვერა გვაქვს საქმე კარგადო, - შეწუხდა ხვლიკი, მაგრამ არ შედრკა. - მტერს ცოცხალი თავით არ დავნებდებიო, - გაიფიქრა. მერე წინ გაიწია, დაიძაბა, კიდევ წინ გაიწია, გაიწია და ბოლოს ძლიერად გაიქაჩა, მაგრამ - ვაი კული, ვაიი!!! - უკან რაღაცა ისე ძალიან აეწვა, თვალებიდან სიმწრის ცრემლები გადმოსცვივდა. მაგრამ საღდა ჰქონდა კული? მოსძვრა და ძერას ნადავლად მხოლოდ ხვლიკის კული დარჩა.

ასეთი საგმირო ამბავი როგორ დარჩებოდა გაუგებარი? ყველაფრის დამნახავმა და ყველაფრის მცოდნე კაჭკაჭმა ქვეყანას მოსდო მეგობრების ამბავი, თუ როგორ დარჩა ძერა ხელცარიელი ხვლიკის კულის ამარა.

დიდი წვალების შემდეგ, უკუდოდ დარჩენილმა ხვლიკმა ბელურა მიიყვანა თავის სახლში და დაიწყო მასზე მზრუნველობა.

კარგა ხანს ვეღარ ხედავდნენ მეზობლები ბელურას. იფიქრეს, ხომ არ მოკვდაო? მხოლოდ ხვლიკი გამოდიოდა სახლიდან მწერების დასაჭერად. მოინადირებდა ერთი-ორ ბუხს და სასწრაფოდ ისევ სახლში იმალებოდა. ცოტა ხანში მეზობლებმა შეამჩნიეს, რომ ხვლიკს მოწყვეტილი კულის ადგილი შეუხორცდა, მერე კი იმ ადგილას ახალი კული გაეზარდა. ერთ დღეს ხვლიკთან ერთად ბელურაც გამოჩნდა მორჩენილი ფრთით და აღდგენილი კულით. სულ მალე კი მოახერხა და მხიარული ჟიჟიჟ-ჭიკჭიკით ღობეზე ჩამოჯდა.

ხვლიკმა შეხედა გამოცოცხლებულ, შებუმბულულ-დაფრთიანებულ ბელურას, მერე თავის აღდგენილ კულს. ვერაფერი საერთო ვერ იპოვა და რაკი არაფერი გაეგებოდა ევოლუციური მოძღვრებისა, ვერაფრით ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა ბელურა, როცა ამბობდა, - საერთო წინაპარი გვყავსო. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, ისინი ხომ მაინც მეგობრები იყვნენ!



ახალი სამუხაზვილი

შვილიშვილებს

ვიცი, ღიმილით ივლით ყოველთვის,
 იმედით შეხსნით ყოველთვის წინკარს,
 დროს შეუძახებთ დაღლილს, მოთენთილს,
 ჩემო მარიამ და ჩემო ნიკა.
 გარეთ ყოველთვის განა დარია,
 ზოგჯერ თოვლია და წვიმა წინწკლავს,
 მზესაც სიკეთით გაუხარია,
 ჩემო მარიამ და ჩემო ნიკა.
 საწუთრო ზოგჯერ წყნარი ქარია,
 ზოგჯერ ჯიუტი ჯორივით ტლინკავს,
 ნუ შეგაშინებთ ავი ძალიან,
 ჩემო მარიამ და ჩემო ნიკა.
 როცა სიბერე შემოვა ჩემში,
 მიწას დავანდობ გალეულ ნიკაპს,
 ცას შემახვედრეთ იქ, მაღალ მთებში,
 ჩემო მარიამ და ჩემო ნიკა.

არ მიფიქრია

არ მიფიქრია, რომ სიბერე შემოვა ჩემში,
 ნაჯაფი მხრები თეთრი თმებით დამეფერება,
 კაცის საწუთრო, რომ ყოფილა სულ ერთი პეშვი,
 ზოგჯერ ჩამცხრალი, ვნებიანი, ზოგჯერ თავნება.
 არ მიფიქრია, მოვისმენდი სიბერის ქილიკს,
 ჩემს თავს ვკითხავდი ვინ იყავი და დღეს კი ვინ ვარ,
 წელში მოხრილი აკკეცავდი ცხოვრების ბილიკს,
 ახალგაზრდობა დარჩებოდა დარაბის მიღმა.

თავისუფლება

ხეებში ქარი ღმუის მუქპარით,
 სარკმელს აწყდება ყრანტალი ყორნის,
 მიწას შევზრდილვარ თავისუფალი,
 ქედზე არ მადგას უღელი მონის.
 თვალებს ცრემლები ნამად აყრიათ,

მიწის სურნელი მიყვება ერქვანს,
 თავისუფლებას ცრემლი არ ჰქვია,
 თავისუფლება მზე უნდა ერქვას.
 ნუ შემბურავს ცას ღრუბლის გროვა,
 ნუ მიმატოვებს გრძნობა ღირსების,
 თავისუფლება მზესავით მოვა
 სიცოცხლის ჟინით, რომ ავივსებით.
 მე სიძულვილი მაშინებს მხოლოდ,
 ძველი იარა გულზე ნადები,
 ვიცი, ერთხელაც გრძელი გზის ბოლოს
 მიმქრალ საწუთროდ ჩამოვდამდები.
 ბინდი წამიღებს სულისმხუთავი,
 დაიძალევა სხივები მთვარის,
 შორს გაფურინდება თავისუფალი,
 წაიქვითინებს უჩემოდ ქარი.
 ჩამოიღვრება ცრემლი ალალი,
 დაეპკურება სამარეს ქვიანს,
 თავისუფლება ცრემლი არ არის,
 თავისუფლებას სიცოცხლე ჰქვია.

ფანჯრიდან დანახული ზამთარი

ბუნებას სძინავს. ზამთრის ცივი ქარები ჰქრიათ,
 მონისლულ მთაზე მზე გვიან და ტაათით მოდის,
 ხეები ნისლებს ვერ იტანენ, მთებისკენ ჰყრიათ,
 ჭერხოს მზის თვალი მოადგება, ნეტავი როდის?
 ბუნარში ცეცხლი ზამთრისპირულ სიმღერებს მღერის,
 და სითბოთ ავსებს ჩემს პატარა ადგილსამყოფელს,
 ფანჯრიდან მოჩანს დათოვლილი ჭიუხის წვერი,
 ღრუბლებს აფრები აუშლიათ, მთებზე ნამყოფებს.
 ალუბლის ხეზე თოვლის თეთრი ქულები სხედან,
 საბძელის ჭერში შეფარებულ ბელურებს სცივათ,
 ერთფეროვნებას თბილ ოთახში შემოაქვს სევდა,
 თოვლის ფიფქებიც ცას შეჭირბლულ ცრემლებად სცვივა.
 გაცრეცილ ჰაერს ზოგჯერ ყვავის ყრანტალი არხვეს,
 აქა-იქ ისმის ძაღლის ყეფა, მამლის ყვილი,
 ფიქრები ზოგჯერ იმეტებენ იმედის ნამსხვრევს,
 დაჩუმდებო უსაშველო გულის ტკივილი.
 ქარი მომძლავრდა, მოხვეტილ თოვლს ფანჯარას აყრის,
 ქარის ხმაური შემკრთალ სივრცეს წუხილით მივსებს,
 არ ვიცი ტკივილს ვინ განკურნავს, გულიდან ამყრის,
 ვიცი, რომ სევდის ნატამალი შემრჩება ისევ.

ბერიკაწი

ატმის ქვეშ იჯდა ბერიკაცი, დაღლილი ჩანდა,
 მზისგან ჩრდილავდა ჩალიანი პატარა ქოხი,
 პირი მოუხსნა სიძველისგან ფერშეცვლილ ჩანთას,
 გაშლილ ტილოზე პურის ყუა დააგდო ოხვრით.
 ნაღველი აჩნდა სიბერისგან დაღარულ სხეულს,
 და ისე კრთოდა, როგორც ნისლი თოვლიან მთაზე,
 ვერ ინელებდა ყრუ ტკივილებს ზედ გულზე ნახვევს,
 ნაბდის ქუდს ხშირად ისწორებდა ჭადარა თავზე.
 მცირედ დანაყრდა, მზეს შეხედა ჩამჭკნარი თვალით,
 ფეხზე წამოდგა, მთაზე ღრუბლებს გახედა ბრაზით,
 ვენახის რიგებს შეერია ზურგზე საწამლით...
 იცრემლებოდა უმოწყალოდ ნასეტყვი ვაზი.


ბავშვობას ვეძებ

ბავშვობა სადღაც წარსულში დარჩა,
 სიცოცხლის წილიც იქ არის უკვე,
 ნატურფალები გამქრალან, არ ჩანს,
 ქარი შეჭმუის დამტვერილ შუკებს.
 ნასახლარებში ჭოტის ხმა ისმის,
 ნაფუძვნარს ხშირი შამბნარი ჰფარავს,
 მდინარის პირას ხმაურობს ისლი,
 ტაფობში ჩქამობს ცხვარ-ბატკნის ფარა.
 დილის სიგრილე ჩამოჰყოლიათ
 მჟავე წყლებისკენ ჩამოსულ ვერძებს,
 თრთოლვით შვეცქერი წყაროს ბროლიანს,
 ნაბილიკარზე ბავშვობას ვეძებ.

ღვინონისთვეში

ორიოდ პწკარიც ვერ დავწერე ოციოდ დღეში,
 მე უდროობას არა ვჩივი, დრო იყო მოცლით,

ღვინის სურნელმა გამაბრუა ღვინობის თვეში,
 ვნებით ავსილი ტალაუერის ვაზის ძირს ვკოცნი.
 გაშლილი სუფრა მენახეთ ნებას მიჰვება,
 გაუსებულ ქვევრში მზეც და მთვარეც ერთად არიან,
 შემოდგომის დღე სიყვარულის ამბავს მიყვება,
 და მეც ლამაზი ქორწილისკენ მიმიხარია.
 თიხის დოქებში განაბულა წარაფის ღვინო,
 მწვადი იწვება საკმელის ხის ცისფერ ლადარზე,
 ბახუსი სულის დამშვიდებას ჯიუტად ცდილობს,
 სურს, დამაიწყოს ტკივილები, რაც კი მადარდებს.
 ნელნელა ვთვრები, ნაცრისფერად ეშვება ბინდი,
 გარეთ, ხეებში შემოდგომის წყნარი ქარია,
 სუფრის ბოლოში ჩამომიჯდა სიბერე ფლიდი,
 სახედადარულს შემომეყურებს და უხარია.
 ნულარ მაშფოთებთ ჩემგან უკვე წასულო წლებო,
 ნულარ შემასმევთ ცრემლიან წყალს ჩემივე პეშვით,
 სიცოცხლე მინდა უკვდავების ნექტარით ვკვებო
 ღვინის სურნელით გაჯერებულ ღვინობის თვეში.



პაქა ჯანყარაშვილი

დრო მირბის

დრო მირბის... სიცოცხლე ქრება,
 ფიქრი წარსულით მიიმდება,

გაქრება ახალგაზრდობა
 და თმები გადათეთრდება.
 დაჭკნება ლამაზი სახე,
 აღარ იხდომებს სარკესა,
 განვლილ დღეების მგლოვარე
 ნაღვლით შეხედავს ღარებსა.
 ფიქრთან პირისპირ დარჩება
 გონება დაღონებული,
 წარსულში ჩაიძირება
 აზრები დახვესებული.
 რა მსურდა?! რისთვის მოვედი?!
 იფიქრებ გულდარახერული,
 ქენჯნას დაგიწყებს სინდისი
 განვლილ ცოდვებით ვნებული.
 დასწყევლი გაჩენის დღესა,
 უქმად ნატარებ დროებას,
 შევეკვდრები უფალ ღმერთს
 შეცდომის გამოსწორებას.
 ისურვებ ბევრ რამის შეცვლას
 ახალგაზრდობით უგნური,
 მაგრამ ვერაფერს გახდები
 დროის წინაშე უძლური.
 ნეტავი იმას, ვისაცა
 ეს ფიქრი აღარ აღარდებს,
 ვისიც განვლილი ცხოვრება
 დატოვს კვალს, გზას გაანათებს.



ნონა ჯიბლაუვილი

შემოდგომის მეტოსი

ვენახები ღუის ყვითლად,
 აქ ვილაცას გაუშლია ქარვა,
 მაჭრის სუნი სულს გიშფოთებს,
 აღარ იცი, აღარ იცი რა ჰქნა.
 მეჯლისი აქვს შემოდგომას,
 გასაოცარ, ფერად-ფერად შუქად,
 უხარია ყველას, ყველა დაფუსფუსებს,
 კაცს ვერ ნახავ უქმად.
 უფაღმა თუ დაიბერტყა
 აქ ბარაქის კალთა,
 საწნახელში ყურძნის მტევნებს
 ყრიან ალთა-ბაღთა;
 თათარის ქვაბს ათუხთუხებს
 შენი ბებო მართა.
 ჩურჩხელების წვიმა მოდის,
 მოასწარი სწორე ჯოხის გათლა!
 ირგვლივ უხმოდ დაიდვარა
 ღვინობის თვე ტკბილი.
 ბროწეული ხარხარებს და
 უჩანს წითლად კბილი.
 მარნის კედელს ჩამოჰკიდეს
 ჩხა, აკიდო, ჩირი.
 კომში ყვითლად ამბობს სათქმელს
 ატმები კი ვარდისფრად თუ ჩივის?!
 გლქნს ზამთარი უკვე აღარ შეამინებს,
 არაუისთან აღარაფერს ჩივის.
 ქვევრში ღვინო აჩუხჩუხდა,
 ხელადაში ჩამასხითო კივის.
 კაკლის ჩრდილში სუფრას შლიან,
 კაკალი კი მოდის სეტყვად ციდან,
 შემოდგომას ქორწილი აქვს ბარაქასთან,
 მაღლიც მიტომ დაიდვარა ციდა!

დედამინაზე ჩემს ნილად გაჩენილ კაცს

შენ რომ იცოდე,
 როგორ ხშირად დაგეძებ და
 რამდენჯერ გნატრობ,
 ისე, უბრალოდ, სალაპარაკოდ.
 არ გეგონოს ქალის ვნებას
 მოენატრე და დამჭირდი მიტომ,
 დამიჯერე, მე ისე გნატრობ,
 ისე, უბრალოდ, სალაპარაკოდ.
 არც განძი მინდა,
 არც სიმდიდრე,
 არც ფუფუნება,
 ადამიანად მენატრები
 და ისე განატრობ,
 ისე, უბრალოდ, სალაპარაკოდ!

იმედი

და თუ შენ
 იმედს არ დაკარგავ,
 გჯეროდეს რომ სიყვარული
 ნამდვილად მოვა.
 სიყვარულს,
 თურმე არ სჭირდება
 მოფერება,
 სულ ერთად ყოფნა.
 შენ რომ გგონია
 დაგავიწყდა,
 ის მოგძებნის,
 ის იქაც მოვა.
 შემოდგომაზე
 ტყის პირას თუ დაინახავ
 გაყვითლებულ
 ფოთლების გროვას,
 გემუდარები!
 ცეცხლს ნუ მისცემ!
 გაზაფხულზე
 ფოთლების ქვეშ
 იები მოვა!

ტკივილი

ქუჩის კუთხეში მათხოვარი დედამიწას დაეხეთქა
 დაღლილი და დაფლეთილი იგი სნეული,
 ფეხებთან ძველი, აშმორებული, ქუდი დაიღო,
 თითქოს იყო ეს ნამუსი მისი სხეულის.
 შენ ისე ჩუმად, უდარდელად, ჩამოუვლი
 თითქოს სულ მთლად ცარიელი მოდინარ და
 შინ დაგრჩა გული.
 კაცი არა ხარ?! მაღლი ქენი და
 შიგ სითბო მაინც ჩაუყარე, უფალი ხომ გაპატიებს,
 თუ არ გაქვს ფული.
 ცოდვილთა ბრბო ვართ!
 როგორ ინატროს კაცმა ბედი ამ მათხოვრისა,
 სასუფეველში მიუცია ადგილი და
 უკურთხებია,
 უფალს თურმე, სული ამისა!



ზიზო ბურღული

ფეკებერი

გარეთ დეკემბერი აუზნიანობს,
 კართან მომიცურა ყინვის ქოში,
 შიგნით იმედები დაკმზიანობს
 გულს, შენი სიშორით გადათოშილს.
 მოდის, მოკბერა და მოთოვლქარდა,
 ჩემი კარ-მიდამოც აიფიფქა,
 შენი მონატრებაც გადაკარგა,
 რა ვი, შენზე სულაც რა იფიქრა.
 ახლა შენამდე რომ შორი გზა მაქვს...
 მიდიან დღეები დაჯარები...
 ღამით მხატვარიც კი მომიგზავნა,
 სულ მთლად მომიხატა ფანჯარები.
 ახლა შენს გზას უკვე თოვლი ადევს,
 წარსულს მიეხატე მოგონებად,
 მოდგეს ზამთარი და მოდიადღეს,
 შენზე იფიქრონ სხვა გოგონებმა.
 მისი უკვე აღარ მეშინია,
 დადის ფუნჯითა და აკვარელით,
 რაღაც სხვანაირად შეშლილია,
 რაღაც სხვანაირად საყვარელი.
 რაღაც სხვანაირი ყინვის მეფე,

რაღაც სხვანაირი გოცება,
 ჩემს დარდს გადანისლულ მთებზე შეჰფენს,
 გზად გამომლის ათას საოცრებას.

დამფურება

დავხუჭე თვალი, აღარ მახსოვს უკვე აღარცრა,
 შენს მომლოდინე ჭიმლას შევრჩი ბედით პოეტის,
 ჩემი უშენო მომავალი ისე გაბაცდა,
 აღარც მადელვებს წუთისოფლის მიეთ-მოეთი.
 დავბრმავდ-დავყრუედი, ხომ გსურდა და ასე ინებე,
 დამიფიწყე და მეც მზადა ვარ, აღარ მახსოვდე,
 რომ აღარ გნახო, უსიზმროდაც დამეძინება,
 მარტის ქარს ვატან დღეს შენეულ ძვირფას სახსოვრებს.
 წადი, გამშორდი და შენს ქისტეთს მიესათუე,
 ნეტავ ვიცოდე, შენს ჭიმლაზე მეტად რით ფასობს,
 დმერეთმა ინებოს, რომ მანდ შეხვდე ჩემფერ ხათუთებს,
 საძულველო და გულისგულში მაინც ძვირფასო.

...
 დავხუჭე თვალი...
 აღარ მახსოვს უკვე აღარცრა...

ჭიმლიდან

შენს ნასახლარზე აყვავებულია ია,
 დაცლილ სოფელში ქოშინით დადის მარტი...
 არც სადმე კარი შემოჭრიალებს ღია,
 შენს ნასახლარზე აყვავებულია ია.
 ადიდებულია... გიჟი არღუნის ღრიალს
 მიაქვს სიმშვიდე, ის ღროც, გვერდში რომ მყავდი...
 შენს ნასახლარზე აყვავებულია ია,
 დაცლილ სოფელში ქოშინით დადის მარტი.

არყოფნის მთვარე

მამას

როგორ გეძინა, მე სიზმრებმა გამტანჯეს წუხელ,
 მეუე ამინდმა, ქარი ხეებს ფანჯრებს ახლიდა,
 აცრემილილ თვალით იმდროინდელ რიჟრაჟებს გუხმე,
 გაბუტულივით გახვიდოდი სანამ სახლიდან.
 როგორ გეძინა, მწყინს ახლა და მაშინაც მწყინდა,
 ხან სიზმრად გნახავ, ხან ვერც გნახავ, ღრო გადის ასე,

მოდი, იმ წლებზე ათას რამეს გიამბობ, გინდა?
 ტკივილითა და მონატრებით რომ არის სავსე.
 მაგრამ ისეთი მღუმარება წევს ახლა ირგვლივ,
 რომ შეგაშინებს და გაქცევის გაგიჩენს სურვილს,
 არცარას ამბობ, არცრას იტყვი, აღარც წუხილს გგვრის
 არყოფნის მთვარე, ყოფნისას რომ ვერ იკლავს წყურვილს.
 როგორ უძინოდ ვაკოწიწებ იმედებს ჩაშლილს...
 როგორ საოცრად გაცრეცილა უშენო სახლი...
 როგორ გეძინა, ივლისი დგას შენს ეზო - კარში,
 ქარსა და წვიმას, მტვერსა და ბუღს ერთმანეთს ახლის.
 ...
 როგორ გეძინა...

როგორ გძინავთ...
 სიზმარი იცით?..

წვიმაში უშენოდ

მე და შენს სოფელს გვაწვიმს,
 აწვიმს ქედებს და გორებს, -
 იარე დროო, გასწი,
 მიმაახლოვე თორელს.
 მიმაახლოვე ჭიმდას,
 გადამაიწყე ჯუთა,
 სულში ფათურობს ვიდაც,
 წუხილს წუხილზე ურთავს.
 აი, ცოცხლდება ის დღე,
 გზად რომ იებით დამხვდი,
 არ მსურდი წასვლად ქისტეთს,
 ვერა, ვერაფერს გაგხდი.
 წახველ, გადაქრი შორეთს,
 ტკივილს ტკივილზე მოჰფენ...
 აწვიმს ქედებს და გორებს,
 აწვიმს უშენო სოფელს.

თორელზე

ესაუბრები ბალახს
 ღიმილიანად, ჩუმად,

სვედას გულდაგულ მაღავ,
 მაღავ წადილს და გუმანს.
 დღეს ვისი ნახვა გსურდა,
 რას რა ოცნებებს ასცდი,
 რა ტკივილი გწვავს გულთან,
 რა მოლოდინის, განცდის.
 ესაუბრები ბალახს,
 აღრინდელივით, მშვიდად,
 ველარ იხსენებ თვალად,
 გადაივიწყო გინდა.
 გადაივიწყო, მაგრამ
 არც რომ ადვილი არის,
 მოფაჩუნდება აქ რამ,
 სალამო არის წყნარი.
 ესაუბრები ბალახს,
 ისიც თავისას გეტყვის,
 ისიც გულდაგულ მაღავს
 ცრემლს, დარდის მრავალწერტილს.

წვიმა

იფიქრებს ბევრს და წამოვა ზეციით,
 რა, რა აცელქებს არც თვითონ იცის,
 ნაბიჯით კოჭლით, თვალებით ბეციით,
 გადმოაბიჯებს ღრუბლების სიცილს.
 აახმაურებს სახლებს და ქუჩებს,
 გადაელვრება მზის ღიმილს დარდად,
 და მოლოდინებს რომ გადაურჩეს,
 დაელურს დაუვლის ასფალტზე მარდად.
 აუცეკვდება კაემანს უღვეს,
 აცახცახებულ ხელჯოხით ხელში,
 და ქარს, ისედაც საწყალს და სულელს,
 ერთი შეხედვით ჭკუიდან შემლის.
 და როცა დაღლის გიჟური როკვა,
 მოისაკლისებს ძველ ყოფას მყისვე...
 თებრონესავით შეიდგამს კოკას
 მხარზე, და ცისკენ გაუტევეს ისევ.





ბესიკ ხაჩიდიძე

ლიმონი

გურამ კალანდაძე მაყაშვილის ქუჩის ბოლოში, მთაწმინდის ძირში, მამა-პაპისეული სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა. ორმოცდაცხრა წლის კაცი ბავშვობიდანვე მიწის სიყვარულით გაჟღენთილიყო. პატარა საკუთარ ეზოში ყვავილებსა და სხვადასხვა ჯიშის მცენარეებს გამუდმებით თავს დატრიალებდა. აკი ამიტომაც, მამამისმა სასოფლოში ჩააბარებინა. უმაღლესის დამთავრების შემდეგ ოცდაორი წლის ბიჭი ფუნქიკულიორზე ასასვლელი ტრამვაის სადგურის ძირში, ნიაღვრის ქუჩაზე, ერთ პატარა, ბოტანიკის კვლევით ინსტიტუტში გაანაწილეს. იმ დღიდან დაწყებული, საყვარელმა საქმემ მორევით ჩაითრია, ჩაიყოლა და შთანთქა. რამდენიმე წელიწადში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. მისი ნაშრომი ოთახის პირობებში ლიმონის ახალი ჯიშების გამოყვანას ეძღვნებოდა.

სახლის შუშაბანდი ლიმონარიუმად აქცია. უამრავი ჯიშის ლიმონის ხეებს შვილებივით უვლიდა. ყველას თავისი სახელი დაარქვა, განსაკუთრებით მისივე გამოყვანილი „ქართული ლიმონი“ უყვარდა, რომელსაც მოფერებით ჯუჯიკოს ეძახდა.

სამსახურიდან თავისუფალ დღეებში, შაბათ-კვირას, ყველა ხეს ნამიანი ტილოთი ტყავისებრი ფოთლებიდან მტვერს აცლიდა, ელოლიაუებოდა, საათობით გვერდით ედგა და ესაუბრებოდა. თვეში ერთხელ რაიონიდან სასუქიანი მიწა ჩამოჰქონდა და მცენარეებს ნიადაგს უნოყიერებდა.

გაზაფხულიდან დაწყებული გვიან შემოდგომამდე ლიმონები თეთრი ყვავილებით გადაიპენტებოდნენ. მთელ ბინაში სასწაული არომატული სუნი იდგა. შრომამ ნაყოფი გამოიღო — ყოველწლიურად უხვ მოსავალს იღებდა. მთელ ნათესაობას, სამეგობროსა და სამეზობლოს ლიმონებით ამარაგებდა. ბედნიერი იყო გურამი — საქმე, რომელსაც მსახურებდა, უზომოდ უყვარდა.

სამსახურში ფეხით დადიოდა. ხელებს უკან შემოიწყო-

და და დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით მიუყვებოდა ვერიდან მთაწმინდაზე მიმავალ გზას. ტვერულის ეკლესიასთან აუცილებლად შეჩერდებოდა, პირჯვარს გადაიწერდა და ჩაფიქრებული გზას განაგრძობდა. პანთეონის ასასვლელ ქვაფენილთანაც შეჩერდებოდა, მამა დავითს ახედავდა, პირჯვარს იქაც გადაიწერდა და თავდაღმართს ჩაუყვებოდა. არა, მორწმუნე არ ყოფილა. მას ისეთ დროს მოუწია ცხოვრება, როდესაც ბავშვობიდანვე სარწმუნოების მიმართ გრძნობა გაუსულერთეს. ეს კი იცოდა, რომ ყოველი ეკლესია სამყაროს შემოქმედის სახლი იყო. გულის სიღრმეში პატევს მიაგებდა ღმერთს, იტყოდა ხოლმე:

– შენ სამყარო შექმენი. დიდი შემოქმედი ხარ. მე „ქართული ლიმონი“ შევქმენი, პატარა შემოქმედი ვარ, – მაგრამ ტადარში შესვლის სურვილი არასოდეს დაბადებია.

სამსახურშიც მისი საქმე ლიმონის გაზრდა-გახარება, ახალი ჯიშების გამოყვანა იყო. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან მის მიერ გამოყვანილი ნერგების შეკვეთებს ვერ აუდიოდა. შესაბამისად, შემოსავალიც დიდი ჰქონდა, მაგრამ მატერიალური სიმდიდრე მისთვის არაფერს წარმოადგენდა. მთელი ფული შემნახველ სალაროში შეჰქონდა.

დრო გადიოდა და მისი მშობლები ამ საწუთროს გაეცალნენ. ორმოცი წლის ასაკში, თავის ლიმონებთან ერთად, ეულად დარჩა. მაშინდა გადაწყვიტა დაოჯახება. თანამშრომელ დალის, რომელიც ფარულად სულ მოსწონდა, მაგრამ ამ საქმისთვის არასოდეს ეცალა, ხელი სთხოვა. ქალს ბევრი არ უფიქრია, გურამს მშვენივრად იცნობდა და დასთანხმდა. ბინას სახელდახელო კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარა და ერთ მშვენიერ დღეს დალი თავის ახლობლებთან ერთად სახლში დაპატიჟა. ბინის დალაგებასა და პურ-მარილის მოშხადებაში ნათესავი ქალები მიეხმარნენ.

გურამი წვერის პარსვის დროს, ფაქტობრივად, პირველად დააკვირდა საკუთარ თავს სარკეში. ოდესღაც კუნაპეტ შუე თმას ჭაღარა სარეველასავით მოსდებოდა, ლოყები ჩასცვენოდა, სახე ფერი გაფერმკრთალებოდა.

– პატრონი მჭირდება, ოჯახს დიასახლისი უნდა, – ჩაილაპარაკა და აბახანიდან პირდაპირ შუშაბანდში, ლიმონებისკენ გასწია. – ჯუჯიკო, ხომ მოგწონება და დაუმეგობრდები დალის? ვილიკო, შენც? ჯერო, შენცა? – ეჩურჩულებოდა ხეებს. ვერც კი გაიგო, თავს ისე წამოადგა დალი თავისი მაყრიონით. გურამი სტუმრებს შეეგება და გაშლილ სუფრასთან მიიპატიჟა. შემდეგ დალის მიმართა:

– წამოდი, ჩვენი ოჯახის წვერები უნდა გაგაცნო, – ქალს ხელკავი გაუყარა და შუშაბანდისკენ გაუძღვა. – აბა, გაიცანით, – წარუდგინა მომავალი მეუღლე შვილებივით ნაზარდ მცენარეებს. – ეს ჩვენი დიასახლისი, უკაცრავად, მომავალი დიასახლისი, დალია. გთხოვთ, პატივი მიაგოთ მის მობრძანებას. შემდეგ მასპინძელმა თითოეული ხე დიდი სიყვარულითა და მონდომებით „გააცნო“ საცოლეს და ბოლოს მის საყვარელ „ქართულ ლიმონთან“ შეჩერდა. – შეხედე, რა ლამაზია. როგორ ყვავის. რა სქელი ღერო და ტოტები აქვს. პატარა კი არ არის, მეთექვსმეტე წელიწადშია, ერთი ძირი სამას ლიმონამდე იძლევა. მოგწონს?

– ძალიან, – გაუღიმა დალიმ და ლიმონის ყვავილების არომატისგან გაჯირჯვლული ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

– ჰო, სულ დამვიწყდა, ჯუჯიკო ჰქვია. ეს დალია, რომ გაიყვებოდი, – შუშაბანდიდან გასვლისას გადაულაპარაკა

ციტრუსის ხეს.

...

გურამმა და დალიმ ერთ თვეში იქორწინეს. მათ შეუღლებას საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა. ქვეყანა აირია, დაირია და გადაირია. ქაოსი, რომელიც ირგვლივ დამკვიდრდა, ყველაზე და ყველაფერზე გაბატონდა. ადრე არსებული ფასეულობები შეიცვალა, გაუფერულდა და ვითომც არ არსებულა, უკვალოდ გაქრა. ცხოვრებამ სხვა პირობები წაუყენა ხალხს.

ქორწილიდან ერთი წლის თავზე ვაჟი შეეძინათ. გურამმა შეიღოს მამამისის სახელი, შოთა დაარქვა. ერთადერთი, რაც შემნახველ სალაროში შეტანილი ფულით შეიძინა, ავეჯი იყო, ისიც დალის დაქინებული თხოვნით. დარჩენილი ოცი ათასი მანეთი, როგორც გველეშაპმა, ისე ჩაყლაპა სახელმწიფომ.

ქვეყანაში აგორდა, აზვირთდა უბედურება და გაჭირვება.

– დალი, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მთელი სიცოცხლე კონსერვის ქილაში ვცხოვრობდი, – შეშფოთებული ეტყოდა ხოლმე მეუღლეს.

ოჯახს საშინლად გაუჭირდა. გურამი სამსახურში თვეში ერთი-ორჯერ თუ გაივლიდა, ისიც თანამშრომლებთან სალაზღანდაროდ, თორემ ბოტანიკა, მით უმეტეს ლიმონები, არავის სჭირდებოდა. ხელფასიც ოცდათხუთმეტი ლარი ჰქონდა.

ბავშვი კი სოკოსავით იზრდებოდა. მას არ აინტერესებდა გაჭირვება. იგი თავისას ითხოვდა. ცოლ-ქმარმა ყველაფერი ფასეული გაყიდა, ქორწინების ბეჭდების ჩათვლით.

...

როგორც ქვეყანა, ასევე დაფავდა სულს შემოდგომა. გურამმა ზამთრისთვის თადარიგი დაიჭირა და თუნუქის შემის ღუმელი შეიძინა. ვაჟიშვილთან ერთად მთაწმინდის ფერდობებზე დაქუჩებოდა და შემას აგროვებდა.

– მამიკო, მასწავლებელმა დაგვაგალა, ორშაბათს ორი ლარი მოიტანეთო, – ზურგზე მოკიდებული ფიჩხის პატარა შეკვრა გაისწორა შოთიკომ.

- რისთვის სჭირდება?
- ზამთრისთვის ნაკეთურა უნდა ვიყიდოთო.
- ააა, – ჩაფიქრდა გურამი. – რალაცას ვიზამ, მამიკო, – გადაუსვა თავზე ხელი. სახლში დაბრუნებულმა მამა-შვილმა ხმელი ტოტები და ფიჩხი კიბის ქვეშ დააბინა.
- დალი, ერთი პარკი გამომიტანე, – ტანთ არც გაუხდია, ისე გადაულაპარაკა მეუღლეს და შუშაბანდში გავიდა.

- ცოლმა პარკი მიუტანა:
- რაში გჭირდება?
- ლიმონებს შევკარგოვ და ბაზარში ჩაგაბარებ, – გურამი ციტრუსის კრეფას შეუდგა. ას ოცი ცალი ლიმონი პარკში ჩააწყო და სახლიდან გავიდა. დეზერტირების ბაზრამდე მეტროთი მივიდა. ასასვლელ კიბეზე უამრავი ლიმონი იყიდებოდა. ჩასუქებულ მამაკაცს მიუახლოვდა:
- უკაცრავად, ლიმონს ჩაიბარებთ? – იკითხა მორიდებით.
- რა ლიმონი გაქვს, ძია? – კბილებიდან გამოცრა უცნობმა.
- ქართული ლიმონი, – თითქოს ხმა ჩაუწყდაო, ძლივს ამოღერდა გურამმა.

- მერე, რამდენად ჩამაბარებ?
- თქვენ ათ ცალს ლარად ჰყიდით, მე თხუთმეტს ჩაგაბარებ ლარად, – პასუხის მოლოდინში გურამმა სუთქვა შეიკრა.
- არა, ძმაო, – ხროტინა ხმით ჩაილაპარაკა ვაჭარმა.
- ვის რად უნდა შენი ქართული ლიმონი. თურქულ და ბერძნულ ლიმონს მიაქვს ბაზარი...
- იცით, ჩემი ლიმონები განსაკუთრებული ჯიშისაა,
- გააწყვეტინა დამცინავი საუბარი ლიმონით მოვაჭრეს.
- აბა, მანახე, – ლიმონებზე მიუთითა უცნობმა.
- გურამმა პარკი გახსნა. ვაჭარმა თავისი ბანჯგვლიანი ხელი ჩაჰყო, რამდენიმე ციტრუსი ამოიღო და ხელისგულზე დადებულ სამ ლიმონს დააცქერდა:
- რა? რითა შენი ლიმონი განსაკუთრებული? მღერის თუ ცეკვავს? – ახლა უკვე ღიმილი დაეღო სახეზე. – ჯანგირას ლიმონს ასწავლი? დაბერდი კაცი ამ საქმეში.
- გურამს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს მთელი მისი განვლილი ცხოვრება ამ ვაჭრის ხელისგულზე იდო. სიმწრისგან ნერწყვი გადაყლაპა და წყნარად ჰკითხა:
- ჩაიბარებ?
- ბიძა, ბერძნულ და თურქულ ლიმონს ოც ცალს ვიბარებ ლარში. აი, შენსას კი – ოცდაათს ჩაიბარებ ლარში. თუ გაწყობს, გავსწორდეთ, თუ არადა, კარგად იყავი. გურამმა ერთი ამოიხრა და დასთანხმდა. უცნობმა ოთხი ლარი გადაუხადა. იქვე, ბაზარში ორი ლარის ბოსტნეული შეიძინა და სახლში დაბრუნდა.
- შოთიკო, მოდი, მამა, აი, შენ ორი ლარი და სკოლაში წაიღე, – ფული გაუწოდა.
- მამა-შვილი ორშაბათ დილით სახლიდან ერთად გავიდა. ჩვეული, დინჯი ნაბიჯით გაუყვანენ გზას. ტვერელის ეკლესიასთან ორივემ პირჯვარი გადაიწერა. პანთონის ასასვლელ ქვაფენილთან გაკვირვებულმა გურამმა თვალეზი დაჭყიტა. ორი კვირის მანძილზე, რაც ამ ადგილას არ გაუვლია, ვილაცას იმხელა სახლი წამოეჭიმა, რომ მამა დავითი გადაესანსლა, ეკლესია აღარ მოჩანდა. უსახური კედლების მიღმა, ტაძრის სახურავზე აღმართული ჯვარი თოფის სამიხნესავით გამოიყურებოდა. გააჟრჟოლა. ბიჭი სკოლამდე მიაცილა და სამსახურისკენ გასწია. შენობაში შესულს მთელი თანამშრომლები დერეფანში დაუხვდნენ, ყველა ერთხმად ქაქანებდა.
- რა მოხდა? – იკითხა გაკვირვებულმა.
- რა მოხდა და შენობას გვართმევენ, საელჩო უნდა გახსნან, – აღშფოთებით მიუგო ერთ-ერთმა.
- რაა? – ფერი წაუვიდა გურამს. – როგორ, კაცო?
- როგორ და ფეხებზე ვკიდივართ.
- გურამი დირექტორის კაბინეტისკენ წავიდა. კარის სახელურს დაეჯახა გურა და მთელი ძალით გამოსწია. დირექტორი თავის ორ მოადგილესთან და ბუღალტერთან ერთად რალაცას ბჭობდა. ერთი წამით თვალეზი ჩააშტერდა, შემდეგ ძალა მოიკრიბა და დაიღრიალა:
- ქუჩაში გვერი? აღარ გჭირდებით?! ტუალეტის ქალაღლივით ამოგვისვი და მოგვისროლე?!
- არა, დაწყნარდი, გურამ, სანაცვლოდ სხვა შენობას მოგვცემენ, – დამშვიდება სცადა დირექტორმა.
- უსინდისოები ხართ! – კარი გამოიჯახუნა, აჩოჩქოლებულ თანამშრომლებს ნაჩქარევად ჩაუარა და გარეთ გავარდა. ჰაერი არ ჰყოფნიდა, სუნთქვა უჭირდა. ნიაღვრის ქუჩა აიღია და ფუნიკულიორზე ასასვლელი ტრამვაის

სადგურში შევიდა. ვაგონი მგზავრებს ელოდა. ბილეთი არც აუღია, თავისუფალი ადგილი დაიკავა. იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო. ვაგონი დაიძრა. ისე აღმოჩნდა ზევით, რომ ვერც გაიგო. ოდესღაც ენით ალოკილ ბაღში, რომელიც ახლა გაუბედურებული, გაპარტახებული და უპატრონოდ მიგდებული იყო, გავიდა.

მთელი ბავშვობა მამამისს აქ დაჰყავდა. სასწაულად ბედნიერი იყო, როდესაც საქანელებზე ქანაობდა. გაძარცვულ „ემშაკის ბორბალს“ ახედა, საღებავჩამოყრილ, ცალყბად მოშინიერალ ნავეს დააცქერდა. სიმწრისგან გადააფურთხა:

– მკვლარი ბედნიერება, – ჩაილაპარაკა და თბილისისკენ გადმოსახედ მოაჯირს მიუახლოვდა. დიდხანს დაჰყურებდა ქალაქს. – ესეც შენი თავისუფლება, გაგვაგიჟეს. თუმცა გიჟი ხომ თავისუფალია. ჰოდა, ამიტომაც გიჟური თავისუფლება გვაქვს. რატომ, რისთვის, რა დავაშავეთ?! – ბუტბუტებდა უაზროდ.

გურამს ცხორება საშინლად გაუდუხჭირდა, აუბობოქრდა და გაუსასტიკდა. კედელთან მიაშწევდა და მიჩიხა. ერთი პერიოდი ნაცნობ ვაჭართან ლიმონის ჩაბარებით არჩენდა ოჯახს, შემდეგ მოსავალი მოიღია. ბოლოს გაზეთში განცხადება გამოაქვეყნა და, ჯუჯიკოს გარდა, ყველა ხე გაყიდა. ფული, რომელსაც თითოეულ ხეში უხდიდნენ, ერთ ამოსუნთქვაზე ეხარჯებოდა.

აღმართში ქვა წამოეწია და მკაცრი ზამთარი დადგა. შეგროვილი შეშა ორ კვირაში თვალსა და ხელს შუა შემოეწვა.

– გურამ, – ძლივს ჩაძინებული, მეუღლემ გააღვიძა.
– ჰა, რა მოხდა? – წამოჯდა საწოლზე.
– ბიჭს სიცხე აქვს, – შემინებული სახით შესცქეროდა დალი, რომელსაც ხელში სანთელი ეკავა.

– რას ამბობ? – მამაკაცი საწოლიდან წამოხტა და საცვლების ამარა ბავშვის ოთახისკენ გაიქცა. – რა გჭირს მამიკო – შუბლზე ტუჩები მიაღო.

– მამა, მცფვა, – მისუსტებული ხმით უპასუხა შოთიკომ.
– ნუ გეშინია, მამა, ნუ გეშინია, – დაამშვიდა ბავშვი, თავზე ხელი გადაუსვა და შუშაბანდში გავიდა. სანთელი აანთო, ხერხს დაუწყო ძებნა. იპოვნა და ჯუჯიკოს წინ ჯალათივით დადგა. თვალბზე ცრემლი მოაწვა, გული საგულედან ამოვარდნას ლამობდა, მისი ბაგაბუგი გარკვევით ესმოდა:

– მაპატიე, ჯუჯიკო, – ერთი ჩაილაპარაკა და ხე ძირში მოჭრა. ღუმელის ზომაზე დახერხა, მკლავებში დაიგროვა და ცეცხლის დასანთებად გასწია. ნედლ ტოტებს ალი ძლივს მოედო. მცენარე თავისი ბოლო მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ოთახში დათბა.

– რამდენი აქვს სიცხე? – იკითხა გურამმა.
– ოცდაცხრამეტი, – დალის სახეზე დაბნეულობა აღბეჭდვოდა.
– არაფერია, ალბათ, გაცივდა, სიცხის დამწვევი დავაღვინოთ.

– არა გვაქვს.
– მაშინ ძმრიანი წინდები ჩააცვი. მე გადავალ, გულიკოს გავადვილებ. ექიმი, რაღაცას გვირჩევს.

– უხერხულია, დამის სამი საათია. დილით დაეუძახოთ. გურამი სამზარეულოში გავიდა. სიბნელეში სკამს ფეხი წამოჰკრა. გამწარებულმა წიხლი ჩაახილა და სადღაც კუთხეში მოისროლა. კარადა გამოხსნა, ბოთლი გამოიღო,

ძმარი ჯამზე დაასხა:
– დალი, ბავშვის წინდები გამომიტანე, – გასძახა მეუღლეს, მერე წინდები ძმარში ჩაალობ, გაწურა და შოთიკოსკენ მომუჭული წაიღო. წინდები ჩააცვა, საფეთქლები ძმრით დაუხილა. ცოტა ხანში ბავშვს სიცხემ დაუწია. ცოლ-ქმარმა შვებით ამოისუნთქა.

ირიჟრაჟა. გურამმა საათს დახედა, შვიდი სრულდებოდა.

– ნახევარ საათში გადავალ, დაეუძახებ, – ჩაილაპარაკა და აბაზანისკენ წავიდა, პირი დაიბანა. რაც ხელში მოხვდა, ტანთ გადაიცვა და ეზოში ჩავიდა.

– მობრძანდით, ქალბატონო გულიკო, – კარებში შეეგება დალი ექიმს.

ქალმა ბავშვი გასინჯა და პასუხის მოლოდინში გარინდულ შმობლებს მიუბრუნდა:

– ფილტვებში არაფერი აქვს, უბრალოდ, გაციებულია, თან დასუსტებული მეჩვენება. მე გამოგიწერთ სიცხის დამწვევს და ვიტამინებს. უყიდეთ საქონლის ღვიძლი და შეუწვიეთ, ბროწეულიც გაუწურეთ. ლიმონი კანიანად დაღვჭოს და ჩვენი შოთიკო ორ-სამ დღეში ჩიტვით გახდება, – ბავშვს საბანი გაუსწორა და წამოდგა. გურამმა კარებამდე მიაცილა, მადლობა გადაუხნა. ოთახში შებრუნებულმა დალის გადაულაპარაკა:

– რა ვქნათ? ფული სად ვიშოვოთ?
– არ ვიცი, – მხრები აიჩიქა ქალმა.

– ერთი, დათოს იმედი მაქვს, მაგრამ მოსკოვში იყო წასული. ნეტა, ჩამოვიდა? – თავის თავს ეთათბირებოდა გურამი. შემდეგ ტელეფონის ყურმილი აიღო: – ჯინაზე რაღა ახლა გამორთეს, – ყურმილი დაახეთქა. – წავედი, – გადახედა ცოლს. – პირდაპირ სახლში, ქვეთარამის ქუჩაზე მივადგები, – ნაჩქარევად გავიდა გარეთ. ფიქრდამძიმებული თავდაღმართს ჩაუყვა. მეტროთი ვაჟა-ფშაველას ძველთან მივიდა. დათოს სახლისკენ მიმავალს მსუბუქმა მანქანამ ჩაუარა, სახურავზე დადებულ საბარგულზე თოკებით კუბო ჰქონდა დამაგრებული. გურამმა თვალი გააყოლა და სიმწრით ჩაილაპარაკა:

– მოუსვენია ვიღაცას. ბედნიერი... – ფეხს აუჩქარა. იზოტოპების ინსტიტუტის წინ, საცხოვრებელ კორპუსში შევიდა. მეორე სართულზე, დათოს სახლის კარზე დააკაკუნა. არავინ უპასუხა. გვერდით კარიდან მესობელი გამოვიდა:

– დათო არ ჩამოსულა, ბატონო, – გადაულაპარაკა გურამს და კიბეზე დაეშვა.

მამაკაცმა ერთი ამოიოხრა. საკუთარი უსუსურობისთვის სახეში შეფურთხება მოუნდა. ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში არასოდეს ყოფილა. ქუჩაში გასული ავტობუსის გაჩერებაზე დადგა.

– გურამ, – ვიღაცამ დაუძახა.

საკუთარი სახელის გაგონებაზე ფიქრი ნისლივით შემოეფანტა. დამძიმებული თავი ასწია და წინ მდგომ მამაკაცს შეხედა. სახეზე ეცნო, მაგრამ სახელი ვერაფრით გაიხსენა:

– ააა, გამარჯობა, – თავს ძალა დაატანა, გაუღიმა.
– ბიჭო, ვერ მიცანი? მე შენი ჯგუფელი, ილო ვარ, – ხელი ჩამოართვა.

– არა, როგორ ვერ გიცანი. უბრალოდ, ჩაფიქრებული ვიყავი. როგორ ხარ, ილო? სად მუშაობ, რას აკეთებ?

– არაფერს, – მოკლედ მოუჭრა ილომ, – ორი წელია

უმუშევარი ვარ. თავს დონორობით ვირჩენ. – ფერწასულ სახეზე ღიმილი აღებეჭდა, კანტიკუნტად დარჩენილი, ჩაყვითლებულ-ჩაშავებული კბილები გამოუჩნდა.

– დონორობით? ეგ რას ნიშნავს? – ვერ გაერკვა გურამი.

– აქვე, – ხელით მიანიშნა ილომ. – სისხლის გადასხმის სადგურია, ჰოდა, ოთხას გრამ სისხლს ვაბარებ. მიხდიან თხუთმეტ ლარს, ტკბილ ჩაისაც მასმევენ და ერთ პატარა ფილა შოკოლადსაც მაჭმევენ. მერე მივდივარ კამოს ქუჩაზე და იქაც ვაბარებ. თუ ჩაიზე და შოკოლადზე უარს ვიტყვი, მაშინ ჩვიდმეტ ლარს მაძლევენ. ოცდაათი ლარი, ძმაო, ფულია.

– დაა, – ჩაფიქრდა გურამი, შემდეგ ძლივს გასაგონად ჰკითხა: – ახლა სად მიდიხარ?

– აქ უკვე ჩავაბარე, ახლა კამოზე მივდივარ.

– თუ ძალიან არ გეჩქარება, ამეყვი, მეც ჩავაბარებ და მერე კამოზეც წამოგყვები, – მუდარით შესთხოვა გურამმა.

– კი ბატონო, – დასთანხმდა ილო, ხელკავი გაუყარა და სისხლის გადასხმის სადგურისკენ გაიყოლა.

გურამს ჯერ თითიდან აუღეს სისხლი და ლაბორატორიაში გამოსაკვლევად გაგზავნეს. ნახევარ საათში, დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, სისხლის ჩასაბარებელ ოთახში შეიყვანეს.

– არ ინერვიულო, მე აქ გელოდები, – მიაძახა ილომ.

გურამი სავარძელში ჩასვეს და მარცხენა ხელი პატარა სარკმელში შეაყოფინეს. ნემსს თვალი აარიდა, საწინააღმდეგო მხარეს მიაპყრო მხერა. ვერანაირი ტკივილი ვერ შეიგრძნო. სარკმლის იქით მდგომი ქალი პერიოდულად ეკითხებოდა:

– როგორ ბრძანდები? ცუდად ხომ არ ხარ?

– ვბრძანდები? – საკუთარ თავზე ჩაეცინა გურამს. – გადასარევედ ვბრძანდები. ორმოციოდე წუთში ექთანმა ნემსი გამოადრო.

– მორჩა? – იკითხა გურამმა. თავბრუს ხვევა იგრძნო, მაგრამ სავარძლიდან მაინც წამოღება, დერეფანში გავიდა.

– როგორ ხარ? – შეეგება ილო.

– ისე რა, ცოტა თავბრუ მეხვევა, – წაილულლულა.

– წამოდი, – წინ გაუძღვა ილო და გვერდით ოთახში შეიყვანა.

გურამს ცხელი, ზომავზე მეტად ტკბილი ჩაი დააალგვინეს. დრო ისეულთა, რათა არავის დაენახა, და შოკოლადის ფილა ჯიბეში ჩაიცურა.

– ახლა ფული ავიღოთ და წავედით, – გადაულაპარაკა ჯგუფელმა.

თხუთმეტი ლარი გულის ჯიბეში ჩაიდო და ილოს მიუბრუნდა:

– თუ შეიძლება, ხელკავს გაგიყრი.

– კი, ძმაო, დამეყრდენი. ნუ გეშინია, ჰაერზე როცა გავალო, კარგად გახდები, – დაამშვიდა მეუბარმა.

ავტობუსის გაჩერებაზე დაბრუნდნენ, სკამზე ჩამოსხდნენ. როგორც იქნა, ძველი, გაუბედურებული ავტობუსი მოხრიგინდა. მარჯანიშვილის მოედანზე ჩამოვიდნენ და სისხლის ჩასაბარებლად ნელი, მძიმე ნაბიჯით გაუყვინენ. ნაცნობი პროცედურა ორივემ რიგრიგობით გაიარა. შემდეგ გურამი ილოს დაემშვიდობა და პლენანოვისკენ წავიდა. თითქოს სული ჰქონდა გამოცლილი, სხეული საშინლად დამძიმებოდა. თითოეული ნაბიჯის გადადგმისათვის თავს ძალას ატანდა, მთვრალივით მიბარბაცებდა.

ტროლეიბუსს დაელოდა და სადგურის ქუჩამდე გაჰყ-

ვა. რომელიღაც აფთიაქში ექიმის ჩამოწერილი წამლები შეიძინა და ბაზრისკენ წაბანცალდა. კიბეზე ასულს გვერდი ისე გაჰკრეს, რომ კინაღამ თავით ძირს გადმოეშვა. ვილაცას ხელი წაავლო.

– ვაჰ, გურამ, – მოესმა ნაცნობი ხროტინა ხმა. – ცუდად ხომ არ ხარ? რა ფერი გადგეს?

– ცუდად ვარ, ჯანგი, – ნახევრად მოჭკუტული თვალებით მიამტერდა ლიმონებით მოვაჭრეს.

– მერე, შე კაცო, ასე ცუდად თუ იყავი, აქ რაზე მოხვედი? – ხელი შეაშველა ჯანგივით.

– კაცურად, რაღაც მაქვს საყიდელი. წამომყევი და მერე ტაქსში ჩამსვი.

– კი, გურამ, – დაეთანხმა ვაჭარი. – რა გაქვს საყიდელი?

– საქონლის ღვიძლი და ბროწეული.

– მოიცა, – სკამზე ჩამოსვა. – ფული მაიჭა და ახლავე მოგიცუნცულებ.

გურამმა დარჩენილი ოცი ლარი მიაწოდა.

– რამდენი ვიყიდო?

– ორი კილო ღვიძლი და ერთი სამი კილო ბროწეული. ოღონდ კარგი შეარჩიე, – საზურგეზე მიესვენა გურამი.

– რაზეა, გურამ, ლაპარაკი. ახლავე მოვალ, – საყიდლებზე გაიქცა ჯანგივით. რამდენიმე წუთში უკან მობრუნდა. ხელში პარკი ეკავა.

– რა ქენი?

– ყველაფერი გიყიდე.

– ხურდა რამდენი დაგრჩა?

– შვიდი ლარი.

– ლარის ლიმონიც ჩამიწყევი.

– ლიმონი უკვე ჩავდე, ჩემგან საჩუქრად, – გაუღიმა ჯანგივით. – მართალია, შენნაირი კარგი ქართული ლიმონი ამ ბაზარში არავის მოუტანია, მაგრამ აღარ მაქვს. დიდი ხანია გამითავდა. ბერძნულს გატან, – ფული ჩაუჯიბა.

– ჯანდაბას მაგის თავი, – ესამოვნა შექება გურამს.

ლიმონით მოვაჭრემ ხელი შეაშველა, წამოაყენა და ტაქსამდე მიაცილა.

– სად ცხოვრობ?

– მაყაშვილის ქუჩაზე, – მანქანის სავარძელზე დაენარცხა გურამი.

– აი, ძმაოჯან, სამი ლარი და სახლამდე აიყვანე, – ჯანგივით მძღოლს ფული გადაუხადა. – კარგი კაცია, – კარი მიაჯახუნა და გურამს დასამშვიდობებლად ხელი აუწია.

სახლის კიბეზე ძლივს ავიდა. კარებში მეუღლე შეეგება:

– რა გჭირს? რა ფერი გადგეს? – პარკი გამოართვა.

გურამმა ჯიბიდან წამლები და ფული, შვიდი ლარი ამოიღო და დალის მიაწოდა:

– ბავშვი როგორ არის?

– სიცხე ნაკლები აქვს.

– მადლობა ღმერთს, – ჩაიბურტყუნა და შოთიკოს ოთახისკენ წალასლასდა. – მამიკო, შოკოლადი მოგიტანე, – გაუწოდა ორი პატარა ფილა.

– რა კარგია, როგორ მომენატრა, – გახარებული ბიჭი მამას მიეხუტა.

ახალ ფარაჯი

ბერძენ ფილოსოფოსთა სასარგებლო გამონათქვამები

ფასანისი ნინა ნომერში

15. ბოროტებას ნუ მიუმატებ ბოროტებას

ფილოსოფოსმა დაინახა კაცი, რომელიც გოგონას წერა-კითხვას ასწავლიდა. ის ძლიერ განრისხდა და უთხრა:

- ბოროტებას ნუ მიუმატებ ბოროტებას. რისთვის აწ-რთობ შენს წინააღმდეგ მომართულ შხამიან ისრებს სა-კუთარი ხელით? – რისთვის აძლიერებ ქალის უნარს, რომელიც უამისოდაც ატყვევებს და ამარცხებს კაცთა მოღმას?

16. ცეცხლი – ცეცხლზე

ფილოსოფოსმა დაინახა გოგონა ანთებული ჩირაღდნით ხელში და შენიშნა:

- ცეცხლი – ცეცხლზე... ამავე დროს, ცეცხლის წამ-ღები ძლიერია წანაღებ ცეცხლზე.

17. რატომ მიღის ქალი თეატრში

ერთმა ფილოსოფოსმა თეატრში ლამაზი ქალი დაინახა და უთხრა:

- შენ აქ იმისთვის კი არ მოხვედი, რომ უყურო, არამედ იმისათვის, რომ გიყურონ!

18. დამახასიათებელი ნიშანი

- რატომ არ უყვარხარ ჩვენს მბრძანებელს? – ჰკითხეს ერთ ფილოსოფოსს.

- იმიტომ, რომ ხელისუფალთ არასოდეს უყვართ მათზე ჭკვიანნი. – უპასუხა მან. – ეს ყველა ხელისუფალის თვისებაა.

19. უფრთხილდი ორფენსა ლომს

ერთმა ფილოსოფოსმა თქვა:

- ორფენსა ლომი ოთხფენაზე საშიშია, მას ორმაგად უნდა უფრთხილდე. იგი თავის მბრძანებელს გულისხმობდა.

20. ფინიკი და კაკალი

ერთ ფილოსოფოსს ჰკითხეს:

- რით აიხსნება, რომ ფინიკის ნაყოფისა გარე ნაწილი იჭმება, კაკლისა კი – შიგა?

მან უპასუხა: შემოქმედის მიზანი მისივე ქმნილების განადგურება კი არა, არამედ ყველა სახის ცოცხალი არ-სების საუკუნოდ შენარჩუნება იყო. ამაში ეძიეთ საკუთარი კითხვის პასუხი.



21. სახელი გავალვას

ალექსანდრე მაკედონელმა თავის მეომრებში შენიშნა კაცი – სახელად ალექსანდრე, რომელიც ბროლის დროს ველიდან გარბოდა და უთხრა მას:

- გთხოვ, ან შიში დაძლიე, ან სახელი შეიცვალე, რათა ჩვენი სახელების მსგავსებამ არაფერ შეიყვანოს შეცდომაში.

22. საქალეთი

ქვის კვლით გარშემორტყმული ქალაქის დანახვაზე ერთმა ფილოსოფოსმა თქვა:

- ეს საქალეთია, სადაც ნამდვილი მამაკაცის ყოფნა არ ეგების.

23. გამოსავალი

ერთმა ალექსანდრიელმა კინიკმა¹ მბრძანებელს სთხოვა, მისთვის მიტკალი² ეჩუქებინა.

- ასეთი მწირი საჩუქარი არ შეეფერება ჩემს ღირსებას,
- უპასუხა მმართველმა.
- მაშინ ტალანტი³ ოქრო მიბოძეთ, - შეეპასუხა კინიკი.
- ასეთი თხოვნა კი კინიკისთვისაა სრულიად შეუფერ-ებელი. – მიუგო მმართველმა.

24. ცუდი განწყობილების მიზეზი

არისტოტელეს ჰკითხეს:

- რატომაა, რომ შურიანები სულ რაღაცით არიან შეწუხებულნი?

- იმიტომ, რომ მათ აწუხებთ არა მარტო საკუთარი ბოროტება, არამედ სხვისი სიკეთეც, - უპასუხა არის-ტოტელემ.

1 კინიკი – ფილოსოფიური მიმართულების მიმდევარი, რომელიც უარყოფს კანონს, ჩვეულებებს, რელიგიას, რწმენას, კაცობრიობის კულტურულ მიღწევებს და ქადაგებს პირველყოფილი მდგომარეობისკენ მიბრუნებას.

2 მიტკალი – წვრილი ხურდა, მონეტა.

3 ტალანტი – ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფულადი ერთეული ძველ აღმოსავლეთში.

25. ორატორული ხელოვნების არსი

- რა არის, სახელდობრ, ორატორის დანიშნულება? – ჰკითხეს ერთ ფილოსოფოსს.
- განადიდოს არარაობანი და მიჩქმალოს დიდ ადამიანთა დამსახურება, - უპასუხა მან.

26. სიამოვნების შესახებ

ერთმა ფილოსოფოსმა თქვა:
- ოთხი სახის სიამოვნება არსებობს: რომელიც გრძელდება ერთი წუთი, მთელი დღე, მთელი თვე და მთელი სიცოცხლე.
გრძობისმიერი სიყვარული იძლევა მხოლოდ წუთიერ სიამოვნებას; როდესაც იბადება ვაჟი, ადამიანი მთელი დღე ხარობს, სანამ ბავშვის ტირილ-ჭყვიპინი არ მოსწყენია. ახალდაქორწინებულთა სიამოვნება მთელი თვე გრძელდება, დიდი სიმდიდრე კი, იძლევა საშუალებას მთელი სიცოცხლე ისიამოვნო.

27. სისულელის ორი ნიშანი

პლატონი ამბობდა:
სულელი ადვილად იცნობა ორი ნიშნით: იგი ყოველთვის ისე ლაპარაკობს, რომ მის სიტყვებში არაფერია მისთვის სასარგებლო და ყოველთვის ერევა სხვის საქმეში.

28. გამოუსწორებელი სულელი

- რომელი სულელი შეიძლება ჩაითვალოს გამოუსწორებლად? – ჰკითხეს ერთ ფილოსოფოსს.
- ის, რომელიც ორჯერ წაიბორძიკებს ერთი და იგივე ადგილზე, - უპასუხა მან.

29. პითაგორას ღვიძი

ამბობენ, რომ პითაგორას ბეჭედზე ამოტვიფრული იყო შემდეგი ღვიძი:
„ხანმოკლე წარუმატებლობა სჯობს ხანმოკლე წარმატებას.“

30. სულელი ვერ ცნობს ჭკვიანს

ერთმა ფილოსოფოსმა თქვა:
- ჭკვიანი კაცი ყოველთვის იცნობს სულელს, რადგან სანამ ჭკუა-გონებას შეიძენდა, თვითონაც იმავე ტყავში იყო. სულელი კი ვერასოდეს იცნობს ჭკვიანს, რადგან თავად არასოდეს ყოფილა ჭკვიანი.

31. აშკარა შუშსაბამობა

სხვა ფილოსოფოსმა თქვა:
- საკვირველადაა ადამიანი მოწყობილი – ის წუხს, როდესაც კარგავს სიმდიდრეს და სრულებითაც არ დარდობს იმის გამო, მისი სიცოცხლის დღეები დაუბრუნებლად რომ მიდინან.

32. რა არის უკეთესი

ერთმა კაცმა ნახა, რომ სოკრატე ფესვებით იკვებებოდა და უთხრა:
- შენ რომ ჩვენს მბრძანებელს მსახურებდე, აქამდე არ

დახვიდოდი.

- შენ რომ ფესვებს დასჯერებოდი, მოვალე არ იქნებოდი მბრძანებელს მსახურებდე, - შეეპასუხა ფილოსოფოსი.

33. ყველა მოკვდავია

ამბობენ, რომ ალექსანდრე მაკედონელმა, როდესაც იგრძობ სიკვდილის მოახლოება, დედას გაუგზავნა წერილი თხოვნით: უხვი სუფრა გაეშალა და დაენაყრებინა ყველა მშვიერი მათ გარდა, ვისაც ნათესაობაში გარდაცვლილი არავინ ჰყავდა.

მან ეს გააკეთა, რათა დედა დაეჯერებინა: დედამიწაზე არ არსებობს ადამიანი, რომელიც სიკვდილს გაქცეოდეს და ამ გარდაუვალობაში დარწმუნებულს, ნაკლებად ედარდა.

34. ნებისმიერი ყვაროდან

- როგორ დამდაბლდი, შენ მზად ხარ ისწავლო პირველივე შემხვედრისაგან! – კიცხავდნენ ერთ ფილოსოფოსს.
- ცოდნა ისეთი ძვირფასი საქონელია, რომელსაც განუწყვეტლივ უნდა მოიპოვებდე ნებისმიერი წყაროდან, - უპასუხა ფილოსოფოსმა.

35. სახის გამოჩეხვა

- გასაგებია, თუ არა შენთვის ის, რაც აგისხენი? – ჰკითხა ფილოსოფოსმა თავის მოწაფეს.
- ყველაფერი გასაგებია, - უპასუხა მოწაფემ.
- მართალს არ ამბობ, - უთხრა ფილოსოფოსმა, - შენი ბაგენი ამბობენ „დიახ“, ამ დროს კი სახის გამომეტყველება ამბობს „არა“. უტყუარი ნიშანი გაგებისა არის სიხარული მოსწავლის სახეზე.

36. ჩემი სახლი იქაა, სადაც მე ვარ

- სახლი, რომელშიც დასასვენებლად მოწყობილხარ, შენ გეკუთვნის? – ჰკითხეს დიოგენს.
- ჩემი სახლი იქაა, სადაც მე ვარ. - უპასუხა დიოგენემ.

38. ლაპაზი, მარამ უზუნური ცნობილი *

- რომელია უზუნური ცნობელებიდან ყველაზე ლამაზი? – ჰკითხეს სოკრატეს.
ქალი. - უპასუხა მან.

39. აღამიანთა კენი

ერთხელ დიოგენი მალლობზე ავიდა და დაიწყო ძახილი:
- მოდით ჩემთან, ადამიანთა ძენი!
მის ირგვლივ უამრავი ხალხი შეიკრიბა, მათ რომ შეეხდა, დიოგენემ თქვა:
- რატომ მოხვედით, განა თქვენ გეძახდით! მე მოუწოდებდი ადამიანთა ძეთ, მხოლოდ ფილოსოფოსებს აქვთ უფლება, ამ სახელით იწოდებოდნენ.

(რუსულიდან თარგმნა გ. ნატროშვილმა)

გაგრძელება შემდეგ ნომერში

* #37 და ასევე 354, 501, 545, 553, 563, 570, 575, 581, 584, 646 – ამოღებულია რუსული თარგმანიდან (უხეში ნატურალიზმის გამო, როგორც ხსნიან).



სოფელი სნოს შესასვლელში სნოს ციხის ძირას მდინარე ხევის არაგვზე (უერთდება თერგს) ხიდი გადადის, სადაც იკრიბებიან სოფლები „ბირჟაზე“. ამ ადგილს „ხიდის ყურს“ ეძახიან, აქ ხშირად ექსპრომტად ლექსაობდნენ რაიმე თემაზე. ერთი ერთს იტყოდა, მეორე — მეორე სტროფს და ხშირად ასე იქმნებოდა შედეგები, მაგრამ უმრავლესი მათგანი დაკარგულია. აი, ერთ-ერთი კი თქვენს წინაშეა ხალხური ლექსის მოყვარულისა და შემგროვებლის — ელგუჯა ჯოჯიკაშვილის, მეცადინეობით. ის შეიძლება შედეგად ვერ მოვიხსენიოთ, მაგრამ ამ შედეგებით მიღებული მასალის ერთი შესანიშნავი მაგალითია. ასეთი ლექსების ავტორად, ხუმრობით, ციხელა ხიდისყურელი იხსენიებოდა. ამ ადგილს, როგორც ვთქვით, სნოს ციხე დაჰყურებს და სახელი - „ციხელა“, აქედან წარმოდგება. „ხიდისყურელს“ რაც შეეხება, მის ეტიმოლოგიაზე დასაწყისში გვექონდა საუბარი.

მოხეური იუმორი

ტრადიციებს მივდივით, თავის ქებაც არ გვინდა და ამ ლექსსაც სნოური ხელის წაკვრა დასჭირდა. თუ არ გვინდა წარსულის უცბად გადავიწყება, ხევი არ „ყანობით“ „ბურსაჭირით“ იწყება. მერე როცა ურმის გზა ბიდარაზე გავიდა, გუდაურთან ქვენამთა ალავერდი გადვიდა, მთის „კურორტი“ ადგილი სტუმარმასპინძლობისა, საკუთრება ხევისა სახრავად კი სხვებისა. ტრამპლინიდან ნახტომი ცნობილ სპორტსმენებისა, ჯიხვთ-არჩივების სამყარო, ბუდე არწივებისა. ფერდობ ქედებს ამკობენ მწვანე ღვია-დეკანი, ჭიუხიდან მოისმის კაკაბ-შურთხთა კაკანი. „თრუსოული“ მინ. წყლები, საბიზგინა „კობური“, „ყანობ“-„ხურთის“ ღუმელი ბართით გახურებული. ცხელი ხაჭაპურები, ლუდი ჩაციებული. ფერდალების ბოხოხი ფქვილში გათეთრებული, ხაში, ჯიგრის ყაურმა ქონდრით შენელებული, „ტყარშეტული“ ხაეიწი, ქადა „გაიბოტნური“. „ფანშეტური“ მხლოვანი, შამაკრულა „თოთური“, „გერგეტული“ კიტრები, დაჰყვილება „ცლოური“. მიწის ჩიჩქნა ღრუტუნნი, ქაწა-ფხოლის კრახუნნი, სუფრის თავში თავდუმა, ქაში „სივან“- „გარბნული“, ხინკლის გული მკვლიავით, ფაფა „ახხოტარშული“.

„კარკუჩხული“ გინება, შარი „ახალციხური“, წეკოს ღეჭვა, საყენზე გადაწრინტვა „ჯუთური“. ხორცოვანი, წვენხორცი, ყანწით ჟიპიტაური. კალმახთ-ბაყაყთ ჭყუმპალი, შაირ-ლექსი „სნოური“, „ყანბეგური“ „სელოდკა“, მჭადი, გემო მწვადისა, დამღერება ფანღურზე, ეშხი ქალ-ვაჟთ ცეკვისა. წინაპართა ნადგომნი სხვა სოფლები დაცლილა, მომავალში ასეთი ღმერთმა ყველას აცილას. მეინვარწვერი ლამაზი ხევის პატარძალივით, ბეთლემ გამოქვაბული მიჯაჭვული ამირნით, თერგი — ხევის რაინდი, ციხე თამარ მეფისა, შეუვალი სიმაგრე, კლდენი დარიალისა, სამებდანი მოისმის ლოცვა ხევის ბერისა, ღმერთო მოგვეც ერთობა მამულის და ერისა, ერის კაცნი ბადალი დავით აღმშენებლისა, მაგალითი გმირობის სამას არაგველისა. ღაწლი მოჩხუბარიძის, ხევის დიდი შვილისა, გახსოვთ ვისი გორის ხართ, ბევრი კარგის მთქმელისა. ცხვარ-მეცხვარის ბარაქა, გარჯა მხენელ-მთესველებისა. ...ფხიზლად რომ ვყოფილიყავ, ალბათ, უკეთ დაწერდი, ჯელობანი ვიყუჩე, სიბერეში ავმღერდი, ხუმრობ ნარეე სიმართლით არ თქვათ წყალს ავამღერედი, უკეთესად თუ იტყვით ამ ლექსს დღესვე დაუხევი.



ღალი ბალაგვილი

ნავთობის მოპოვების ისტორია დედოფლისწყაროში

პირველი წერილობითი წყარო, რომელშიც მოიხსენიება ქართული ნავთობი, ეს არის ცნობილი ვენეციელი ვაჭრის – მარკო პოლოს წიგნი „მოგზაურობა ჩინეთში“ (XIII ს.-ის მე-2 ნახევარი), სადაც წერს: ხოლო (სომხეთის) ჩრდილოეთით ძვეს იგი გეორგიანა, ადგილი შესანიშნავი წყაროებით, რომლებიდანაც მოედინება ზეთის მაგვარი პეტროლიუმის სითხე, რომელსაც წვავენ ლამფებში და იყენებენ, როგორც საკმაოდ სასარგებლო საშუალებას ბევრი ავადმყოფობის დროს. მეზობელი ქვეყნებიდან ამ სითხისათვის ბევრი ვაჭარი მოდის, ხოლო ეს წყაროები ისე სწრაფად მოედინებიან, რომ იმით ტვირთავენ აქლემებს და მიაქვთ მეზობელ რაიონებში.

საქართველოში ნავთობის ყველაზე ძველ საბადოდ ითვლება ნავთლუდის, შირაქის და ელდრის ნავთობის წყაროები.

1825 წელს ცარსკოე კალოდცში (ახლანდელი დედოფლისწყარო) ჩამოვიდა ცნობილი გერმანელი მეცნიერ-ბუნებისმეტყველი **ედუარდ ეიხვალდი**. ადგილმდებარეობის გაცნობის შემდეგ მეცნიერის ყურადღება მიიპყრო მლაშე ტბამ მირზაანთან, რომელშიც ნავთობის კვალი აღმოაჩინა. შირაქის ტერიტორიაზე მან მოინახულა ადგილები, სადაც მიწას შავი ლაქები ემჩნეოდა. ნიადაგი გამოფიტული და უნაყოფო იყო და გამოთქვა ვარაუდი ნავთობის მარაგის შესახებ. თუმცა მისმა აღმოჩენებმა სათავე ვერ დაუდო დედოფლისწყაროში ნავთობის მასიურ მოპოვებას.

პირველი ცნობა შირაქის ნავთობის შესახებ 1845 წელს განეკუთვნება, როცა ვინმე **ისმაელ მაშადი ოღლიმ** განცხადებით მიმართა კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს ნავთობის მოპოვების მიზნით ამ მიწების გამოყოფის თაობაზე. 1848 წელს ამიერკავკასიის სახაზინო

ბალატამ გამოიკვლია ელდარის და შირაქის საბადოები და გარკვეული ვადით წელიწადში 1050 მანეთად მიაქირაა. ამ საბადოებში 1864 წელს მოქმედი 53 ჭიდან წელიწადში 785 ტონა ნავთობი მოიპოვებოდა, რასაც ინახავდნენ 17 თიხის ჭურჭელში. აკეთებდნენ მცირე სიღრმის ორმოს და დაგროვილ ნავთობს ტიკებით იღებდნენ. ზოგჯერ ორმოებს 20-30 მეტრამდეც აღრმაებდნენ. ამოღებულ ნავთობს მოჰყვებოდა წყალიც. მას მცირე აუზებში აგროვებდნენ, რათა წყლისაგან გამოყოფილიყო. ნავთობი წყლისა და ჰაერის ზემოქმედებით ნავთფისად იქცეოდა და ხუფავდა იმ ნახვრეტებს, საიდანაც ნავთობი გადმოდიოდა. პერიოდულად ჭაში ბადით უშვებდნენ მუშას, რომელიც ხელით გლეჯდა ნავთფისს ქერქებს. მაგრამ 8-10 მეტრის სიღრმეზე მუშაობა შეუძლებელი ხდებოდა, რადგან მხუთავი გაზი გამოიყოფოდა. ჭების გათხრა წერაქვითა და ნიჩბით ხდებოდა.

ნავთობის მოპოვება განსაკუთრებულად გაიზარდა ფირმა „სიმენსის“ საქართველოში შემოსვლის შემდეგ. **სიმენსებმა** თბილისის გუბერნიაში ქალაქ კუდაბეკთან, რომელიც ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა მოქცეული, ააშენეს სპილენძის გადამამუშავებელი ქარხანა, რომლის წარმოების გასაფართოებლად საწვავის მეტი რაოდენობა იყო საჭირო. გარშემო მდებარე ტყეების მოჭრით ბუნებას ზიანი ადგებოდა. ქალაქი მთიან რეგიონში მდებარეობდა და რკინიგზის ხაზი არ არსებობდა, რაც ორმაგად ართულებდა ბაქოდან ნავთობის გადაზიდვას. ალტერნატიული გზის მოსაძიებლად სიმენსებმა კავკასიის სამთო ნაწილის სამმართველოს მეშვეობით კახეთში, კერძოდ დედოფლისწყაროსა და მირზაანში ნავთობის საბადოების შესახებ ინფორმაცია მოიპოვეს. ამ საბადოებზე სამუშაოები 1863



დედოფლისწყაროს ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნის საერთო ხედი

წლიდან მიმდინარეობდა **ჩილიკოვის** ხელმძღვანელობით, ხაზინაში 12000 მანეთის შეტანის სანაცვლოდ და 12000 ფუთი ნავთობის გამომუშავებით.

სიმენსებმა 1865 წლიდან შირაქ-ელდარის ნავთობსარეწები 12 წლის ვადით კონცესიით აიღეს და პირველი საძიებო საქესპლუატაციო სამუშაოებიც დაიწყეს. სწორედ სიმენსებიდან იწყება საქართველოში ნავთობის მრეწვე-

ლობის განვითარება. სიმენსების ოჯახის უფროსებმა – ვალტერ და ვერნერ სიმენსებმა ნავთობიანი ადგილები 9 ჯგუფად დაყვეს და გაბურღეს სამი ჭაბურღილი, უფრო ადრე ვიდრე ბაქოში. თითოეული მათგანი ტუმბოების საშუალებით 1.5-2 ტონა ნავთობს იძლეოდა დღე-ღამეში.

ვალტერ სიმენსმა ნავთობის შესანახად მოაწყო აუზები დიამეტრით 7 მეტრი; სიმაღლით 3,5 მეტრი. შიგნიდან ცემენტით ამობათქაშებული კედლებითა და 96 ნავთობის ტევადობით. აუზები და ჭის პირები ნავთობის აორთქლები-სა და წვიმის წყლის ჩადინების საწინააღმდეგოდ იფარე-

მას 8 კაცი ემსახურებოდა. 1869-1876 წლებში აქ გადა-
მუშავეს 6171 ტონა ნავთობი და მიიღეს 1221 ტონა ნავთი,
173 ტონა ბენზინი, 144 ტონა მძიმე ზეთი და 3420 ტონა
ნარჩენები. სხვაობა გადამუშავებულ ნავთობსა და მიღე-
ბულ პროდუქციას შორის შეადგენდა 1131 ტონას, რაც
აორთქლებისა და სხვა მიზეზებით დაიკარგა. შემდგომში
მათ გამოუმევეს გაზოილი, ლიგროინი, მანქანის ზეთები
და ატარებდნენ ცდებს გამანათებელი გაზის მიღებაზე.
ნარჩენებისაგან დაამზადეს ფისი, ყვარო სახურავებისათ-
ვის, კოქსი, გუდრონი და ასფალტი. სხვათაშორის ვერნერ



ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა დელოფლისწყაროში

ბოდა ლელქაშით, რომელსაც ზემოდან მიწას აყრიდნენ. ჭაბურღილების ბურღვა წარმოებდა შტანგური (სიღრმული ტუმბოებით) წესით. ნავთობის ამოღებამ წელიწადში 30 000 ვედროს მიაღწია.

1869-1876 წლებში შირაქისა და ელდრის საბადოებზე მოპოვებულ იქნა 12399 ტონა ნავთობი, გაიბურდა 122 ჭაბურღილი, რომელთა სიღრმე ცვალებადობდა 8-65 მეტრის ფარგლებში და მხოლოდ ერთი მათგანი აღწევდა 107 მეტრს.

ვალტერ სიმენსმა დელოფლისწყაროში მოაწყო ფოტოგენის ქარხანა (ფოტოგენი ნიშნავს ნავთობსახდელს) 4 ქვებით. იგი ამუშავდა 1868 წლის სექტემბერში. ქარხანაში გამოხდის პირველად პროდუქტს ნავთი წარმოადგენდა და

სიმენსი თბილისის გუბერნატორს სთავაზობდა ამ ასფალტით ქალაქის ტროტუარების გაკეთებას.

1883-1886 წლებში თითოეული ჭაბურღილიდან წელიწადში 14-16 ტონა ნავთობს იღებდნენ. ბენზინი იყიდებოდა თბილისში, ნავთი კი სიღნაღსა და დელოფლისწყაროში. გამოხდის ნარჩენები კი დელოფლისწყაროში განლაგებული ტვერის დრაგუნთა პოლკის ყაზარმების გასათბობად და პურის საცხობად გამოიყენებოდა.

საინტერესოა ისიც, რომ კონცესიის წესით შირაქის, ელდრის და მირზაანის სარეწების სიმენსებისათვის გადაცემა შეთანხმებული იყო გენერალ-ადიუტანტთან, ცნობილ პოეტ გრიგოლ ორბელიანთან, რომელიც ცვლიდა მეფისნაცვალს მისი არყოფნის გამო. იგი იყო, ასევე,

კავკასიის ტექნიკური საზოგადოების საპატიო წევრი და კურირება ნავთობის ათვისების საქმეს საქართველოში.

1887 წლიდან შირაქისა და მირზაანის სარეწებს დაეპატრონენ სიღნაღელი ვაჭრები — ძმები **ოთაროები**, რომლებმაც განახლეს ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. აქ იყო 122 ჭაბურღილი და 7 ჭა. ბურღვა წარმოებდა ხელით, საცავი მიღების გარეშე, რის გამოც ჭაბურღილის კედლები 3-4 თვის ექსპლუატაციის შემდეგ იქცეოდა. ბურღავდნენ ნავთობის პირველი ფენის გადაკვეთამდე, მაშინ, როცა შეიძლებოდა ჩაღრმავებისას კვლავ გადაეკვეთათ უფრო მდიდარი ფენები. მათ ამოიღეს 1646 ტონა ნავთობი. 1908-1912 წლებში მასალა მოწყობილობების უქონლობისა და სხვა მიზეზების გამო სარეწები დაიხურა.

აღსანიშნავია **ილია ჭავჭავაძის** წერილი „ნავთობის საქმე კავკასიაში“, სადაც წერს: „საქართველო მდიდარია წიაღისეულით, განსაკუთრებით ნავთობით. კახეთში მთელი ტბებია ნავთობისა, ყოველდღე აქ პოულობენ ნავთობის ახალ-ახალ საბადოს, ბევრი ნავთი არის არა მარტო ბაქოში, არამედ დედოფლისწყაროზეცო.“

დედოფლისწყაროს მცხოვრებთა შესახებ ილია წერს: „აქაური კაცი მაინც ძალიან ღარიბია და ღარიბი, თუმცა წიაღისეული სიმდიდრე არ აკლია. აი, თუნდაც ავიღოთ თუქურმიშას (დედოფლისწყაროს XIX საუკუნეში გავრცელებული სახელწოდება) ნავთი. იყო დრო — აგრძელებს იგი — როცა ნავთის ხმარება საწვავად მარტო შეიძლებულ ხალხს შეეძლო, მაგრამ დიდი ხანი არ გაივლის, რომ ნავთი სრულიად განდევნის ქონსა და ზეთს, რომლებიც უწინ დიდ პატივში იყო.“

მითქმა-მოთქმას იმის შესახებ, თითქოს ნავთობის რაოდენობა მიწის წიაღში თანდათან კლებულობს, ილია ასე ეხმაურება: „თუნდაც ასე იყოს, ჩვენს ქვეყანაში ნავთი მაინც არ შეწყდება და ახლა თითქმის უქმად მყოფი ადგილები ნავთისა დედოფლისწყაროზედ, ნავთლუხსა და სხვაგან გზას გახსნის ბაზრისათვის. დედოფლისწყაროს შავი ნავთი მიღებით შეერთებული იქნება ბაქოდან მომდინარე იმ მიღებთან, რომელიც შავ ზღვამდე არის ჩადენილიო.“

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს და კერძოდ კახეთის ნავთობიანი მიწების გამოსაკვლევად აზერბაიჯანიდან გამოგზავნეს საბურღი მოწყობილობა და სპეციალისტები.

1926 წელს მირზაანის საბადო კონცესიის წესით გადაეცა იტალია-ბელგიის სამთო სამრეწველო საზოგადოებას. ამ საზოგადოებამ საკონცესიო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სამუშაოების მოცულობის შესახებ არ შეასრულა, რის გამოც იგი გაუქმებულ იქნა



სარეწაო მირზაანი

და ღრმა ჭაბურღილის გაყვანა დაუმთავრებელი დარჩა.

1929 წელს ჩამოყალიბდა ტრესტი „საქნავთი“. ტრესტის წითელწყაროს ფილიალმა ბინა დაიღო დღევანდელი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობაში.

დიდი სამამულო ომის წლებში ღრმა საძიებო ბურღვა შეწყდა საქართველოს მთელი მასშტაბით, გარდა მირზაანისა და პატარა შირაქის საბადოებისა. ამ ორმა საბადომ გარკვეული როლი შეასრულა კავკასიის ფრონტის ნავთობპროდუქტებით მომარაგების საქმეში. მირზაანის ნავთობსახდელი ქარხნიდან ნავთობპროდუქტები „ავტოციისტერნებით“ პირდაპირ ფრონტზე მიდიოდა.

XX საუკუნის ბოლოს კახეთის ტერიტორიაზე ფეხი მოიკიდა მსოფლიოში კარგად ცნობილმა ნავთობკომპანიებმა: „ფრონტერამ“ (ამერიკული), „რამკომ“ (ინგლისური), „კანარგომ“ (ინგლისურ-კანადური).

ნავთობის საბადოზე მუშაობის საწარმოებლად 1998 წლის ნოემბრიდან შექმნილია საწარმო „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“, რომელიც რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონში.

1999 წელს ნავთობის მოპოვების სადღეღამისო ოდენობა შეადგენდა 18 ტონას. ამავე წელს 5000 ტონა ნავთობით დატვირთული პირველი ავზები გაემართნენ დასავლეთის მიმართულებით. „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიამ“ საერთაშორისო ბაზარზე გაიტანა და გაყიდა მოპოვებული სუფთა ნედლეული.

2006 წელს კომპანიამ 400 000 დოლარის ინვესტირება მოახდინა. კომპანია მწარე ზეზე მოიპოვებს მძიმე ნავთობს, ტარიბანაზე — მსუბუქს, ხოლო ნაზარლებზე საშუალო ნავთობს. ამჯერად კომპანიის მთელი ყურადღება მიმართულია საგარაუდო ბუდობების გეოლოგიური შესწავლისაკენ.

„ფრონტერას“ ვიცე-პრეზიდენტმა ჯეფ მორგენტალერმა ასე განაცხადა: „საქართველო არ არის ქუევეითი, არც აზერბაიჯანი. ეს არის საქართველო, რომელსაც დიდი რაოდენობით ნავთობი აქვს.“

ისე კი, გულდასაწყვეტია, ჩვენი სიმდიდრის განმკარგულებლები სხვები, ოკეანისგაღმედი მეგობრები რომ არიან, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, დადგება დრო, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს.“

ნანა ჭიჭინაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო საღამო დედოფლისწყაროში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე წელს იუნესკოს ეგიდით აღინიშნება, რაც ამ ისტორიულ მოვლენას მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებს.

ის ფაქტი, რომ 2018 წელი უნივერსიტეტის წლად გამოცხადდა, მნიშვნელოვანია საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი პიროვნებისათვის, მით უფრო უნივერსიტეტის ყველა თაობის კურსდამთავრებულთათვის. ამის დასტური გახლდათ 28 თებერვალს დედოფლისწყაროს სასწავლო ცენტრ „სპექტრში“ ჩატარებული არაჩვეულებრივად თბილი და ემოციებით დატვირთული საღამო, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

საღამოს დაწყებამდე ვიდეო-კოლაჟით გაცოცხლდა თსუ-ს დამფუძნებელთა ცნობილი სახეები: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, კოტე აფხაზი, გიორგი ახვლედიანი, ანდრია რაზმაძე, გრიგოლ წერეთელი, ანდრია ბენაშვილი, გრიგოლ გველესიანი და იოსებ ყიფშიძე.

თსუ-ს დედოფლისწყაროელმა კურსდამთავრებულებმა: ჟურნალისტებმა — ნაირა გორაშვილმა, ინგა შიოლაშვილმა, ნანა ჭიჭინაძემ, მათემატიკოსმა ეგუილი ყოჩიაშვილმა, ფილოლოგმა, გოგებაშვილის პრემიის ლაურეატმა, ნანა მერაბიშვილმა, ისტორიკოსმა ნანული ნატროშვილმა, ფიზიკოსმა ნუნუ ცაკაშვილმა, გერმანული ენის პედაგოგებმა ნელი ხარაზიშვილმა და მერი თარაშვილმა, ეკონომისტებმა — რეგინა ჯანიაშვილმა, ლუიზა ნასყიდაშვილმა, ნათელა ბილიაშვილმა გაიხსენეს უნივერსიტეტში



გატარებული უაღრესად მნიშვნელოვანი და ლამაზი წლები. თითოეული მათგანი აფიქსირებდა დედა-უნივერსიტეტის გაანსაკუთრებულ და განუზომელ ღვაწლს, რაც მას დაარსების დღიდან აქვს ქვეყნის წინაშე, აღნიშნავდნენ, რომ მას დღემდე ბადალი არ ჰყავს ღირსეული მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. გაიხსენეს დიდებული მამულიშვილები, რომელთაც უნივერსიტეტში უმოღვაწიათ.

თსუ-ს კურსდამთავრებულებს თბილი სიტყვებით მიმართეს და იუბილე მიულოცეს სპეციალურად მოწვეულმა სტუმრებმა: დავაწმოსილმა პედაგოგმა, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქემ, უმშვენიერესმა ქალბატონმა ცისანა მჭედლიშვილმა, სოფლის მეურნეობის ცნობილმა სპეციალისტებმა გივი ღვინიაშვილმა და მერაბ რობიტაშვილმა, ფარმაცევტმა, საქართველოს მასშტაბით ნომინაციაში „გამორჩეული ქალბატონის“ წოდების მფლობელმა — ნათელა ღრუბელაშვილმა-კობაიძემ, რომელმაც აღნიშნა: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეძლო არა მარტო სხვადასხვა დარგის უმაღლესი რანგის სპე-





ციალისტები აღეზარდა, არამედ ეროვნული ღირებულებები ჩაენერგა თითოეული სტუდენტისათვის. სწორედ ამ უდიდესი მისიის გამოა ის გამორჩეული სასწავლებელი. თითოეულ თქვენგანს გილოცავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილეს.“

ამ პროექტის იდეის ავტორი ვარ მე — დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარე, ნანა ჭიჭინაძე, პროექტის მხარდამჭერნი: დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი და დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

სალამოს დასასრულს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა უნივერსიტეტის სიუბილეო გამოცემის ბუკლეტში ავტოგრაფები დატოვეს და უღრმესი მადლობა გადაუხადეს ამ შეხვედრის სულისჩამდგმელსა და სპონსორს, წარმატებული სასწავლო ცენტრის „სპექტრის“ დირექტორს ნუნუ ცაკაშვილ-იმერლიშვილს განსაკუთრებული დახვედრისა და მასპინძლობისათვის.

აქვე გათავზობთ დედოფლისწყაროელი უნივერსიტეტელების მოგონებებს მშობლიური უნივერსიტეტის შესახებ:

ნაირა გორაშვილი — გაზეთ „შირაქის“ რედაქტორი:

1986 წელს დავაძთავრე თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება. ეს იყო პირველი გამოშვება, სადაც სწავლობდნენ პირველი კურსიდან საშუალოსკოლადამთავრებულები და III კურსზე დავემართეთ ისინი, ვისაც მონათესავე დარგი გვქონდა დანთავრებული და მოქმედი ჟურნალისტი ვიყავით. ფაკულტეტზე, რომელსაც დაუსწრებელი განყოფილება ადრე არ ჰქონია ეს სიახლე იყო და, ზოგადადაც, ჩვენს მერე, სულ რამდენიმე ნაკადი გამოუშვა.

ამ სიახლის შესახებ მე ბიჭვინთაში, სემინარებზე ყოფნისას გავიგე. იმ დროს ჟურნალისტთა ფედერაციის ჰქონდა ბედნიერება ამ ღვთიერკურთხეულ მხარეში შესანიშნავი ჟურნალისტთა სახლი ჰქონოდა, სადაც მოქმედი ჟურნალისტებისათვის დარგების მიხედვით წლის ოთხივე დროს ტარდებოდა სემინარები. და აი, 1982 წლის დეკემბერში ამ სახლში მოვხვდი, სადაც ჟურნალისტიკის ფაკულტეტის

მაშინდელი დეკანი დავით გამეზარდაშვილი, ფაკულტეტის სხვა პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, ლექციებს გვიკითხავდნენ. სწორედ იქ გავიგე, რომ იხსნებოდა დაუსწრებელი განყოფილება და 1983 წელს ჩავირიცხე III კურსზე, რადგან, მანამდე წარჩინებით მქონდა დამთავრებული გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი და ჟურნალისტად მუშაობის სტაჟიც მქონდა 1971 წლიდან გაზეთ „შირაქში“.

IV კურსზე ვიყავი, როდესაც დეკანი შეგვეცვალა და ბატონი დავითის ნაცვლად დაინიშნა პროფესორი ნოდარ ტაბიძე. დიდი ბედნიერება იყო ბატონ ნოდართან ურთიერთობა. ის არა მხოლოდ საუკეთესო სპეციალისტი, არამედ დიდი გალაკტიონის ძმის შვილი და მეგობარი გახლდათ. იყო მკაცრი, მომთხონი და ცოტა ცინიკოსიც. ისე მოხდა, რომ სადიპლომო ნამუშევრად ცოცხალი მასალა ავირჩიე და სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობაში მიმდინარე ექსპერიმენტს დავუკავშირე. არანაირი ლიტერატურა არ არსებობდა, რომ მეხელმძღვანელა. ამიტომ სულ საკუთარი დაკვირვებების ნიადაგზე გამოტანილ დასკვნებს ვეყრდნობოდი და ძალიან მეშინოდა, როგორ გავართმევედი თავს. უკვე გამზადებული სადიპლომო, წინასწარი წაკითხვისათვის, ჩემს ხელმძღვანელს — ბატონ ნოდარ ტაბიძეს, დანიშნულ დროს მივუტანე. ცალკეად მომიგლო: დაბრძანდითო და კითხვას შეუდგა. ვიჯექი და ჭირის ოფლი მასხამდა. არავითარი ემოცია მის სახეზე არ იკითხებოდა, ამიტომ, ვფიქრობდი, ახლა ჩვეული ირონიით დამცინებს და უკან დამიბრუნებს მეთქი. როგორც იქნა ჩავიდა ბოლოში, თავი მიმიმე და ასწია და მითხრა: ყოჩაღ, ქიზიყელო, წერა-კითხვა გცოდნიაო და ხუთიანი შემოხანა. ემოციებისგან ენა ჩამივარდა, ხმა ვერ ამოვიღე. ცოტა ხანს მიყურა და მერე თავისი შეუდარებელი ღიმილით, რომელსაც იშვიათად იყენებდა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა: გამოფხიზლდი, გაიქეცი, თორემ შენს კოლმეურნეობაში მიმავალი „მარშუტკა“ გაგასწრებსო. ის დღე არ დამავიწყდება. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, ის ჩემი შვილის — მაგდა პოპიაშვილის დეკანიც იყო. ჩვენი მეგობრობა მისი გარდაცვალების დღემდე გაგრძელდა. მხარში მედგა, როგორც ჟურნალისტი კვალიფიციური



რჩევა-დარიგებით, როგორც ადამიანი იმ რთულსა და გაუსაძლის ოთხმოცდაათიან წლებში და გახეთმა „შირაქმა“ თუ ბევრ სიძნელეს გაუძლო, გადალახა და დღემდე, 80 წლის განმავლობაში უწყვეტად გამოდის, ბატონი ნოდარის წვლილიცაა. უფალო, ნათელი დაუშკვიდრე!

მერაბ ფიროსმანაშვილი — ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულობა ჩემთვის დღემდე სიამაყის საგანია და არა მარტო ჩემთვის. დარწმუნებული ვარ, თუკი ვინმეს ოდესმე სტუდენტად ფეხი შეუდგამს ამ შენობაში, ცხოვრების ბოლომდე გაპყვითა იმ ბედნიერების შეგრძნება, რომ ცოდნის ტაძარში მოხვდა. არაჩვეულებრივი სტუდენტური გარემო, უაღრესად საინტერესო ლექციები, ნიჭიერების ზეიმი. ასეთია ჩემი უნივერსიტეტი.

აბიტურიენტთა მაღალი კონკურსის გამო ყოველთვის გამსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების ზვედრი იყო უნივერსიტეტში ჩარიცხვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ათეული წლები გავიდა, თუმცა უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსს გულგრილად ვერასოდეს ჩავუვლი.

მარიკა პოპიაშვილი — პედაგოგი:

მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი 1991 წელს გახდი. პირველ ლექციაზე თავად ისტორიის ფაკულტეტის დეკანი კარლო მეშველიანი გვესწრებოდა. ყველას მოგვილოცა სტუდენტობა და სტუდბილეთები გადმოგვცა, რის შემდეგ წარმოგვიდგინა მსოფლიო ისტორიის საგნის ლექტორი, პროფესორი, გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლევან სანიკიძე. მან ან თითოეული სტუდენტი სახელითა და გვარით გაგვიცნო, დაინტერესდა მშობლების ვინაობით. როდესაც გაიგო, რომ მამა საწარმო ტრავმით გარდამეცვალა, მითხრა, შენ ზედმიწევნით კარგად უნდა ისწავლო, რომ მამის სახელი უკედავყო.

ყველა საგანს გვასწავლიდნენ ცნობილი ლექტორები: მარიამ ლორთქიფანიძე, ნუკრი შოშიაშვილი, ოთარ ჯაფარიძე, ალბერტ მენთეშაშვილი, გივი ბოლოთაშვილი, ნატალია ბასილია, რომელიც რუსულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა და თითოეული სტუდენტის უახლოესი მეგობარიც იყო. მათთან გატარებულმა ხუთმა წელმა

ბევრი რამ მომცა.

V კურსზე თორმეტი წარჩინებული სტუდენტი დაგვიბარეს დეკანატში. დეკანმა — კარლო მეშველიანმა დაგვაგალა ივანე ჯავახიშვილის 120 წლის საიუბილეოდ დაგვეწერა თემა. საუკეთესო თემა წაიკითხებოდა ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო საღამოზე და ავტორს გადაეცემოდა სიგელი და საჩუქარი. დღემდე მახსოვს ის ემოცია კომისიამ საუკეთესოდ ჩემი ნამუშევარი რომ აღიარა.

ნანა ჭიჭინაძე — ჟურნალისტი, დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თანათამაჯდომარე:

დიახ, მეც იმ „ჭადარა, უბერებელი და ტკბილი დედის“ შვილი ვარ, რომელსაც 100 წელი შეუსრულდა. ძნელი ჩანოსათვლელია ამ 100 წლის განმავლობაში რამდენი ახალგაზრდა აღუზარდა „დედა უნივერსიტეტმა“ სამშობლოს, ვისგანაც ამაყია „აღმზრდელი დედაც“ და საქართველოც.

მე ყოველთვის მეამაყებოდა და დღესაც მეამაყება, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი და პროფესიული გამოცდილი ლექტორები გვასწავლიდნენ. ახლაც თვალწინ მიდგას თხემით ტერფამდე ინტელიგენტი, ელევანტური, მომხიბვლელი, ცისფერთვალეა ჩემი პირველი ლექციის პირველი ლექტორი ბატონი ლევან ხარაზი, რომელიც პოლიტეკონომიის კურსს გვიკითხავდა ეკონომიკის ფაკულტეტზე. შესანიშნავი პიროვნება იყო. ის ხშირად ატარებდა გაერთიანებულ ლექციებს, სადაც პროფესიული დიქციით გადმოგვცემდა მასალას.

ერთხელ, ლექციის ჩატარების დროს, მან მხარზე ხელი დამადო და მკითხა, შენი სახელი და გვარი მითხარიო, მეც სიხარულით ვუთხარი; როგორც შენი სახელი და გვარი მიპასუხე, ისე უნდა იცოდეს პოლიტეკონომიაცო, რის გამოც ზედმიწევნით კარგად ვსწავლობდი მის საგანს.

ერთხელ ფაკულტეტის დეკანი ოთარ საღარეიშვილი დაგვესწრო ლევან ხარაზის ლექციაზე. ჩემი გამოკითხვის პასუხით აღფრთოვანებული დარჩა. როგორც წარჩინებულ სტუდენტს V კურსზე გამოსაშვები გამოცდების მაგიერ სადიპლომო სამუშაო შემომთავაზეს, ხელმძღვანელად ახალგაზრდა ლექტორი სოსო მინდორაშვილი დამინიშნეს. ყოველდღიურად სხვადასხვა საკითხებზე ვაწუხებდი ჩემს ხელმძღვანელს, ისიც ყველანაირად მქმნარებოდა და შესანიშნავი ნაშრომი დავწერე. ჩემი სადიპლომო ნამუშევარი კი არ დავაბეჭდინე, ტუშით ხელით გადავწერე და თსუ-ს სტამბაში სუპერყადაში შევაკვრინე. დიპლომის დაცვაზე ორი კვირით ადრე ავტოკატასტროფაში დაიღუპა ჩემი ლექტორი სოსო მინდორაშვილი. დიპლომის დაცვაზე ჩემი ნაშრომი ხელიდან ხელში გადადიოდა და ყველა ლექტორი აღფრთოვანებული იყო ჩემი კალიგრაფიით. ყველამ იცოდა, რომ სოსო მინდორაშვილი იყო ჩემი ხელმძღვანელი და დიპლომის დაცვაში უმაღლესი შეფასება დავიმსახურე. ეს სევდიანი მოგონება დღესაც მიკოდავს გულს.

ბედნიერება მხვდა წილად, რომ თსუ-ს მეორად ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე მესწავლა, რომლის წყალობითაც ჩემი წერილები იბეჭდებოდა და იბეჭდება საქართველოს მასშტაბით ცნობილ ჟურნალ-გაზეთებში.

დღესაც გულგრილად ვერ ჩავუვლი თსუ-ს I კორპუსის კედელს, რომელზეც გამოკრული იყო სხვადასხვა ფაკულტეტის ჩარიცხულ აბიტურიენტთა სია, სადაც მე რიგით მე-5 ვეწერე.

